სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

სამხედრო შრომები

MILITARY PAPERS

სამეცნიერო ჟურნალი
SCIENTIFIC JOURNAL

გორი, 2022

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

სამხედრო შრომები

MILITARY PAPERS

სამეცნიერო ჟურნალი
SCIENTIFIC JOURNAL

გორი, 2022

<u>სარედაქციო კოლეგია</u>

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი

პოლკოვნიკი დავით რაზმაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოადგილე

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელის მოადგილე

პოლკოვნიკი გიორგი ლაღიაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

სარედაქციო კოლეგიის წევრები

პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ხელმძღვანელი
პოლკოვნიკი დავით რაზმაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
ქეთევან კვესელავა	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
თინათინ კროპაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ნიკოლოზ ესიტაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

რედაქტორი/კორექტორი

ზურაბ მჭედლიშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი რედაქტორი

მთარგმნელი

იზა ჯანიაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უცხო ენის მთარგმნელი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

დავით სტეფანიშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დისტანციური სწავლების ცენტრის კურსების მთავარი სპეციალისტი

© საავტორო უფლებები დაცულია

გამომცემლობა:

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია 2022

ISSN 2720-8184

Editorial Board

Head of the Editorial Board

Colonel Davit Razmadze — Deputy Rector of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Deputy Head of the Editorial Board

Colonel Giorgi Laghiashvili — Head of the Scientific Research Center, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Members of the Editorial Board

Colonel Zurab Zerekidze — Head of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Colonel Davit Razmadze — Acting Head of MA Programs of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Ketevan Kveselava — Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Tinatin Kropadze — Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Nikoloz Esitashvili — Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Editor/Corrector

Zurab Mchedlishvili — Editor-in-Chief of the Scientific Research Center, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Translator

Iza Janiashvili — Foreign Language Translator of the Scientific Research Center, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Computer Designer

Davit Stepanishvili — Chief Specialist in Distance Learning Center Courses, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

© ALL RIGHTS RESERVED

PUBLISHING:

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA 2022

სარჩევი

საქართველოს ლოგისტიკური ჰაბის განვითარების პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში
გივი დუჩიძე 9

კოსოვოში NATO-ს ჰუმანიტარული ინტერვენციის თეორიული ანალიზი
ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ტურაშვილი 14

სპეცდანიშნულების ლითონკერამიკული მასალების თმს-ელექტროგლინვისას დეფორმაციის კერაში სინთეზირებული მასალის დენადობის მოდელირებით მასათა დენადობის კვლევა და მის საფუძველზე სინთეზისა და გლინვის სიჩქარეთა კორექტირება
ზაქარია მელაშვილი, თეიმურაზ ნამიჩეიშვილი, ზურაბ ასლამაზაშვილი, გიორგი პარუნაშვილი, მიხეილ ჩიხრაძე, გიორგი ბასილაია 19

ოსმალეთის იმპერიის სამხედრო დიპლომატია, ოსმალეთის და პრუსიის სამხედრო თანამშრომლობის მაგალითზე
ლევან კურცხალია 27

ტოტალური თავდაცვის (სამხედრო/სამოქალაქო) იმპლიმენტაციის პროცესის გამოწვევები საქართველოში
ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე 34

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების პერსპექტივა ნატოსა და ევროკავშირის კონტექსტში
მაიორი პაატა მაისურაძე 39

გარემოზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორები
ნათია ჯალაღონია, თორნიკე ქიმერიძე, გივი სანაძე 43

საქართველო-რუმინეთის პარტნიორული თანამშრომლობის ასპექტები შავი ზღვის რეგიონში
შადიმან ბიწაძე 48

ტოქსიკური ლიდერის გავლენა ამოცანის შესრულებაზე - რისკები და მათი შემცირების მექანიზმები
ვიცე-პოლკოვნიკი შალვა გელაძე 54

Content

Development Prospects of the Logistics Hub of Georgia Under Globalization
Givi Duchidze ____ 10

Theoretical Analysis of NATO's Humanitarian Intervention in Kosovo
Lieutenant Colonel Ioseb Turashvili ____ 15

Study of the Mass Flow by Modeling the Flow of the Synthesized Material in the Deformation Center during SHS-Electrical Rolling of Special Purpose Metal-Ceramic Materials and Relevant Adjustment of the Synthesis and Rolling Speeds
Zakaria Melashvili, Teimuraz Namicheishvili, Zurab Aslamazashvili, Giorgi Parunashvili, Mikheil Chikhradze, Giorgi Basilaia ____ 20

Military Diplomacy of the Ottoman Empire Based on the Example of Ottoman and Prussian Military Cooperation
Levan Kurtskhalia ____ 27

Challenges of the Implementation of Total Defence (Military/Civil Defence) in Georgia
Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze ____ 35

Security Perspective of the Black Sea Region in the Context of NATO and the European Union
Major Paata Maisuradze ____ 39

Various Factors Affecting the Environment
Natia Jalaghonia, Tornike Kimeridze, Givi Sanadze ____ 44

Aspects of Partnership Cooperations Between Georgia and Romania in the Black Sea Region
Shadiman Bitsadze ____ 48

Impact of Toxic Leader on Task Performance - Risks and Reduction Mechanisms
Lieutenant Colonel Shalva Geladze ____ 54

საქართველოს ლოგისტიკური ჰაბის განვითარების პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში

გივი დუჩიძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების
ასოცირებული პროფესორი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

აბსტრაქტი

ნაშრომში „საქართველოს ლოგისტიკური ჰაბის განვითარების პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში“ განხილულია ის საკითხები, რომლებმაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ საქართველოს, როგორც ლოგისტიკური ჰაბის ჩამოყალიბებაში. გაანალიზებულია ის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა საქართველოს ევროკავშირის სასტრანსპორტო სისტემაში ინტეგრაციას შეუწყობს ხელს, შესაძლებელს გახდის ევროპული სტანდარტების დანერგვას. გამოტანილია დასკვნა, რომ დარგის განვითარების მნიშვნელოვანი კრიტერიუმია უსაფრთხო კავშირებისა და დერეფნების განვითარება, რაც საქართველოს მთავრობის უმთავრეს სტრატეგიულ მიზანს უნდა წარმოადგენდეს.

ასევე გაანალიზებულია, რომ ლოგისტიკა თავისი მნიშვნელობით და გამოყენებით ეკონომიკური საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. იგი გვეხმარება წარმატებით გადავლახოთ ნებისმიერი სახის პრობლემა, რომელიც ეხება მატერიალურ და საინფორმაციო ნაკადების მოძრაობას და გამოყენებას. ახსნილია, რომ ლოგისტიკა მჭიდრო კავშირშია მომსახურების სფეროში წარმოებისა და საინფორმაციო ქსელის განლაგებასთან და განვითარებასთან, ასევე შეიმუშავებს მატერიალური ნაკადების ოპტიმალური მიმართულებებს და განსაზღვრავს სტრატეგიას, დაკავშირებულია ლოგისტიკური ჯაჭვის აგებასა და მის კომპლექსურ მართვასთან, ტვირთების მარაგების ტრანსპორტირებისა და სასაწყობო მოცულობის განსაზღვრასთან, ნახევარფაბრიკატების და მზა პროდუქციის მიწოდების ობიექტების შერჩევასთან, ტრანსპორტისა და სატრანსპორტო პროცესების ორგანიზაციასთან, მათი მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნასთან და ა.შ.[1]

საკვანძო სიტყვები:
ლოგისტიკა, ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა, მართვა, უსაფრთხოება, რეგულირება.

1 ვეშაპიძე შ., ლოჯისტიკა, თბილისი, ელექტრონული სახელმძღვანელო დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, 2015.

Development Prospects of the Logistics Hub of Georgia Under Globalization

Givi Duchidze
Associate Professor of Management Program of Baccalaureate
LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
PhD in Business Administration

Abstract

Logistics operates in almost all sectors of economic activity. Its usage provides an opportunity to successfully solve the problems of any level related to material and information flows. In particular, these are: arrangement and development of production and information networks in the service area; development of rational direction of material flow and determination of strategy; construction and complex management of logistics chain; determination of transportation and storage volume; selection of facilities for delivery of raw materials and supplies, semi-finished and finished products; organizing of transport and transportation processes; and creation of an information system for their management.

Today, one of the priority directions of the Georgian economy is the development of logistics and transport infrastructure that will provide the country with an opportunity to become a logistics hub of the region along with a transport corridor. Globalization and growing economic ties with the European Union make this possible. In addition, using the possibility of Georgia's full integration in international trade is also of particular importance. The paper discusses the issues that should play a decisive role in establishing Georgia as a logistics hub. It also analyzes the problems and assumes that solving these problems will contribute to the integration of Georgia into the transport system of the European Union and will enable the European standards to be introduced as well. It is concluded that an important criterion for the improvement of this area is the development of safe connections and corridors that should be the main strategic objective of the Georgian government.

Keywords:
Logistics, Transport, Infrastructure, Management, Security, Regulation.

შესავალი

ლოგისტიკა თავისი მნიშვნელობით ეკონომიკური საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. იგი შესაძლებელს ხდის წარმატებით იყოს გადაწყვეტილი ნებისმიერი მასშტაბის პრობლემა, რომლიც ეხება მატერიალურ და საინფორმაციო ნაკადების მოძრაობას და გამოყენებას. ლოგისტიკა მჭიდრო კავშირშია ასევე წარმოებისა და საინფორმაციო ქსელის განლაგებასთან და განვითარებასთან მომსახურების სფეროში, მატერიალური ნაკადების ოპტიმალური მიმართულების შემუშავებასა და სტრატეგიის განსაზღვრასთან, ლოგისტიკური ჯაჭვის აგებასა და მის კომპლექსურ მართვასთან, მარაგების ტრანსპორტირებისა და სასაწყობო მოცულობის განსაზღვრასთან, საჭირო ნედლეულისა და მასალების, ნახევარფაბრიკატების და მზა პროდუქციის მიწოდების ობიექტების შერჩევასთან, ტრანსპორტისა და სატრანსპორტო პროცესების ორგანიზაციასთან, მათი მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნასთან.[2]

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა ლოგისტიკური და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება, რაც ქვეყანას მისცემს გარანტიას, გარდა სატრანსპორტო დერეფნისა, რეგიონის ლოგისტიკურ ჰაბადაც ჩამოყალიბდეს. ამის წინაპირობაა გლობალიზაცია და ევროკავშირთან მზარდი ეკონომიკური კავშირები. ასევე, განსაკუთრებულ პერსპექტივას ქმნის საერთაშორისო ვაჭრობაში საქართველოს ფართო ინტეგრაციის შესაძლებლობის გამოყენება.

ძირითადი ნაწილი

სატრანსპორტო და ლოგისტიკური ჰაბის განვითარება საქართველოს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. უკანასკნელ პერიოდში, ლოგისტიკის ინდუსტრია ყურადღებას იპყრობს მაღალი ზრდის მაჩვენებლებით. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საშუალო წლიურმა ზრდამ 2,3 %-ს შეადგენა.[3] ტვირთების გადაზიდვისა და ლოგისტიკის სფეროში ევროპის ქვეყნებს შორის წამყვან პოზიციებს იკავებს ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, დანია, საფრანგეთი, ირლანდია და ისლანდია.[4]

საქართველოს დიდი შანსი აქვს, გარდა სატრანზიტო დერეფნისა, კავკასიის რეგიონის ლოგისტიკურ ჰაბადაც იქცეს, ვინაიდან კავკასიის რეგიონის სამი ქვეყნიდან (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) საქართველოს აქვს კონკურენტული უპირატესობა რეგიონში ჰაბის ფუნქციის შესრულებისა. კერძოთ, საქართველოს უპირატესობებია:[5]

- სრულყოფილი საბაჟო კანონმდებლობა, რაც საშუალებას იძლევა, რომ ქვეყანაში შეუფერხებლად იმოძრაონ სხვადასხვა რეჟიმის ტვირთებმა;
- პოლიტიკურად სტაბილური ურთიერთობები რეგიონის სხვა ქვეყნებთან;
- უკანასკნელ პერიოდში სახეზეა ტენდენცია ლოგისტიკური ცენტრების დასავლეთ ევროპიდან აღმოსავლეთ ევროპისკენ გადმონაცვლების, რაც განპირობებულია იაფი მუშახელით და მიწის ხელსაყრელი ფასით.

სატრანსპორტო და ლოგისტიკური უზრუნველყოფა დღეისათვის საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების წამყვანი მიმართულებაა. ტვირთების ნაკადის მოძრაობის განვითარების გააქტიურებასთან ერთად მნიშვნელოვანი საკითხია მგზავრთა გადაყვანის მიმართულების გაძლიერება. ტრანსპორტით მომსახურების სისტემის სტანდარტის ამაღლება, მისი უსაფრთხოების დონის სრულყოფა უპირობოდ მნიშვნელოვანია გადაზიდვების საჭიროებების დაკმაყოფილებისა და საქართველოს ტურისტული პერსპექტივების ხელშეწყობისათვის.

გლობალური გარემო და ევროკავშირთან პერსპექტიული ეკონომიკური კავშირების გაფართოება საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობაში ინტეგრაციის უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს. სატრანსპორტო და ლოგისტიკის სექტორმა ამ პროცესში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის სატრანსპორტო სისტემაში საქართველოს ინტეგრაციას, რაც გულისხმობს ევროპული სტანდარტების დანერგვას და მომსახურების ხარისხის ამაღლებას.[6] მოწესრიგებული და თანამედროვე გარემოს და მაღალი სტანდარტის მომსახურების მეშვეობით საქართველო საერთაშორისო დონის მოწოდების ჯაჭვის შემადგენელი ხდება, რაც წამახალისებლად იმოქმედებს საწარმოო და საექსპორტო პოტენციალის ამაღლების საქმეზე.

ქვეყნის ლოგისტიკის სექტორის წინაშე არსებული ერთ-ერთი მთავარი გადასაწყვეტი პრობლემაა სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა, ინოვაციებისა და მაღალი სტანდარტის ტექნოლოგიების დანერგვა.

დღეისათვის, საქართველოს ლოგისტიკის სისტემაში სასაწყობე ინფრასტრუქტურის და ავტო-

2 ვეშაპიძე შ., ლოჯისტიკა, თბილისი, ელექტრონული სახელმძღვანელო დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, 2015 წ.

3 „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია-საქარველო 2020“-საქართველოს მთავრობა, http://static.mrdi.gov.ge/551018320cf24147438b16fd.pdf.

4 ვეშაპიძე შ., ლოჯისტიკა, თბილისი, ელექტრონული სახელმძღვანელო დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, 2015 წ.

5 ვეშაპიძე შ., ოსაძე ლ., სეხნიაშვილი დ., თბილისი, ლოგისტიკა,თბილისი, 2012 წ. (გვ. 146).

6 „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია-საქართველო 2020“-საქართველოს მთავრობა,http://static.mrdi.gov.ge/551018320cf24147438b16fd.pdf.

რიზაციის სისტემების სიმწირეა. მთელ სასაწყობო ფართში, რომელიც ქვეყანას გააჩნია A და B კლასის საწყობების რაოდენობა უმნისვნელოა, უმეტესი ნაწილი მოძველებული, C კლასის ფართებია, რომლებიც მწყობრიდან გამოსული ტექნიკითაა აღჭურვილი და ბაზრის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. ავტომატური სისტემების გამოყენება არასაკმარისად გამოიყენება და საწყობის მართვის სისტემები (WMS) უმნიშვნელოდ გამოიყენება. არსებული მარაგების მართვა და შესასრულებელი სამუშაოები უმეტესად ხელით სრულდება. ლოგისტიკური ოპერაციების ტექნიკური საშუალებებით შესრულების არსებული დაბალი დონე იწვევს შეფერხებებით მუშაობას და პროცესებს არაეფექტურს ხდის.[7] აღნიშნულიდან გამომდინარე, ლოგისტიკასთან დაკავშირებული საწარმოო პროცესების გაუმჯობესებისათვის გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) და მონაცემების ელექტრონული დამუშავების (EDI) მექანიზმების დანერგვა. საინფორმაციო– საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის გამოყენების მასშტაბების გაფართოების საჭიროებაზე მიუთითებს 2018 წელს გამოქვეყნებული მსოფლიო ბანკის ლოგისტიკის ინდექსის (LPI) ტვირთების მიკვლევადობის სისტემების ქვე-ინდიკატორიც. ICT სრულყოფს ლოგისტიკური ოპერაციების ეფექტურობას, მაშტაბებს და მომსახურების მიწოდების ჯაჭვის მართვაში მონაწილე კომპანიებს სათანადო ინფორმაციისა და საქონლის მოძრაობის ნაკადების ოპტიმიზაციის შესაძლებლობას მისცემს.[8]

ქართული კომპანიების მიერ ლოგისტიკურ მომსახურებაზე მიმართული ხარჯები მთლიანი დანახარჯების 15-20%-ს შეადგენს სასუალოდ, რაც მნიშვნელოვნად მეტია საერთაშორისო მაშტაბებტან შედარებით. ცნობილია, რომ ევროკავშირის ქვეყნებში სამომხმარებლო საქონლის წარმოების საშუალო ლოგისტიკური ხარჯები აგრეგირებული შემოსავლების 5%-ს შეადგენს, საავტომობილო დარგში 4%-ს, ხოლო ელექტროაპარატურის წარმოებაში - 6%-ს. ლოგისტიკაში გაზრდილი ხარჯები გამოწვეულია კონსოლიდაციისა და დეკონსოლიდაციის ოპერაციების ნაკლებობით, ლოგისტიკური აქტივების მცირე მწარმოებლურობით და სატრანსპორტო მოძრავი შემადგენლობების არაეფექტური გამოყენებით. გაწეული მაღალი ხარჯების კიდევ ერთი განმაპირობებელი ფაქტორია სასაწყობე დანახარჯების მაღალი ხვედრითი წილი, რაც მიწოდების ჯაწვის არაეფექტური მართვის შედეგია.

საქართველოს ლოგისტიკის ინდუსტრია ხშირ შემთხვევაში არ რეგულირება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მარეგულირებელი ნორმების არ არსებობის პირობებში უხდებათ ფუნქციონირება 3PL სერვისის მიმწოდებლებს, საწყობის ოპერატორებს, ტვირთების ექსპედიტორებს, მარაგების მართვის კომპანიებს და ა.შ. კერძოდ:

- არ არსებობს აკრედიტაციის პროცედურები ლოგისტიკური სფეროს სამუშაო ძალის მიმართ;
- ლოგისტიკური ობიექტების მდებარეობის შერჩევის და განთავსების გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ არის გათვალისწინებული ადგილობრივი სივრცითი მოწყობის გეგმები;

მსოფლიო ბანკის მიერ განსაზღვრული ლოგისტიკის ინდექსიც (LPI), სადაც დღეს არსებული მონაცემებით, 160 ქვეყანას შორის საქართველო 119-ე ადგილზეა.[9] რაც ლოგისტიკის განვითარების აუცილებლობაზე გაკეთებული ყურადსაღები აქცენტია.

LPI არის შეფასების ექვსი კრიტერიუმის მქონე საერთაშორისო რეიტინგი, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნების ლოგისტიკის ეფექტურობის ძირითად საკითხებს. ესენია:

- საბაჟო მომსახურება (საზღვრის გადაკვეთის წესების ეფექტურობა და განბაჟება);
- ქვეყანაში არსებული ინფრასტრუქტურა (ლოგისტიკასთან და ტრანსპორტთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ეფექტიანობა);
- გლობალური გადაზიდვები (კონკურენტუნარიანი ფასების მქონე საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზების სიმარტივე);
- გამოცდილება და კომპეტენცია ლოგისტიკაში (ლოგისტიკური მომსახურების ხარისხი და სერვისების სრულყოფილება);
- ტვირთების მიკვლევადობა და თვალყურის დევნება (საქონლისა და მომსახურების მიწოდების ჯაჭვის გასწვრივ გადაზიდვის მიკვლევადობის და თვალყურის დევნების შესაძლებლობა);
- მომსახურების დრო (დაგეგმილ დროში ტვირთის დროულად მიწოდების მაჩვენებელი).

ლოგისტიკის ინდექსი განსაზღვრავს მომსახურების მიმწოდებლების და ბიზნესოპერატორების მოსაზრებას, თუ როგორ არიან ჩართული ქვეყნები საერთაშორისო ლოგისტიკის სისტემაში. გამომდინარე აღნისნულიდან, ის გვიჩვენებს არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნებში მომხდარ ცვლილებებს, არამედ ამ ქვეყნის საზღვრებს გარეთ არსებულ რეალობებსაც. მაგალითად, საზღვრის კვეთის დროს მეზობელი ქვეყნების სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში არსებულ სიტუაციას. მართალია საქართველომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაში დიდი ინვესტიციები განახორციელა გასული ათწლეულის მანძილზე, მოწინავე სახელმწიფოებთან შედარებით ჩამორჩენილია და განაპირობებს ლოგისტიკის შესაძლებლობების გამოყენების დაბალ შედეგიანობას. ამასთან ერთად, მაღალი ხარჯები არასასურველ გავლენას ახდენს საერთაშორისო გადაზიდვებზე.

---

7 ბოცვაძე ლ., ერაძე კ., ბოცვაძე ვ., „ლოგისტიკური მენეჯმენტი“ თბილისი, „დიზაინ პრინტექსპრესო“ 2010 წ.

8 საქართველოს 2021-2030 წლების ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგია.

9 “Connecting to Compete 2014:Treide in the Global Economy”-2014 The International Bank for Reconsruction and Development/The World Benk, http://www.worldbenk.org/content/dam/Worldbank/dokument/Trade/LPI 2014 y.pdf.

დასკვნითი ნაწილი

ქვეყანაში სატრანსპორტო და ლოგისტიკის სექტორის მენეჯმენტი და მისი ცოდნის დონე შესაბამისობაში არ არის ქვეყანაში არსებულ მოთხოვნებთან. უმაღლესი და პროფესიული განათლების არსებული საკვალიფიკაციო სტანდარტები სრულყოფას მოითხოვს. დარგში შესაბამისი განათლების მქონე მუშახელზე მოთხოვნა მკვეთრად იზრდება. დაგეგმილი, მოქმედი და ახლად შექმნილი ლოგისტიკური და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება გააღრმავებს დარგის მცოდნე შრომითი რესურსების დეფიციტს. უცხოელი ექსპერტების შეფასებით, საქართველოში კვალიფიციური პერსონალის დეფიციტი ყველაზე მაღალი რისკის შემცველ ფაქტორად არის მიჩნეული.

საქართველოს გლობალური ინტეგრაციის და ტრანზიტული ტვირთებიდან შემოსავლების მიღებისთვის პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება:

- ინვესტიციების მოზიდვას ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარებაში;
- საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვას ლოგისტიკისა და მიწოდების ჯაჭვის მართვში;
- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას.

საქართველომ დღეისათვის გადადგა სერიოზული ნაბიჯები ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარებასთვის. დაწყებულია ლოგისტიკური ცენტრების განვითარება, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. მასშტაბების განვითარება ცალსახად დამოკიდებულია საქართველოში და რეგიონში არსებული მოთხოვნებთან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯერ მცირე ზომის, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში მასასტაბული ლოგისტიკური ცენტრების განვითარება.

სატრანსპორტო-ლოგისტიკური ინდუსტრიის განვითარების მნიშვნელოვანი კრიტერიუმია უსაფრთხო კავშირებისა და დერეფნების განვითარება. უსაფრთხოების გარანტიების შექმნა საქართველოს მთავრობის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს დღეისათვის. ტრანსპორტის თითოეულ დარგს უსაფრთხოების განსხვავებული თავისებურება აქვს. თუმცა, საერთოა გარკვეული ძირითადი მიდგომები:

- ეფექტური კოორდინაცია და თანამშრომლობა სახელმწიფო უწყებებსა და კერძო სექტორს შორის;
- ადამიანის ქცევის შეცნობა/გაანალიზება უსაფრთხოების მიზნებისთვის;
- ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის მიზნით ინფრასტრუქტურული და მატერიალური-ტექნიკური კონტრ ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მონაცემების სრულყოფა;
- უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ავტომატიზაციის გამოყენებ;
- რეგულაციების მიღება, რომლის შესრულება შესაძლებელი და ამავე დროს სავალდებულო იქნება.

სოციალურ–ეკონომიკური განვითარების გეგმის მიხედვით, საქართველოს ხელისულებას დაგეგმილი აქვს, რომ 2030 წლისათვის ტრანსპორტის ყველა დარგში გაუმჯობესდეს უსაფრთხოების დონე, იმის გათვალისწინებით, რომ გამოწვევები უმეტესწილად მომდინარეობს საავტომობილო ტრანსპორტიდან, შესაბამისად აუცილებელია პრიორიტეტი სწორედ მას მიენიჭოს.

პრიორიტეტულია ასევე სარკინიგზო ტრანსპორტის უსაფრთხოებისთვის არსებული კანონმდებლობის გადახედვა, ახალი ევროპული და საერთაშორისო რეგულაციების დანერგვა. მნიშვნელოვანია სარკინიგზო ტრანსპორტის უსაფრთხოების ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნა და გაძლიერება, რაც გამოიხატება ქვეყანაში რკინიგზის დარგის ტექნიკური მარეგულირებლის შექმნითა და ეფექტური ფუნქციონირებით.

სამოქალაქო ავიაციის და საზღვაო ტრანსპორტის განვითარების მიმართულებით, საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს საჰაერო და საზღვაო სივრცეების უსაფრთხოება, შესაბამისი სპეციალური ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულებით აქტუალურია საერთაშორისო სტანდარტებისა და რეგულაციების დანერგვის პროცესი გაგრძელდეს, რაც ხელს შეუწყობს უსაფრთხოების მაღალი დონის შენარჩუნებას და შემდგომ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვეშაპიძე შ., ლოჯისტიკა, თბილისი, ელექტრონული სახელმძღვანელო დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, 2015 წ.
2. ვეშაპიძე შ., ოსაძე ლ., სეხნიაშვილი დ., თბილისი, ლოგისტიკა,თბილისი, 2012 წ. (გვ. 146).
3. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია-საქარველო 2020“-საქართველოს მთავრობა;
4. http://static.mrdi.gov.ge/551018320cf24147438b16fd.pdf;
5. «Connecting to Compete 2014 y: Trade Logistics in the Global Economy» - © 2014 y. The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank;
6. http://www.worldbank.org/content/dam/Worldbank/document/Trade/LPI2014.pdf;
7. ბოცვაძე ლ., ერაძე კ., ბოცვაძე ვ., ლოგისტიკური მენეჯმენტი, გამ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2010 წ.

კოსოვოში NATO-ს ჰუმანიტარული ინტერვენციის თეორიული ანალიზი

ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ტურაშვილი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების უფროსი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

აბსტრაქტი

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები ცდილობენ იმ მიზეზებისა და გარემოებების პოვნას, რომელთაც სახელმწიფოები ზოგჯერ კონფლიქტისაკენ მიჰყავთ, ზოგჯერ კი - თანამშრომლობისაკენ. ყველა საერთაშორისო სიტუაცია წარმოადგენს არჩევანს კონფლიქტსა და თანამშრომლობას შორის. საერთაშორისო პოლიტიკური პროცესები ძალზედ კომპლექსურია, შესაბამისად, პოლიტიკაში პროგნოზების გაკეთება თეორიული ანალიზის გარეშე შეუძლებელია. პოლიტიკოსები და საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტები ხშირად იყენებენ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს, რათა განსაზღვრონ/ახსნან/პროგნოზი გააკეთონ, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგან სახელმწიფო მოღვაწეებმა პრობლემის გადასაჭრელად ან როგორ იმოქმედონ საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია ერთმა რომელიმე თეორიამ სრულყოფილად ახსნას ყველა მოვლენა და მათი გამომწვევი მიზეზები. სწორედ ამიტომაც, მიზანშეწონილია რამდენიმე თეორიის ჭრილში მოხდეს ამა თუ იმ მოვლენის ანალიზი, რითაც დავადასტურებთ, მუშაობს თუ არა ამ თეორიების ძირითადი პოსტულატები და დაშვებები კონკრეტული ქეისის შემთხვევაში. ეს ნაშრომი შეეხება კოსოვოში NATO-ს ჰუმანიტარული ინტერვენციის თეორიულ ანალიზს და შეეცდება ახსნას აღნიშნული მოვლენის ძირითადი გამომწვევი მიზეზები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების ჭრილში. კერძოდ, თავდასხმითი რეალიზმის და ლიბერალიზმის შეპირისპირებით, ნაშრომი ცხადყოფს, თუ როგორ იყენებენ დიდი სახელმწიფოები ჰუმანიტარულ ინტერვენციას, „გამართლებულ ომს“ ეროვნული ინტერესებისათვის.

საკვანძო სიტყვები:
ჰუმანიტარული ინტერვენცია; თავდასხმითი რეალიზმი; ინსტიტუციური ლიბერალიზმი; გენოციდი; ეთნიკური წმენდა.

Theoretical Analysis of NATO's Humanitarian Intervention in Kosovo

Lieutenant Colonel Ioseb Turashvili
Head of Management Program of Baccalaureate
LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctoral Student of Political Science
Caucasus International University

Abstract

The theories of international relations attempt to find the reasons and circumstances that sometimes lead the states both to the conflict and cooperation. Every international situation is a choice between the conflict and cooperation. International political process are very complex, therefore, it is impossible to make political predictions without theoretical analysis. Policy-makers and experts of international relations often use theories of international relations in order to determine/explain/predict what steps the statesmen should take to solve a problem or how to act regarding the issues in international politics. However, it should be noted that it is impossible for any theory to fully explain all events and their causes. That is why, this or that event should be analyzed from the perspective of several theories to confirm whether the main postulates and assumptions of these theories work or not in a specific case. The present paper will deal with the theoretical analysis of NATO's humanitarian intervention in Kosovo and will attempt to explain the main causes of this event through the lens of theories of international relations. In particular, by contrasting offensive realism and liberalism, the paper reveals how the great powers use humanitarian intervention and "just war" for national interests.

Keywords:
Humanitarian Intervention, Offensive Realism, Institutional Liberalism, Genocide, Ethnic Cleansing.

შესავალი

ისტორიულად კოსოვო სერბეთის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, ავტონომიური პროვინციის სტატუსით, სადაც ალბანური უმრავლესობა სახლობდა. თავად სერბეთი კი იუგოსლავიის შემადგენლობაში შედიოდა, მის საბოლოო დაშლამდე (2006 წ.). 1989 წელს სლობოდან მილოშევიჩმა კოსოვოს ხანგრძლივი და განსაკუთრებული ავტონომიის სტატუსი გააუქმა, რასაც კოსოველ ალბანელთა დიდი და მწვავე პროტესტი მოყვა და საპასუხოდ კოსოვოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს თვითგამორკვევის მოტივით. ამ პერიოდში კოსოვომ ვერ მიიღო დასავლეთის მხარდაჭერა, რადგან იუგოსლავიის დაშლის პროცესში განიხილებოდა შემადგენელი რესპუბლიკების დამოუკიდებლობების საკითხი და არა რესპუბლიკებში შემავალი ავტონომიების. 90-იანი წლებში კოსოველებმა გააქტიურეს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. სიტუაცია განსაკუთრებით 1998 წელს გამწვავდა, როდესაც კოსოველთა შეიარაღებული დაჯგუფებების მოქმედებების აღსაკვეთად სერბეთის მთავრობამ იქ პოლიცა და სამხედრო ქვედანაყოფები გაგზავნა, რამაც მდგომარეობა უფრო მეტად გაამწვავა და ვითარება ომში გადაზარდა. აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის და რუსეთის მოთხოვნის მიუხედავად მხარეებმა ცეცხლი არ შეწყვეტს. მილოშევიჩმა უფრო მეტად გააქტიურა ალბანელთა ეთნიკური წმენდა, რამაც გამოიწვია მილიონამდე ლტოლვილთა ნაკადის მეზობელ ქვეყნებში გადასვლა. საბოლოოდ, 1999 წლის 24 მარტს ნატოს ძალებმა იუგოსლავიის ტერიტორიის საჰაერო დაბომბვა დაიწყეს, რომელიც 10 ივლსს შეწყდა, რადგან იუგოსლავიამ ვეღარ გაუძლო სამხედრო შეტევას და დათანხმდა კოსოვოში გაეროს სამშვიდობო ძალების დისლოცირებასა და იქ ეუთოს მისიის დაბრუნებას.[1] თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნატომ აღნიშნული ოპერაცია გაეროს უშიშროების საბჭოს ნებართვის გარეშე განახორციელა,რამაც ძალზედ მწვავე დებატები გამოიწვია საერთაშორისო საზოგადოებაში, როგორც პოლიტიკური, ისევე აკადემიურ წრეებში.

ძირითადი ნაწილი

უპირველეს ყოვლისა განვმარტოთ ჰუმანიტარული ინტერვენცია. სოციალური მეცნიერებების ლექსიკონში განიმარტება, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სამხედრო, ეკონომიკური თუ სხვა სახის ძალის გამოყენება ადამიანის უფლებათა უხეში და მასობრივი დარღვევების ჩამდენი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ინტერვენციისაგან განსხვავებით, რომელიც საერთაშორისო სამართლით აკრძალულია როგორც ჩაურევლობის პრინციპის დარღვევა, ჰუმანიტარული ინტერვენცია მართლზომიერ აქტად ითვლება, რადგან არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, ჩაიდინოს თავის ტერიტორიაზე საერთაშორისო სამართლით აკრძალული დანაშაული – გენოციდი, აპართეიდი, ეთნიკური წმენდა და სხვ. ჰუმანიტარული ინტერვენციას გამოყენება ეკრძალებათ ცალკეულ სახელმწიფოებს, რადგან ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის ფაქტი, რომელიც საერთაშორისო დანაშაულის ტოლფასია და რომელსაც სამხედრო ჩარევაც კი შეიძლება მოჰყვეს, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ დგინდება და მისი მოწესრიგებაც საერთაშორისო ღონისძიებებით უნდა მოხდეს, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი მიკერძოებანი. ამ პრინციპის სათანადოდ დაუცველობის გამო აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ნატოს მეთაურობით კოსოვოში ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელებამ (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი 2004).

ჰუმანიტარული ინტერვენციის საჭიროებასა და მის სიძნელეებზე გვესაუბრება სტენლი ჰოფმანი თავის სტატიაში „ჰუმანიტარული ინტერვენციის პოლიტიკა და ეთიკა“. სტატიის დასაწყისში იგი გვაძლევს რელიზმის განმარტებას, რომელიც არის სახელმწიფოთა ინტერესის მიხედვით მოქმედება იმ ანარქიულ რეალობაში, რაშიც თანამედროვე საზოგადოება იმყოფება. რეალიზმის პოლიტიკური თეორია, როგორც წესი სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ამა თუ იმ ქმედებას ისევ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებლობიდან ხსნის და რეალიზმის სკოლის მიმდევრებს მიაჩნით, რომ დიდი სახელმწიფოები ჰუმანიტარულ ომს/ინტერვენციას საბაბად იყენებენ იმისათვის, რომ მიაღწიონ თავიანთი სახელმწიფოების ამბიციურ მიზნებს.[2]

პირველ რიგში, ნატოს მხრიდან სამხედრო ძალების გამოყენება ყველაზე კარგად ხსნის რელიზმის იმ დაშვებას, რომ კონფლიქტის მოგვარება საბოლოოდ წყდება ომით, ხოლო თვდასხმითი რეალიზმის თანახმად გარანტირებული გამარჯვება თავდასხმითი ომის წინაპირობაა. თავდასხმითი რეალიზმის თეორია ძირითადად ფოკუსირებულია დიდ სახელმწიფოებზე, რადგან სწორედ დიდი სახელმწიფოები ქმნიან საერთაშორისო პოლიტიკაში ამინდს და წესრიგს. თავდასხმითი რეალიზმის ერთ-ერთ თვალსაჩინო ფუძემდებლი - ჯონ მერშაიმერი გვთავაზობს ხუთ ვარაუდს, რომელიც მეტნაკლებად არის გაზიარებული სხვა თანამედროვე რეალისტების მიერ:

პირველი, საერთაშორისო პოლიტიკა არის **ანარქიული**, სადაც არ არის მთავრობა, რომელსაც შეუძლია გაატაროს წესები და დასაჯოს კანონის დამრღვევები. **მეორე**, არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია იყოს აბსოლუტურად დარწმუნებული სხვა სახელმწიფოს განზრახვებში, რადგან განზრახვები მუდმივად იცვლება. **მესამე**, **გადარჩენა** უმთავრესი მიზანია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის საერთაშორისო

1 ოდოშაშვილი, გ. „ჰუმანიტარული ინტერვენცია- ინტერესებს შეწირული კონტრიბუცია“ 2018 წ.

2 თურმანიძე, ო. „ჰუმანიტარული ინტერვენციის სიძნელეები სტენლი ჰოფმანის მიხედვით“ , ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2021 წ.

სისტემაში. **მეოთხე**, სახელმწიფოები არიან **რაციონალური აქტორები**. სახელმწიფოები ფიქრობენ სტრატეგიულად საგარეო პოლიტიკაზე და ისეთ სტრატეგიას ირჩევენ, რომელიც არის მაქსიმალური მათი გადარჩენისთვის. **მეხუთე**, სახელმწიფოები არიან **აგრესიულები**. ისინი მუდმივად ზრუნავენ იყვნენ მფლობელები ისეთი სამხედრო შესაძლებლობების, რაც დააზიანებს და შესაძლოა გაანადგურებს სხვა სახელმწიფოს. ამ ვარაუდების შეჯამებით, მერშაიმერი აკეთებს დასკვნას, რომ სახელმწიფოები მალე გაანალიზებენ, რომ ყველაზე ეფექტური გზა ანარქიაში გადარჩენის მისაღებად არის ფარდობითი ძალა და მთავარი მიზანი გახდე უძლიერესი ძალა – ჰეგემონი სახელმწიფო.[3]

ახლა კი გავაანალიზოთ ემპირიული მონაცემები და შევუსაბამოდ თეორიას, კერძოდ მერშაიმერის ხუთ ვარაუდს.

პირველი, ნატო მოქმედებდა გაეროს რეზოლუციის გარეშე, თვით მსოფლიოს უმთავრეს საერთშორისო ორგანიზაციასაც კი არ შეუძლია შეასრულოს „მსოფლიო მთავრობის“ ფუნქცია და სისტემის ანარქიულობა იძლევა საშუალებას ძლიერი სახელმწიფოები მოიქცნენ მათი ინტერესებიდან გამომდინარე.

მეორე, გაეროს უშიშროების საბჭოს ორი მუდმივი წევრი (რუსეთი და ჩინეთი) აღნიშნულ ჰუმანიტერული ინტერვენციის წინააღმდეგნი იყვნენ ჩეჩნეთის და ტაივანის კონფლიქტის გამო. ასევე გაურკვეველი იყო ევროპის წამყვანი ნატოს წევრი ქვეყნების ზრახვები, რადგან მათ აღარ მოსწონდათ აშშ-ს მსოფლიო დღის წესრიგი;

მესამე, ანარქიულ სისტემაში ძალაუფლების მაქსიმალური გაზრდა თვით გადარჩენის საუკეთესო საშუალებაა. სწორედ ამიტომაც, აშშ-მ მოახერხა თავისი გავლენის სფეროს გავრცელება აღმოსავლეთ ევროპაზე, სადაც მანამდე საბჭოთა კავშირი დომინირებდა.

მეოთხე, აღნიშნული ქმედებით აშშ-მ იმოქმედა, როგორც რაციონალურმა აქტორმა და მისი დანახარჯები გადაწონა სარგებელმა, რაც მისი ეროვნული ინტერესების დაკმაყოფილებაში გამოიხატება, ყოფილიყო ჰეგემონი სისტემაში.

მეხუთე, აშშ-მ შესძლო შეენარჩუნებინა სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი, რითაც მან შეინარჩუნა უმაღლესი სამხედრო ძლიერება მსოფლიოში, რომლის დაბალანსებაც მოცემული პერიოდისთვის წარმოუდგენელი იყო.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კოსოვოში ჰუმანიტარული ინტერვენცია განახორციელა არა ერთმა სახელმწიფომ არამედ ნატომ, როგორც ინსტიტუციამ აშშ-ს ხელმძღვანელობით. საბჭოთა კავშირის დაშლის და ცივი ომის დასრულების შემდეგ კი მსოფლიო უნიპოლარული გახდა და ძალთა ბალანსი აშშ-ს მხარეს გადაიხარა. თუმცა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ნატოს არსებობის აუცილებლობა, რადგან მოცემული მომენტისთვის აღარ არსებობდა საფრთხე, რომელსაც ნატო დააბალანსებდა. აშშ-ს კი არ აწყობდა ნატოს, როგორც სამხედრო ინსტრუმენტის/ინსტიტუტის დაკარგვა და ასევე სურდა ევროპაზე „ირიბი“ კონტროლის შენარჩუნება. როგორც ვიცით თავდასხმითი რეალიზმის თანახმად დიდი სახელმწიფოები ისწრაფვიან მსოფლიო ჰეგემონობისაკენ და ძალების მაქსიმიზაციისაკენ, შესაბამისად ცდილობენ დაამყარონ მათთვის სასურველი და უსაფრთხო საერთაშორისო დღის წესრიგი. შესაბამისად, ნატოს ჩართვით კოსოვოს კრიზისში აშშ-მ მისი არსებობის საჭიროება და ეფექტურად მოქმედების შესაძლებლობა დაანახა როგორც მსოფლიოს, ასევე ნატოს წევრებს.[4]

ლიბერალიზმის თანახმად „ინდივიდის უზენაესობაა „მთავარი და სწორედ ადამიანის უფლებების და უსაფრთხოების დაცვაა უპირველესი. ლიბერალები თვლიან, რომ საერთაშორისო სისტემაში ეთიკური და მორალური პრინციპების დამკვიდრებით შესაძლებელი იქნებოდა მსოფლიოში მშვიდობის დამყარება. ისინი აქცენტს აკეთებდნენ კოლექტიურ უსაფრთხოებაზე, რომელსაც უნდა ჩაენაცვლებინა ძალთა ბალანსის სტრატეგია.[5]

ლიბერალიზმი აღნიშნულ ჰუმანიტარულ ინტერვენციას ხსნის სწორედ პიროვნების და მისი უფლებების დაცვით და მას სახელმწიფო დონეზე აიგივებეს. „მათი აზრით სახელმწიფოს სუვერენიტეტი არ არის აბსოლუტური და ადამიანის უფლებები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი შელახვა, როგორც სახელმწიფოებრივ, ისე მსოფლიო წესრიგის რღვევას გამოიწვევს, რაც საბოლოო ჯამში ისევ და ისევ საერთაშორისო საზოგადოებას დააყენებს საფრთხის ქვეშ“.[6]

1998-1999 წლებში კოსოვოში ნამდვილად იყო ადამიანთა უფლებების მასობრივი დარღვევა და ეთნიკური ალბანელების „ეთნიკური წმენდა“, თუმცა დასავლეთმა (აშშ და ევროპა) მანამდე არ მიმართა რადიკალურ ზომებს, სანამ მილიონამდე კოსოვოელი ალბანელი არ მიადგა მეზობელი ქვეყნების საზღვრებს, რაც ევროპისთვის „კონფლიქტის გადმოდინების“ და ეკონომიკური კრიზისის საფრთხეს შეიცავდა, რაც მათ მშვიდობას და სტაბილურობას უქმნიდა საფრთხეს. ანუ, სანამ მათ ეროვნულ ინტერესებს არ შეუქმნა საფრთხე, მანამდე მათ დიდად არ ანაღვლებდათ კოსოვოში ადამიანთა უფლებების მასობრივი დარღვევები და არ წარმოადგენდა მათ უპირველეს დღის წესრიგს.

ასევე, ამის კარგი მაგალითია რუანდას გენოციდი (1994 წლის 6 აპრილიდან იმავე წლის ივლისის

3 ოხანაშვილი, ნ.. „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა)“ 2018 წ.

4 აბაშიძე, გ.. „ნატოს ინტერვენცია იუგოსლავიაში: რეალიზმისა და ლიბერალიზმის გზაგასაყარზე“ 2015 წ.

5 ოხანაშვილი, ნ. „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა)“ 2018 წ.

6 ოდოშაშვილი, გ. „ჰუმანიტარული ინტერვენცია- ინტერესებს შეწირული კონტრიბუცია“ 2018 წ.

შუა რიცხვებამდე ერთმანეთს ებრძოდნენ ტუტსისა და ჰუტუს ტომები, სადაც 800, 000-დან 1, 071, 000-მდე ადამიანი დაიღუპა. რუანდის გენოციდი ისტორიაში შევიდა არა მხოლოდ, როგორც ასეთ ხანმოკლე პერიოდში მოკლული ადამიანების რიცხვის, არამედ გაეროს და დასავლეთის არაადეკვატური და დაგვიანებული პასუხის გამო. მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ იყო ცნობილი დაგეგმილი ხოცვა-ჟლეტის შესახებ, არც ერთ სახელმწიფოს ამის წინააღმდეგ არც პროტესტი გამოუთქვამს და არც რაიმე ზომები მიუღია, რასაც ფატალური შედეგი მოჰყვა" (ოდოშაშვილი 2018)). ეს მიუთითებს იმაზე, რომ არ იყო ინტერესი არ იყო ინტერვენცია. რატომ არ მოახდიანა გაერომ რუანდაში კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე დროული რეაგირება, რაც მისი ერთ-ერთი ფუნდამენტური მოვალეობაა? აქ ნათლად ჩანს, რომ გაერო არ არის მნიშვნელოვანი და რეალური გავლენის მქონე დამოუკიდებელი აქტორი სისტემაში და მისი გადაწყვეტილებები წევრ ქვეყნებზეა დამოკიდებული, განსაკუთრებით კი დიდ ქვეყნებზე, რომელთაც ყველაზე დიდი წილი შეაქვთ გაეროს საწევროში და მათ შორისაა აშშ, რომელიც ყველაზე დიდი წინააღმდეგი იყო რუანდაში სამხედრო ინტერვენციისა, რადგან არ შედიოდა მათ ეროვნულ ინტერესში და სარგებელი ვერ გადასწონიდა დანახარჯს.

ინსტიტუციონალური ლიბერალიზმის თანახმად:

„საერთაშორისო ინსტიტუტები მნიშვნელოვანი და რეალური გავლენის მქონე აქტორები არიან;

საერთაშორისო ინსტიტუტები ხელს უწყობენ საერთაშორისო თანამშრომლობას;

საერთაშორისო ინსტიტუტები ამცირებენ ანარქიის უარყოფით ეფექტებს;

ინსტიტუტებს აქვთ უნარი პოზიტიური ზემოქმედება მოახდინონ საერთაშორისო პოლიტიკის დინამიკაზე".[7]

თუმცა რუანდის შემთხვევაში ლიბერალიზმის ამ დაშვებებმა კრახი განიცადა და კიდევ ერთხელ გაიმარჯვა რეალისტურმა სკოლამ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ, ეს ნაშრომი არავითარ შემთხვევაში არ იყო ამომწურავი გამოკვლევა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება დაგვეხმაროს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები კოსოვოს ჰუმანიტარულ ინტერვენციის გამომწვევი მიზეზების ანალიზში, თუმცა მოკრძალებულ წვლილს შეიტანს დაინტერესებულ პირთათვის აღნიშნულ საკითხზე ზოგადი ცოდნის შეძენაში. რომ შევაჯამოთ, ჰუმანიტარული ინტერვენცია შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც ადამიანთა უფლებების დაცვის მიზნით, ისე დიდი სახელმწიფოების ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა, ზემოთ მოყვანილი ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების თანახმად, რეალისტური სკოლა, კერძოდ თავდასხმითი რეალიზმი უკეთ ხსნის ჰუმანიტარული ინტერვენციის მიზეზებს და სწორედ ეს მიზეზია დიდი სახელმწიფოების ეროვნული ინტერესები და არა ადამიანთა უფლებების უზენაესობის უზრუნველყოფის სურვილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე, გ.. „ნატოს ინტერვენცია იუგოსლავიაში: რეალიზმისა და ლიბერალიზმის გზაგასაყარზე" 2015 წ.;
2. http://blog.fdclub.ge 24.12.2021 წ.;
3. თურმანიძე, ო. „ჰუმანიტარული ინტერვენციის სიძნელეები სტენლი ჰოფმანის მიხედვით". ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2021 წ.;
4. ოდოშაშვილი, გ. „ჰუმანიტარული ინტერვენცია- ინტერესებს შეწირული კონტრიბუცია" 2018 წ.;
5. https://www.academia.edu 24.12.2021 წ.;
6. ოხანაშვილი, ნ. „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა)", 2018 წ.;
7. file:///C:/Users/Admin/Desktop 24.12.2021 წ.;
8. „სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი". სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი: ლოგოს პრესი, 2004 წ.;
9. http://dictionary.css.ge/content/humanitarian-intervention 24.12.2021 წ.

7 ოხანაშვილი, ნ. „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა)" 2018 წ.

სპეცდანიშნულების ლითონკერამიკული მასალების თმს[1]-ელექტროგლინვისას დეფორმაციის კერაში სინთეზირებული მასალის დენადობის მოდელირებით მასათა დენადობის კვლევა და მის საფუძველზე სინთეზისა და გლინვის სიჩქარეთა კორექტირება

ზაქარია მელაშვილი
ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის
ლითონური მასალების წნევით დამუშავების
ლაბორატორიის უფროსი,
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
თეიმურაზ ნამიჩეიშვილი
ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის
მრჩეველი სამეცნიერო დარგში,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი
ზურაბ ასლამაზაშვილი
ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის
თმს ლაბორატორიის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
გიორგი პარუნაშვილი
ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის
ლითონური მასალების წნევით დამუშავების
ლაბორატორიის მკვლევარი მთავარი სპეციალისტი
მიხეილ ჩიხრაძე
ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის
თმს ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
გიორგი ბასილაია
ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის
ლითონური მასალების
წნევით დამუშავების ლაბორატორიის
მკვლევარი სპეციალისტი

აბსტრაქტი

სამუშაოში განხილულია თმს-ელექტროგლინვით Ti-B და Ti-BN სისტემის ფუძეზე, ლითონ-კერამიკული მასალების პლასტიკური დეფორმაციისას, მასათა დინების კვლევა. თერმოდინამიკური გათვლებით განსაზღვრულია კაზმების ოპტიმალური შემადგენლობა და სინთეზზე მოქმედი პარამეტრები. მოყვანილია, დეფორმაციის კერაში, გარდამავალი პროცესისას, შესვლის კვეთიდან გამოსვლის კვეთამდე კაზმის სიმკვრივის განმსაზღვრელი კორექტირებული ემპირიული ფორმულა. გაანალიზებულია ე.წ. "უარყოფითი" გამოჭიმვის მოვლენა და მის საფუძველზე განსაზღვრულია სინთეზირებული მასალის სიგრძის მატება სხვადასხვა მოჭიმვის რეჟიმებსა და კაზმის სიმკვრივის ცვლილებისას. დეფორმაციის კერამდე, სინთეზის წვის ფრონტის კვეთის მუდმივი დაშორების პირობიდან გამომდინარე (დაყოვნების დროის მუდმივობა), გათვლილია გლინვის სიჩქარის ცვლილება სინთეზის სხვადასხვა სიჩქარისას.

საკვანძო სიტყვები:
ჯავშანკერამიკა, სიმკვრივე, თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზი, ელექტროგლინვა, კომპაქტირება, მასათა დენადობა, გლინვის სიჩქარე, გლინების ბრუნვათა რიცხვი.

1 თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზი

Study of the Mass Flow by Modeling the Flow of the Synthesized Material in the Deformation Center during SHS[2]-Electrical Rolling of Special Purpose Metal-Ceramic Materials and Relevant Adjustment of the Synthesis and Rolling Speeds

Zakaria Melashvili
Head of Metal Materials Pressure Processing Laboratory, Senior Research Scientist
Ferdinand Tavadze Metallurgy and Materials Science Institute, Doctor of Technical Science
Teimuraz Namicheishvili
Scientific Advisor of Director, Ferdinand Tavadze Metallurgy and Materials Science Institute
Doctor of Technical Science
Zurab Aslamazashvili
Chief Research Scientist of SHS Laboratory, Ferdinand Tavadze Metallurgy and Materials Science Institute, PhD in Technical Sciences
Giorgi Parunashvili
Researcher-Chief Specialist of Metal Materials Pressure Processing Laboratory, Ferdinand Tavadze Metallurgy and Materials Science Institute
Mikheil Chikhradze
Senior Research Scientist of SHS Laboratory, Ferdinand Tavadze Metallurgy and Materials Science Institute, PhD in Technical Sciences
Giorgi Basilaia
Research Specialist of Metal Materials Pressure Processing Laboratory, Ferdinand Tavadze Metallurgy and Materials Science Institute

Abstract

The article discusses the study of mass flow during plastic deformation of metal-ceramic materials on the basis of Ti-B and Ti-BN system with SHS-electrical rolling. Thermodynamic calculations determine the optimal composition of the charges and the parameters affecting the synthesis. A corrected empirical formula for determining the density of the charge in the center of deformation, during the transition from the entry section to the exit section, is given. The so-called "negative" stretching event is analyzed and the length increase of the synthesized material is determined on the basis of different stretching regimes and changes in the charge density. Based on a constant distance of the front intersection of the combustion synthesis to the center of deformation (constant delay time), the change in the rolling speed for different speeds of synthesis is calculated.

Keywords:
Armor ceramics, density, self-propagating high-temperature synthesis, electrical rolling, compaction, mass flow, rolling speed, number of rotations of rolls.

2 Self-propagating high-temperature synthesis

შესავალი

თანამედროვე ტექნიკის განვითარება მოითხოვს მაღალი ხარისხის სპეცთვისებების მასალებს, რომელიც მოიცავს ერთდროულად სხვადასხვა აგრესიული გარემოსადმი წინააღმდეგობას (კოროზიამედეგობა, ცვეთამედეგობა და სხვა), გამოირჩევიან მაღალი მექანიკური თვისებებით (დარტყმამედეგობა, სისალე, სიმტკიცე) და ავლენენ მდგრადობას მაღალი ტემპერატურებზე ექსპლუატაციისას (მხურვალმედეგობა, ხენჯმედეგობა). ასეთ მასალებს მიეკუთვნება ლითონკერემიკული და კერამიკული, ერთშრიანი და მრავალშრიანი, ფენოვანი, გრადიენტული თვისებების მქონე მასალები, რომელთა მიღების მეთოდები თმს წნეხვით, ლიტერატურაში ფართოდაა განხილული. ზემოთ მოყვანილი თვისებების, შეუზღუდავი გრძივი და გაზრდილი განივი გაბარიტების ლითონკერამიკული და კერამიკული ფილების მიღების შესაძლებლობას იძლევა ფ.თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში დამუშავებული თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზისა (თმს) და ელექტროგლინვის შერწყმული პროცესი.[3] ამ პროცესის სირთულიდან გამომდინარე სინთეზირებული მასის ძვრითი დეფორმაციისა და სასურველი ხარისხის კომპაქტირებისათვის საჭიროა თხიერი ფაზა, ამიტომ ასეთი ფილების მისაღებად შერჩეულია Ti-B და Ti-BN სისტემის ფუძის ნაერთები, რომლებიც აკმაყოფილებენ დაგეგმილ თვისებებს. ამ ნაერთების სინთეზისას წარმოიქმნება TiB, TiB2, TiN და Ti2N მარცვლები და ტიტანის თხიერი ფაზა. კომპაქტირებისას, ეს უკანასკნელი ასრულებს შემკვრელისა და ე.წ. საპოხის როლს.

თმს პროცესის თერმოდინამიკური ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვთვალოთ წვის პროდუქტების ტემპერატურა და შემადგენლობა, იმ დაშვებით, რომ პროცესი ადიაბატურია და სინთეზის პროდუქტებში დამყარებულია სრული ქიმიური წონასწორობა.

თეორიული და ექსპერიმენტული კვლევები

ჩატარებული თერმოდინამიკური გათვლებით შეირჩა საკაზმე ნარევის შემადგენლობა, კერძოდ:

Ti–B სისტემისათვის: Ti–75%, B-25%; Ti–80%, B-20%;

Ti–B-Cu სისტემისათვის: Ti-70%, B-26% ,Cu-4%; Ti-75%,

Ni-Ta-Ni-Cr-C სისტემისათვის: Ti-20%, Ta-51,9%, Ni-10%, Cr-18%, C-0,1%;

Ti-10%, Ta-61,9%, Ni-10%, Cr-18%, C-0,1%

თმს-ელექტროგლინვით ხარისხიანი ფილების მიღების პროცესზე (მაღალი:სისალე,კოროზიამედეგობა,ცვეთამედეგობა,ბალისტიკური დარტყმამედეგობა და დაბალი ფორიანობა) მოქმედებს შემდეგი პარამეტრები:

1. კაზმის დისპერსიულობა, გამოშრობის ხარისხი, აქტივიზაცია და არევის ხარისხი;
2. ცივად წინასწარი დაბრიკეტების ძალვები;
3. კონტეინერში ბრიკეტების განლაგება;
4. კონტეინერის ზომები.

სინთეტიკური კომპოზიციური კერამიკული მასალის (სკკმ) სინთეზი ხორციელდება ტექნოლოგიური სქემის მიხედვით, რომლის პირველი ეტაპი მოიცავს:

1. საწყისი კომპონენტების გამოშრობას;
2. კაზმის დოზირებას;
3. კომპონენტების შერევას;
4. კაზმის წინასწარი დაწნეხვას - ნიმუშის ფორმირებას;

დიდი განივი გაბარიტებისა და შეუზღუდავი სიგრძის ფილების მისაღებად შემუშავებული თმს-ელექტროგლინვის პროცესის ტექნოლოგიური სქემების დასამუშავებლად საჭიროა სინთეზირებული მასის დენადობის კანონზომიერების კვლევა დეფორმაციის კერაში.

კვლევებმა აჩვენა, რომ თმს -ელექტროგლინვის პროცესში ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრები განიცდიან მოსალოდნელზე მეტ ცვლილებებს.[4] მაგალითად, თმს-ელექტროგლინვის პროცესში, კომპაქტური ლითონების გლინვისაგან განსხვავებით, ბლანტი, ცხელი სინთეზირებული მასალის გამოჭიმვა ხორციელდება არა მარტო გლინვის მიმართულებით, არამედ საწინააღმდეგო მიმართულებითაც. ამ მოვლენის შესასწავლად, დეფორმაციის კერას მთელ სიგრძეზე წარმოსახვით ვყოფთ თანაბარი სიგრძის მონაკვეთებად. თითოეული უბნის წინა და უკანა კვეთები განიხილება როგორც დეფორმაციის კერაში ნამზადის შესვლისა და გამოსვლის კვეთები (სურ.1).

3 T.Namicheishvili, A.Tutberidze, Z.Melashvili, G.Tavadze, Z.Aslamazashvili, G.Oniashvili, G.Zakharov. Method for obtaining inorganic product from powder exothermic chasm, Saqpatenti. Patent P 6541 . LEPL Ferdinand Tavadze Metallurgy and Materials Science Institute, 2016 y.

4 Melashvili Z, Tutberidze A.,Namicheishvili T. ,Aslamazashvili Z., Papava K.,Parunashvili G., Basilaia G. Investigation of the Fluidity of the Synthesized Charge in the Deformation Site on SHS-Electrical Rolling. Bull. Georg. Natl. Acad. Sci., vol. 14, no. 4, 2020 y.



სურ.1. დეფორმაციის კერის წარმოსახვით დაყოფა თანაბარი სიგრძის a=b=c მონაკვეთებად.

დეფორმაციის პროცესში, ყოველ უბანში, გახურებული ბლანტი პლასტიკური მასალა მიედინება სამი, კუმშვის ვერტიკალური, განივი და გრძივი მიმართულებით. ამასთან, გრძივი დეფორმაცია მიმდინარეობს როგორც გლინვის („დადებითი“ გამოჭიმვა), ისე მის საწინააღდეგო („უარყოფითი“ გამოჭიმვა) მიმართულებით. ეს მოვლენა შემდეგნაირად აიხსნება: ვინაიდან ბლანტი მასის გადინება ძირითადად ნაკლები წინააღმდეგობის მიმართულებით მიმდინარეობს, ჩვენს შემთხვევაში კი, ყოველი წინა უბნის ფორიანობა მეტია შემდგომი უბნის ფორიანობაზე, მასალის გარკვეული ნაწილი სწორედ ამ, ნაკლები წინააღმდეგობის მიმართულებით მიედინება.

დეფორმაციის კერის გასწვრივ საწყისი უბნიდან ბოლო უბნამდე ზოგადად მიმდინარეობს საკაზმე მასალის თანდათანობითი გამკვრივება, მცირდება ე.წ. კერძო Δhi მოჭიმვა (უბანზე მოქმედი მოჭიმვა). მცირდება აგრეთვე უბნებს შორის მასალათა სიმკვრივის (ფორიანობის) განსხვავება, აქედან გამომდინარე, თანდათანობით იზრდემა „დადებითი“და მცირდება „უარყოფითი“ გამოჭიმვა. „უარყოფითი“ კერძო გამოჭიმვების ჯამი იწვევს ნაგლინის გარკვეულწილად „უარყოფით“ გამოჭიმვას. აქედან, თმს-ელექტროგლინვის პროცესში ნაგლინის გრძივი მიმართულების სრული ნამატი არის „დადებითი“ და „უარყოფითი“ გამოჭიმვების ჯამი.

თმს-ელექტროგლინვისას, დეფორმაციის კერაში, გარდამავალ პროცესში, შესვლის კვეთიდან გამოსვლის კვეთამდე, მოჭიმვების (დეფორმაციის) გავლენით გამკვრივების მნიშვნელობების დასადგენად გამოყენებულია ემპირიული კორექტირებული გამოსახულება:

$\rho x=\rho 0+(\rho 1-\rho 0)(\varepsilon x/\varepsilon)(1-0{,}01Lx)$, (1)

სადაც: ρx- სიმკვრივეა საძიებელ კვეთში, გ/სმ3 ; ρ0 - საწყისი სიმკვრივეა, გ/სმ3; ρ1 - ნაგლინის სიმკვრივეა, გ/სმ3; εx და ε - დეფორმაციის კერის საძიებელი კვეთისა და ჯამური ფარდობითი დეფორმაციებია, %; Lx - დეფორმაციის კერის სიგრძე ნამზადის შესვლის კვეთიდან საძიებო კვეთამდე, მმ.

(1) გამოსახულება გვაძლევს საშუალებას განვსაზღროთ დეფორმაციის კერის გასწვრივ გაგლინული მასალის ნებისმიერი კვეთის, ფარდობითი დეფორმაციისაგან დამოკიდებული საძიებელი სიმკვრივის მნიშვნელობები. ემპირიული გამოსახულების სანდოობა შემოწმებულია ექსპერიმენტებით Ti-B და Ti-BN სისტემის ფუძეზე ლითონკერამიკული მასალის თმს ელექტროგლინვისას ცვლადების ფართო დიაპაზონში. ფარდობითი ცდომილება შეადგინა 2-4%.

თმს-ელექტროგლინვისას, დამყარებულ პროცესში ნაგლინის ბოლო მონაკვეთი (საერთო სიგრძის დაახლოებით 10%) ირღვევა, ან წყდება ძირითად ტანს. ეს აიხსნება იმით, რომ „უარყოფითი“ გადინება ცვლის ნამზადის ელექტროგლინვის ტემპერატურულ რეჟიმს. „უარყოფითი“ გადინების მაღალ ტემპერატურის სინთეზირებილი კაზმი მასაგადატანით შეაღწევს რა შეტაცების კვეთის წინ არსებულ კაზმის წვის ზონაში, იწვევს მისი სიმკვრივის გარვეულწილად ზრდას და ახლომდებარე ჯერ აუნთებელი მასის ე.წ. “შეხურების ზონის” დამატებით გათბობას. ანალოგიურ ზეგავლენას ახდენს ფორებში დაგროვილი მაღალტემპერატურული აირი, რომელიც ფილტრაციული რეჟიმით ინტენსიურად ვრცელდება ნამზადის ამ აუნთებელ ნაწილებისკენ. ამით ადვილდება კაზმის შემდეგი ულუფის ანთების პროცესი, რის გამოც იზრდება წვის ფრონტის გადაადგილების სიჩქარე. წვის ფრონტი თანდათანობით ცილდება გლინებში შეტაცების კვეთს, ამავე დროს ნამზადის ბოლო გადაადგილდება შეტაცების კვეთისაკენ ე.ი. ისინი მოძრაობენ შემხვედრი მიმართულებებით და მათი შეხვედრის კვეთში წყდება სინთეზური წვა, ნამზადის ეს ბოლო მანაკვეთი აღარ ღებულობს დამატებით თბურ ენერგიას, იწყება მისი დაჩქარებული გაცივება და შეტაცების კვეთამდე მიღწევისას ასწრებს გაცივებას თმს ფაზური ჩამოყალიბების ტემპერატურაზე დაბლა, მასალა ხდება არადეფორმირებადი, მყიფე და შემდგომი დეფო-

რმაცია იწვევს მასში ბზარების გაჩენას და ნამზადის რღვევასაც კი.[5]

ზემოთქმულიდან გამომდინარე ნაგლინის ბოლო მონაკვეთის რღვევის ძირითადი მიზეზი არის გლინვის სიჩქარისა და კაზმის წვის ფრონტის გადაადგილების სიჩქარეთა სინქრონიზაციის დარღვევა, კერძოდ, გლინვის სიჩქარის ჩამორჩენა.

კაზმის წვის ფრონტის გადაადგილების სიჩქარის გლინვის სიჩქარესთან სინქრონიზაციისათვის საჭირო ხდება გლინვის ჩქაროსნული რეჟიმის კორექტირება. გლინვის ისეთი სიჩქარის შერჩევა, რომ ნამ-ზადის ბოლო მონაკვეთი შეტაცების კერას მიადგეს გახურებულ ბლანტ პლასტიკურ მდგომარეობაში.

დეფორმაციის კერის გარკვეულ კვეთებში საერთო ჯამურ მოჭიმვაზე დამოკიდებული კერძო Δhi მოჭიმვების განსაზღვრისათვის, დეფორმაციის კერის გეომეტრიდან გამომდინარე მიღებულია ფორმულა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია გამკვრივების პროცესის ანალიზი:

$$\Delta hi = \frac{2i+1}{n2} \Delta h \qquad (2)$$

სადაც: n- პირობითად დაყოფილი უბნების რაოდენობაა; i = 0 ÷ (n-1) ; Δh – ჯამური მოჭიმვაა.

დეფორმაციის კერა არ წარმოადგენს დიდ არეს და სინთეზირებული მასის სტრუქტურული ჩამოყალიბება ხდება მცირე დროში, ამიტომ ბლანტ პლასტიკურ მდგომარეობაში მყოფი მასა განიცდის მრავალმხრივ გადაადგილებას. კომპაქტირების ხარისხის გაზრდის მიზნით, ვირჩევთ კალიბრში გლინვას, რომლის დროსაც განივი გადაადგილება შეზღუდულია. უნდა აღინიშნოს, რომ კომპაქტური ლითონების ცხლად გლინვისგან განსხვავებით, რომლის დროსაც მოქმედებს მოცულობის მუდმივობის კანონი, უგაზო წვისას თმ სინთეზირებული ფორიანი მასალების გლინვისას ადგილი აქვს მასათა მუდმივობის პირობებს. ე.ი. დეფორმაციის კერაში შესვლის კვეთსა და გამოსვლის კვეთებში მიწოდებული კაზმისა და ნაგლინი მასალის მასები თითქმის უცვლელია. მოცულობები მცირდება დეფორმაციის კერის გასწვრივ და კაზმის კომპაქტირების ხარჯზე იზრდება მასალის სიმკვრივე. Ti-B და Ti-BN სისტემის ფუძეზე TiB06, TiB2 TiBN კაზმების გლინვისათვის, სხვადასხვა საწყისი ნიმუშის და მისაღები მასალის გაბარიტული ზომებისათვის, აგრეთვე კაზმის სხვადასხვა სიმკვრივის მნიშვნელობებისათვის, დეფორმაციის კერის თითოეული უბნისათვის განისაზღვრა: კერძო მოჭიმვები, კვეთის მოცულობები, სიმკვრივეები, უბნების მიხედვით შესაბამისი გამკვრივებისათვის (კომპაქტირებისათვის) საჭირო და წარმოსახვით მიწოდებული სინთეზირებული კაზმის მასა და ამ მასებს შორის სხვაობა, რომელიც შემდგომ ნაწილდება ნაგლინის სიგრძეზე გამოჭიმვის სახით.

ცივად დაბრიკეტებული ρ0=2,50 გ/სმ3 სიმკვრივის, 24x210x350მმ3-ის ზომის კონტეინერში მოთავსებული TiBN კაზმის, 66,7% ფარდობითი დეფორმაციისას გაგლინული მასალის თეორიული ანგარიშის მონაცემები მოყვანილია სურ.2.



სურ.2. გარდამავალი პროცესისას, წარმოსახვით მიწოდებული და დაკომპაქტირებული მასალის მასათა სხვაობა დეფორმაციის კერაში პირობითად დაყოფილი უბნების მიხედვით (1-პირველადი ანგარიშით, 2-კორექტირებული).

სურ.2-დან ჩანს, რომ გლინვის გარდამავალ პროცესში პირველიდან მეხუთე უბნამდე მიწოდებულ და დაკომპაქტირებული მასალის მასათა სხვაობა უარყოფითი მნიშვნელობისაა (მრუდი 1), ანუ დაკო-მპაქტირებული მასალის მასა აღემატება მიწოდებული მასალის მასას, რაც შეუძლებელია. ეს განპი-

5 ზ.მელაშვილი, თ.ნამიჩეიშვილი, ზ.ასლამაზაშვილი, გ.პარუნაშვილი, გ.ზახაროვი, მ.ჩიხრაძე, კ.პაპავა. მაღალი ბალისტიკური ეფექტიანობის ლითონკერამიკული ფილების მიღების ტექნოლოგიის კვლევა-დამუშავება. სსიპ-დავით აღმაშენებლის სახ. საქ. ეროვნ. თავდაცვის აკადემიის სამეცნ. პრაქტ. კონფერენციის ნაშრომთა კრებ. გორი, 2021 წ., გვ. 61-68

როვნებულია იმით, რომ მასალის დეფორმაციის კერაში შესვლის მომენტიდან კალიბრის შევსებამდე ხდება პლასტიკური მასის თავისუფალი განივი გადაადგილება. იზრდება უბნის მოცულობა და არსებული მოჭიმვა ვერ უზრუნველოფს შესაბამის სიმკვრივის ჩამოყალიბებას. ეს კი თავისთავად ამცირებს კომპაქტირების ხარისხს. ამ დროს (1) გამოსახულებით გამოთვლილი სიმკვრივის მნიშვნელობა აცდენილია რეალურს და საჭიროა მისი კორექტირება. ამ შემთხვევაში მიწოდებული და დაკომპაქტირებული მასები ტოლია და შესაბამისად მოსალოდნელია მასალის დაბალი სიმკვრივე. მეექვსე უბნიდან, ყუთოვანი კალიბრი შევსებულია და მისი გვერდები ზღუდავს მასის გვერდით გადაადგილებას, შემდგომი უბნების მოცულობები მცირდება და კომპაქტირების ხარისხიც იზრდება (მრუდი 2). ჭარბი მასა ნაკლები წინააღმდეგობის გამო გადაადგილდება მეტად ფორიანი და ნაკლები სიმკვრივის მქონე უკანა უბნებისაკენ და მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს დამყარებული პროცესისას. დამყარებულ პროცესში ჭარბი მასა თანდათანობით იზრდება და როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული აწვება რა შეთბობის უბანს, ზრდის სინთეზის ტალღის გადაადგილების სიჩქარეს და ანთების ზონა თანდათანობით ცილდება დეფორმაციის კერაში შესვლის კვეთს, ანუ გვიანდება სინთეზირებული მასალის დეფორმაცია. თმს-ელექტროგლინვის პირობიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს სინთეზისა და გლინვის სიჩქარეთა ტოლობას, საჭიროა ანთების კვეთიდან დეფორმაციის კერაში შესვლის კვეთამდე, მასალის სიგრძის ზრდის შესაბამისად, გაზრდილი იქნას გლინვის სიჩქარე. სხვადასხვა რეჟიმებისათვის, ნამზადის სიგრძეზე, მასალის სიგრძის მატება მოცემულია ცხრ.1 და 2-ში.

ცხრ.1. TiBN მასალების თმს ელექტროგლინვისას სიგრძეთა ნამატი და სიმკვრვეები, კაზმის სხვადასხვა სიმკვრივისას და დეფორმაციის რეჟიმებისას, მოსალოდნელი ნაგლინი მასალის სიმკვრივე ρ1 =5,2 გ/სმ3.

	კაზმის სიმკვრივე ρ_0 =2,10 გ/სმ³ ფორიანობა 59,6%				კაზმის სიმკვრივე ρ_0=2,49გ/სმ ფორიანობა 52,1%				კაზმის სიმკვრივე ρ_0=3,05 გ/სმ³ ფორიანობა 41,3%			
ε%	ρ_1 გ/სმ³	Δl სმ	ფორ П,%	ρ_1კორექტ გ/სმ³	ρ_1 გ/სმ³	ფორ П,%	Δl სმ	ρ_1კორექტ გ/სმ³	ρ_1 გ/სმ³	ფორ П,%	Δl სმ	ρ_1კორექ გ/სმ³
50	4,67	-5	10,2	4,01	4,73	9,1	0,2	-	4,80	7,7	+7,5	-
52,4	4,73	-4,9	9,1	4,21	4,78	8,1	1,5	-	4,84	6,9	+9,2	-
54,5	4,79	-2,8	7,9	4,41	4,83	7,1	2,9	-	4,88	6,2	+10,9	-
56,5	4,83	-1,6	7,1	4,61	4,87	6,4	4,3	-	4,91	5,6	+12,7	-
58,3	4,88	-0,5	6,2	4,81	4,91	5,6	5,7	-	4,94	5,0	+14,5	-
61,9	4,96	+2,1	4,6	-	4,98	4,2	8,8	-	5,00	3,9	+18,5	-
63,6	5,00	+3,6	3,9	-	5,01	3,7	10,7	-	5,02	3,5	+20,7	-
65,2	5,04	+5,0	3,8	-	5,04	3,8	12,5	-	5,05	2,9	+23,0	-
66,7	5,07	+6,5	2,5	-	5,07	2,5	14,2	-	5,07	2,5	+25,3	-

ცხრ.2. TiB მასალების თმს ელექტროგლინვისას სიგრძეთა ნამატი და სიმკვრივეები კაზმის სხვადასხვა სიმკვრივისას და დეფორმაციის რეჟიმებისას მოსალოდნელი ნაგლინი მასალის სიმკვრივე ρ1 =4,52 გ/სმ3

	კაზმის სიმკვრივე ρ_0 =2,0 გ/სმ³ ფორიანობა 55,8%				კაზმის სიმკვრივე ρ_0=2,5გ/სმ ფორიანობა 44,7%				კაზმის სიმკვრივე ρ_0=2,67 გ/სმ³ ფორიანობა 40,9%			
ε%	ρ_1 გ/სმ³	ფორ П,%	Δl სმ	ρ_1კორექ გ/სმ³	ρ_1 გ/სმ³	ფორ П,%	Δl სმ	ρ_1კორექ გ/სმ³	ρ_1 გ/სმ³	ფორ П,%	Δl სმ	ρ_1კორექ გ/სმ³
50	4,16	8,0	-2,9	3,82	4,22	6,6	+4,6	-	4,25	6,0	+7,0	-
52,4	4,21	6,9	-1,7	4,01	4,26	5,8	+6,2	-	4,28	5,3	+8,8	-
54,5	4,25	6,0	-0,4	4,20	4,30	4,9	+7,7	-	4,32	4,4	+10,4	-
56,5	4,29	5,1	+0,8	-	4,33	4,2	+9,3	-	4,35	3,8	+12,4	-
58,3	4,33	4,2	+2,0	-	4,36	3,5	+11,0	-	4,37	3,3	+14,0	-
61,9	4,40	2,7	+4,9	-	4,42	2,2	+14,6	-	4,42	2,2	+18,0	-
63,6	4,43	2,0	+6,5	-	4,44	1,8	+16,7	-	4,45	1,6	+20,1	-
65,2	4,46	1,3	+8,1	-	4,47	0,7	+18,7	-	4,47	0,7	+22,3	-
66,7	4,49	0,7	+9,6	-	4,49	0,7	+21,8	-	4,49	0,7	+24,9	-

ცხრ.1 და 2-დან ჩანს, რომ საწყისი სინთეზირებული მასალის დაბალი სიმკვრივისა (0 =2,10 და ρ0 =2,0 გ/სმ3) და ფარდობითი დეფორმაციისას (ε=50-58,3% და ε=50-54,5%) ნაგლინის სიგრძე იკლებს. ეს ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული პარამეტრები ვერ უზრუნველყოფენ მოსალოდნელი სიმკვრივის მნიშვნელობებით კომპაქტირებას. ე.ი. გაგლინული მასალის სიმკვრივე მოსალოდნელზე დაბალია. რეალური სიმკვრივის განსაზღვრისათვის საჭიროა მათი კორექტირება. რეალური სიმკვრივის მნიშვნელობები მოყვანილია ცხრილის ბოლო გრაფაში. სხვა დანარჩენ შემთხვევაში აღინიშნება სიგრძის ნამატი და როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ეს ნამატი ნაწილდება სინთეზირებული, გასაგლინი მასალის სიგრძეზე.

ამრიგად, სინთეზირებული მასის ელექტროგლინვის პროცესისას საჭიროა ტექნოლოგიური პარამეტრების (გეომეტრიული, ჩქაროსნული და ძალოვანი) გათვალისწინებით, გლინვის სიჩქარის ცვლილება, რომ არ დაირღვეს სიჩქარეთა ბალანსი.

თმს-ელექტროგლინვისას აუცილებელი პირობაა თმს და ელექტროგლინვის სიჩქარეთა თანხვედრა, ანუ Vსინ=Vგლ ,

გასაგლინი L0 სიგრძის ნამზადის სინთეზირების და გლინვის დრო ტოლია

tსინ=L0/Vსინ tგლ=L0/Vგლ.

ნამზადის სიგრძის მატება ხდება სინთეზის შემდეგ და რადგან tსინ=tგლ=(Lo+ΔL)/V1, ამიტომ

ნამზადის ნამეტი სიგრძის, გლინვის სიჩქარე იქნება:

$$V1= (L0+\Delta L)/t_{\text{სინ}} \quad (3)$$

ქვემოთ მოყვანილია სხვადასხვა სინთეზის სიჩქარეზე, კორექტირებული გლინვის სიჩქარეები ε=58,3% ფარდობითი მოჭიმვაზე გლინვისას (ნახ.3):



სურ.3. კორექტირებული გლინვის სიჩქარე, სინთეზის სხვადასხვა სიჩქარისგან დამოკიდებულებით (ε=58,3%); 1- L=370მმ, 2- L=460მმ, 3- L=490მმ

ცხრ.3-ში მოყვანილია გლინვის სიჩქარის ნამატი სინთეზის სხვადასხვა სიჩქარისგან დამოკიდებულებით (ε=58,3%).

ცხრ.3.გლინვის სიჩქარისა და გლინების ბრუნთა რიცხვის ნამატი სინთეზის სხვადასხვა სიჩქარისგან დამოკიდებულებით (ε=58,3%).

$\upsilon_{\text{სინ}}$, მმ/წმ	$n_{\text{გლ}}$, ბრ/წთ	Δ υ, მმ/წმ			Δ n, ბრ/წთ		
	ნამზ. სიგრძე, L_0=350მმ	ნაგლინის სიგრძე, L=370მმ	ნაგლინის სიგრძე, L=460მმ	ნაგლინის სიგრძე, L=490მმ	ნაგლინის სიგრძე, L=370მმ	ნაგლინის სიგრძე, L=460მმ	ნაგლინის სიგრძე L=460მმ
6	0,48	0,35	1,89	2,4	0,03	0,15	0,19
8	0,64	0,45	2,50	3,19	0,04	0,20	0,26
10	0,80	0,57	3,14	4,00	0,05	0,25	0,32
12	0,96	0,67	3,75	4,78	0,05	0,30	0,38
14	1,12	0,80	4,40	5,60	0,06	0,35	0,45
16	1,28	0,89	5,01	6,37	0,07	0,40	0,51
18	1,44	1,07	5,71	7,26	0,08	0,46	0,58
20	1,60	1,14	6,29	8,00	0,09	0,50	0,64
22	1,76	1,27	6,93	8,82	0,10	0,57	0,71
24	1,92	1,34	7,51	9,56	0,11	0,60	0,77

თმს-ელექტროგლინვის სიჩქარეთა ბალანსის შენარჩუნების მიზნით, აუცილებელია ნამეტი გლინვის სიჩქარის გადანაწილება ნამზადის სიგრძეზე. რადგან უგაზო წვისას სინთეზის სიჩქარე მუდმივია, ამიტომ საჭიროა გლინვის სიჩქარე მისი საწყისი მნიშვნელობიდან თანაბრად გაიზარდოს.

შედეგები

თერმოდინამიკური გათვლებით შერჩეულია კაზმების შემადგენლობა , რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი მაღალი სისალისა და დარტყმამედეგი, კოროზიამედეგი, ცვეთამედეგი თვისებების ლითონკერამიკული ფილების მიღებას;

ექსპერიმენტალური კვლევების საფუძველზე შემოთავაზებულია დეფორმაციის კერაში, გარდამავალ ეტაპზე სიმკვრივის განმსაზღვრელი ემპირიული გამოსახულება.

თეორიული და პრაქტიკული კვლევების საფუძველზე, შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა სპეცდანიშნულების ლითონკერამიკული მასალების თმს-ელექტროგლინვისას, დეფორმაციის კერაში სინთეზირებული მასალის დენადობის მოდელირებით მასათა დენადობის კვლევა და მის საფუძველზე სინთეზისა და გლინვის სიჩქარეთა კორექტირება;

დადგენილ იქნა სპეცდანიშნულების ლითონკერემიკული ფილების მიღების შემდეგი ტექნოლოგიური სქემა: კაზმების შერჩევა; კაზმების არევა ბურთულებიან წისქვილში 24 საათის განმავლობაში; ცივად დაბრიკეტება ძალვებით -5-100ტ დიაპაზონში; თმს სიჩქარე და მისი ცვლილების შესაბამისი

ნამზადის გადაადგილების გრძივი სიჩქარე და გლინების ბრუნვათა რიცხვი; კონტეინერი, ზომებით 25x126x210მმ 0,5 მმ სისქის თუნუქის ფურცლიდან.

საგლინავი დგანის აწყობისათვის გამოყენებულ იქნა გლინებზე ყუთოვანი კალიბრება და გლინვისათვის შეირჩა ფარდობითი მოჭიმვა 55-66%; გლინვის შემდეგ ხორციელდება ნაგლინის დატვირთვის ზემოქმედების ქვეშ მდორე გაციება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. T.Namicheishvili, A.Tutberidze, Z.Melashvili, G.Tavadze, Z.Aslamazashvili, G.Oniashvili, G.Zakharov. Method for obtaining inorganic product from powder exothermic chasm, Saqpatenti. Patent P 6541 . LEPL Ferdinand Tavadze Metallurgy and Materials Science Institute, 2016 y;
2. Melashvili Z, Tutberidze A.,Namicheishvili T. ,Aslamazashvili Z., Papava K.,Parunashvili G., Basilaia G. Investigation of the Fluidity of the Synthesized Charge in the Deformation Site on SHS-Electrical Rolling. Bull. Georg. Natl. Acad. Sci., vol. 14, no. 4, 2020 y;
3. ზ.მელაშვილი, თ.ნამიჩეიშვილი, ზ.ასლამაზაშვილი, გ.პარუნაშვილი, გ.ზახაროვი, მ.ჩიხრაძე, კ.პაპავა. მაღალი ბალისტიკური ეფექტიანობის ლითონკერამიკული ფილების მიღების ტექნოლოგიის კვლევა-დამუშავება. სსიპ-დავით აღმაშენებლის სახ. საქ. ეროვნ. თავდაცვის აკადემიის სამეცნ. პრაქტ. კონფერენციის ნაშრომთა კრებ. გორი, 2021 წ., გვ. 61-68;

ოსმალეთის იმპერიის სამხედრო დიპლომატია, ოსმალეთის და პრუსიის სამხედრო თანამშრომლობის მაგალითზე

ლევან კურცხალია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის
საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის დოქტორანტი
ხელმძღვანელი: პროფესორი ქეთი ჯიჯეიშვილი

აბსტრაქტი

საუკუნეების განმავლობაში სამხედრო დიპლომატიას ქვეყნებს შორის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. სამხედრო დიპლომატიის, როგორც ქვეყნებს შორის საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული პრაქტიკული ინსტრუმენტის განხორციელების პროცესის შესწავლისას, ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ოსმალეთის იმპერიასა და პრუსიას შორის თანამშრომლობა, ვინაიდან ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა, როგორც განგრძობითობის, ასევე შედეგიანობის თვალსაზრისით გამოკვეთილად აღსანიშნავია. ზემოთ ხსენებული სახელმწიფოების პოლიტიკური, ადამიანური და ორგანიზაციული ფართო ქსელი მოწოდებული იყო კოორდინაციისთვის და ურთიერთობისთვის ხელისუფლების მრავალ დონეზე, ამავდროულად, მათ ხელთ არსებული რესურსები დიდი მოქნილობასა და შესაძლებლობას იძლეოდა.

ნაშრომში მოყვანილი ისტორიული ფაქტების განხილვა, კიდევ უფრო მეტად ამყარებს ჩვენი არგუმენტის ჭეშმარიტებას, რომ სამხედრო დიპლომატია წარმოადგენს განუყოფელ ნაწილს, ქვეყნის გრძელვადიანი სტრატეგიული ამოცანებისა და მიზნების მიღწევისთვის.

საკვანძო სიტყვები:
სამხედრო დიპლომატია, სამხედრო თანამშრომლობა, “საფრთხის ბალანსის“ თეორია, ,,ძალთა ბალანსი“ მრავალვექტორული ალიანსი და თანამშრომლობა, ოსმალეთის არმიის რეფორმირება, გერმანული სამხედრო დელეგაციის ვიზიტი სტამბოლში, სადაზვერვო ინფორმაცია, სამხედრო ატაშე.

Military Diplomacy of the Ottoman Empire Based on the Example of Ottoman and Prussian Military Cooperation

Levan Kurtskhalia
Doctoral Student of International Relations Program,
Department of Law and International Relations,
Georgian Technical University

Supervisor: Professor Keti Jijeishvili

Abstract

For centuries, military diplomacy has played an important role in ensuring the security between the countries. When studying the process of implementing military diplomacy as a practical instrument in international relations between the states, one of the most prominent examples that should indefinitely be observed is the cooperation between the Ottoman Empire and Prussia, since the cooperation between the two countries is clearly remarkable in terms of both continuity and effectiveness. The broad political, human and organizational networks of the states mentioned above provided for coordination and interaction across multiple levels of government, while the resources at their disposal allowed great flexibility and opportunity.

The discussion of historical facts presented in the paper further supports the truth of our argument that military diplomacy is an integral part of achieving the country’s long-term strategic goals and objectives.

Keywords:
Military Diplomacy; Military Cooperation; “Balance of Threat” theory; “Balance of Power”, Multi-Vector Alliance and Cooperation; Reorganization the Ottoman Army; Visit of the German Military Delegation to Istanbul; Intelligence Information; Military Attaché.

შესავალი

სამხედრო დიპლომატიის, როგორც ქვეყნებს შორის საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული პრაქტიკული ინსტრუმენტის განხორციელების პროცესის შესწავლისას, ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ოსმალეთის იმპერიასა და პრუსიას შორის თანამშრომლობა, ვინაიდან ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა, როგორც განგრძობითობის, ასევე შედეგიანობის თვალსაზრისით გამოკვეთილად აღსანიშნავია. ზემოთ ხსენებული სახელმწიფოების პოლიტიკური, ადამიანური და ორ-განიზაციული ფართო ქსელი მოწოდებული იყო კოორდინაციისთვის და ურთიერთობისთვის ხელის-უფლების მრავალ დონეზე, ამავდროულად, მათ ხელთ არსებული რესურსები დიდი მოქნილობასა და შესაძლებლობას იძლეოდა.

XVI საუკუნის დასაწყისიდან ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობები მნიშვნელოვან სტაგნაციას განიცდიდა, რომლის ძირითადი მიზეზიც როგორც ფ. ბროუდელი აღნიშნავს გახდა ის, რომ ხმელთაშუა ზღვის არეალში დაიწყო ეკონომიკური აქტივობების შემცირება და სანაცვლოდ ატლანტიკის ოკეანე გადაიქცა პოლიტიკური და ეკონომიკური ბრძოლისა და მოვლენების ეპიცენტრად. ატლანტიკის ოკეანეს მიენიჭა უდიდესი სავაჭრო მნიშვნელობა, ამიტომ დიდმა ბრიტანეთმა, ნიდერლანდების სამეფომ და საფრანგეთმა პოლიტიკური და ეკონომიკური ბრძოლის ძირი-თადი ხაზი ატლანტიკის ფლანგზე გადაიტანეს, რამაც ეკონომიკური თვალსაზრისით დიდი დარტყმა მიაყენა ოსმალეთს, ამავდროულად რუსეთთან და ავსტრიასთან ხანგრძლივი და დამქანცველი ომების წარმოებამ იმპერიის შესაძლებლობები კიდევ უფრო დაასუსტა.

იმპერიის უსაფრთხოების პოლიტიკური ლანდშაპტი არ გამოირჩეოდა მდგრადი სტაბილურობით, რის მიზეზსაც იმპერიის წინააღმდეგ დაპყრობილი ქვეყნების მხრიდან მცირე და საშუალო მასშტაბების ამბოხებები წარმოადგენდა, ეს კი თავისთავად დიდ საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის სტაბილურობასა და განვითარებას. ევროპულ ქვეყნებში ახალი თავდაცვითი სახის სამხედრო ტექნოლოგიების დანერგვამ და განვითარებამ შესაძლებელი გახადა უზრუნველეყოთ დიდი ხნის განმავლობაში ალყაში მოქცეული გამაგრებული ქალაქების დაცვა, მათთვის ეს საკითხი ეკონომიკური თვალსაზრისით უკვე პრობლემას აღარ წარმოადგენდა და მათ შესაძლებლობას აძლევდა მოეგერიებინათ თავდასხმები, ან დიდი ხნის გან-მავლობაში შეეკავებინათ ოსმალეთის იმპერიის ჯარების შეტევები. ასეთი ვითარება კი ოსმალეთისგან დამატებით ეკონომიკურ და სამხედრო ძალისხმევას მოითხოვდა, ამიტომ იმპერიას უფრო და უფრო ურთულდებოდა ახალი ტერიტორიების დაპყრობა ან აჯანყებული ქალაქების დამორჩილება. თუკი ის-ტორიულ ჭრილში დავაკვირდებით მოვლენების განვითარებას, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ XVII საუკუნის დასაწყისიდან ოსმალეთის იმპერიის დასასრული შეუქცევად ხასიათს იძენდა. ამიტომ იმპერიის მმართველებმა დაიწყეს განსაკუთრებული აქტიურობა საერთაშორისო ასპარეზზე, რათა აუცილებელი სამოკავშირეო შეთანხმების გაფორმებით გაენეიტრალებინათ მომდინარე საგარეო საფრთხეები. ოსმ-ალეთის მონარქები კარგად ხვდებოდნენ, რომ ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით და გარე ზეწოლიდან გამომდინარე, ისინი მარტო ვერ შეძლებდნენ იმპერიის ტერიტორიის დაცვას და ყველა შემთხვევაში გარკვეულ დათმობაზე მოუწევდათ წასვლა მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებთან მიმართებით, თუმცა სხვა არჩევანი მათთვის არც არსებობდა.

როგორც ჯონ მერშეიმერი აღნიშნავს, ნაპოლეონის მარცხმა და მასთან თანხმლებმა გეოპო-ლიტიკურმა რყევებმა და მოვლენებმა განაპირობა ახალი მსოფლიო რეალობა და ხელი შეუწყო ხუ-თი დიდი იმპერიის წარმოქმნას,[1] (საფრანგეთი, ავსტრია-უნგრეთი, პრუსია, გაერთიანებული სამეფო, რუსეთი). ასეთ მოცემულობაში ოსმალეთის იმპერიის მონარქები იძულებულები ხდებოდნენ სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა დაემყარებინათ რომელიმე სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით დიდი შესაძლებლობების მქონე ქრისტიანულ იმპერიასთან. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთს ქრის-ტიანულ საფრანგეთთან თანამშრომლობის ორ საუკუნეზე მეტი ხნის ტრადიცია გააჩნდა, XVIII საუკუნეში უკვე განსხვავებული მსოფლიო წესრიგი და რეალობა იყო, რაც თავისთავად ართულებდა იმპერიის სუ-ვერენული არჩევანის შესაძლებლობას.

,,საფრთხის ბალანსის" თეორიის მიხედვით, სახელმწიფოებს შორის სამოკავშირეო შეთანხმებას განსაზღვრავს საფრთხე, რომელიც შესაძლოა მომდინარეობდეს სხვა სახელმწიფოსგან. ს. უოლტი გან-მარტავს, რომ ,,საკუთარი თავის დასაცავად უფრო სუსტი სახელმწიფოები ცდილობენ საფრთხის თავ-იდან აცილების მიზნით დაუახლოვდნენ იმ ქვეყანას, რომლისგანაც რეალური საფრთხის ალბათობა მნიშვნელოვნად მაღალია".[2] თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის იმპერიის სამხედრო და ეკო-ნომიკური პოტენციალი XVIII-XIX საუკუნეებში ევროპის ძლიერ სახელმწიფოებთან შედარებით საკმაოდ სუსტი იყო, იგი კვლავ ანგარიშგასაწევ ძალად რჩებოდა და იმპერიის სამოკავშირეო შეთანხმება რომე-ლიმე ქვეყანასთან ნაკარნახევი იყო იმ მოტივით, რომ არსებულ ,,ძალთა ბალანსის" პირობებში ოსმა-ლეთის იმპერიას კიდევ უფრო განემტკიცებინა დაცულობა და უსაფრთხოება. ოსმალეთის იმპერიის წინაშე არ იდგა არსებობის საფრთხე, საფრთხე ძირითადად ვასალი ქვეყნებიდან მომდინარეობდა, რო-მელთაც იმპერიისგან დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილი ამოძრავებდათ და მათ ამ სურვილის განხორციელებას მხარს სხვა იმპერიები უჭერდნენ, ეს კი ოსმალეთის მმართველებისთვის მნიშვნელოვან <u>გამოწვევას წარ</u>მოადგენდა და შესაბამის რეაგირებას მოითხოვდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე ცა-

1 Mearsheimer J., The Tragedy of Great Power by Politics; US, გვ. 348 Erti shriptis unda ikos kvela.

2 Walt, S.M., 5. Alliance Formation and the Balance of World Power გვ.6.

ლსახაა, რომ ოსმალეთი ცდილობდა საიმედო პარტნიორთან სამხედრო სამოკავშირეო შეთანხმებით ევროპის კონტინენტზე განემტკიცებინა პოზიციები და მოეხდინა დიდ სახელმწიფოებთან სამხედრო და ეკონომიკური მიმართულებებით არსებული ჩამორჩენის აღმოფხვრა.

XVIII საუკუნიდან მოყოლებული ოსმალეთისათვის მისაღები გახდა პრუსიათან მრავალვექტორული ალიანსი და თანამშრომლობა. თუ რამ განაპირობა არსებული მდგომარეობა, ამისათვის საჭიროა, რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე ყურადღების გამახვილება. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ პრუსიას პოლიტიკურად ნეიტრალური დამოკიდებულება გააჩნდა ოსმალეთის იმპერიის მიმართ, ასევე სავარაუდოა, რომ იმპერიის მმართველების მიერ პრუსიასთან თანამშრომლობაზე მიღებულ გადაწყვეტილებისას გათვალისწინებული იქნა შემდეგი საკითხები: სახელმწიფოები არ ესაზღვრებოდნენ ერთმანეთს, მათ შორის იდეოლოგიური კვეთა არ არსებობდა და მნიშვნელოვან საკითხებში ერთმანეთის კონკურენტები ვერ გახდებოდნენ, ეს კი შემდგომში გამორიცხავდა ძირითადი საკითხების ირგვლივ უთანხმოებას,[3] ასევე პრუსია რელიგიური მრწამსით წარმოადგენდა პროტესტანტულ სახელმწიფოს, ამიტომ შემდგომში ოსმალეთის იმპერიას შედარებით გაუადვილდებოდა მასთან ურთერთობა.

1718 წლის 14 იანვარს პრუსიის მეფე ფრიდრიხ I-ისადმი გაგზავნილი წერილით, საფუძველი ჩაეყარა პრუსიასა და ოსმალეთს შორის თანამშრომლობას. ოსმალეთის დიდი ვეზირი ნიშანჯი მეჰმედ ფაშა პოჟარევეცის საზავო მოლაპარაკებების ფარგლებში[4] ცდილობდა პოლონეთის, რუსეთის და პრუსიის მხარდაჭერის მოპოვებას. ეს ფაქტი შესაძლებელია ჩაითვალოს პრუსიასთან დიპლომატიური ურთიერთობების საწყის ეტაპად და შეფასდეს მათ შორის სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის პირველ მცდელობად.

ორ ქვეყანას შორის მჭიდრო კონტაქტები კი პრუსიის მეფის ფრიდრიხ II-ის მმართველობის პერიოდში დაიწყო, რაც განპირობებული იყო ორივე სახელმწიფოს ავსტრიასთან და რუსეთთან დაპირისპირებით. ფრიდრიხ II-ის ინიციატივით დაიწყო მოლაპარაკებები პრუსიას და ოსმალეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. ოსმალეთის სახელმწიფომ პირველ ეტაპზე უარი თქვა შეთანხმებაზე, თუმცა მოგვიანებით 1761 წელს ოსმალეთსა და პრუსიას შორის გაფორმდა მეგობრობის და ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება.[5] 1787 წელს ოსმალეთის ომმა რუსეთთან და ავსტრიასთან, პრუსიას და ოსმალეთს უბიძგა სამოკავშირეო მოლაპარაკებების განახლებისკენ, რის შედეგადაც 1790 წლის 30 იანვარს მათ შორის გაფორმდა თავდაცვითი ალიანსი, აქვე აღსანიშნავია, რომ ეს იყო ოსმალეთის სახელმწიფოს პირველი სამოკავშირეო ხელშეკრულება ქრისტიანულ სახელმწიფოსთან.[6]

1768-1789 წლებში ოსმალეთის იმპერიის მიერ წარმოებულმა ომებმა კიდევ უფრო აშკარა გახადა, რომ იმპერიის სამხედრო შესაძლებლობები ევროპული ქვეყნებისას მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. 1798 წელს ოსმალეთის სულთანმა სელიმ III-მ მიზნად იმპერიის დიპლომატიური იზოლაციიდან გამოყვანა დაისახა, მისი ინიციატივით ძირითად ევროპული სახელმწიფოების დედაქალაქებში დაფუძნდა საელჩოები, რომელთა საშუალებითაც ცდილობდა ევროპული ქვეყნებიდან მიეღო მაქსიმალური ინფორმაცია უსაფრთხოებისა და მრეწველობის კუთხით არსებული თანამედროვე მიდგომების შესახებ, ასევე მათი სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით ძლიერ და სუსტ მხარეებზე.[7] პრუსიაში ოსმალეთის ელჩის თანამდებობაზე დაინიშნა ალი ეფენდი, რომელიც სულთანს აწვდიდა მნიშვნელოვან ინფორმაციას ევროპასა და აზიაში ნაპოლეონის ომების დინამიკის შესახებ.

ოსმალეთსა და პრუსიას შორის სამხედრო დიპლომატიური თანამშრომლობის გააქტიურების მიზნით, სულთნის თხოვნის საფუძველზე, რომელსაც სურდა ოსმალეთის არმიის რეფორმირება, ოსმალეთში მივლინებული იქნა პრუსიის სამხედრო ატაშე ოსმალეთის იმპერიაში, პოლკოვნიკი ფონ გოცე. მან თავის ჯგუფთან ერთად განახორციელა ოსმალეთის სამხედრო ქვედანაყოფების ინსპექტირება. ამ ფაქტის მიუხედავად, აღნიშნულ პერიოდში ოსმალეთ-პრუსიის ურთიერთობები სათანადო დონეზე ვერ განვითარდა, ხოლო 1806 წელს, ნაპოლეონის მიერ პრუსიის დაპყრობის შემდეგ დაიხურა პრუსიის საელჩო სტამბოლში.[8]

1826 წელს მაჰმუდ II-მ დაიწყო ოსმალეთის არმიის რეორგანიზაცია, მან გააუქმა იენიჩართა კორპუსი და სურდა ევროპული ყაიდის არმიის ფორმირება, რისთვისაც ოსმალეთმა აქცენტი გადაიტანა

---

3 როგორც ს.უოლტი ამტკიცებს სახელმწიფოები, რომლებიც იზიარებენ იდეოლოგიებს, უფრო მეტ კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, ვიდრე მტკიცე ალიანსების შექმნისას.

4 Ahmet Taşdemir; The Ottoman And German Relations Durıng The Reign Of Abdülhamid II (1876-1909); გვ. 5.

5 İ.H. Uzunçarşılı, Osmanlı Tarihi. გვ. 346-347.

6 Ord. Prof. Enver Zıya Karal; Osmanlı Tarihi, VIII. Cilt; Birinci Meşrutiyet ve İstibdat Devirleri (1876-1907); გვ. 164.

7 საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთის იმპერია სადაზვერვო ინფორმაციის მიღებასა და შეგროვებას მინიმუმ ოთხი ძირითადი მიმართულებიდან ახდენდა: 1. კონსტანტინოპოლში სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვება, 2. ქვეყნის პერიფერიებში იმპერიის საზღვრების გასწვრივ სიტუაციის დაზვერვა და ინფორმაციის შეგროვება, 3. ვასალი სახელმწიფოების დაზვერვის სამსახურებიდან მოწოდებული ინფორმაცია, 4. ხელისუფლების მიერ ჯაშუშებისა და დივერსანტების მიერ განხორციელებული ჯაშუშობის და კონტრჯაშუშური საქმიანობით უცხო ქვეყანებიდან ინფორმაციის მოპოვება.

8 Dr. Mustafa Albayrak, Osmanlı-Alman İlişkilerinin Gelişimi ve Bağdat Demiryolunun yapımı; გვ. 2.

პრუსიელ ოფიცრებზე.[9]

1836 წელს სულთანმა მაჰმუდ II-მ, პრუსიის მეფეს, ფრიდრიხ III-ს სთხოვა სამხედრო მისიის გაგზავნა, მისი ეს თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა და პრუსიის ჯარების კაპიტანი ჰელმუდ ფონ მოლტკე[10] წარიგზავნა ოსმალეთის იმპერიაში სამხედრო მრჩევლად.[11] 1839 წელს ჰ. ფ. მოლტკეს მისია დასრულდა, რაც გამოწვეული იყო ოსმალეთის არმიის ნეზიბეს ბრძოლაში მარცხით და სულთან მაჰმუდ II-ის გარდაცვალებით.

გერმანიის იმპერიის შექმნის შემდეგ,[12] ორ იმპერიას შორის პოლიტიკური თანამშრომლობის ახალი ფურცელი გადაიშალა. ამასთანავე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქვეყნებს შორის სამხედრო დიპლომატიის გამოყენებით უსაფრთხოების კუთხით თანამშრომლობამ. ოტო ფონ ბისმარკმა გერმანიის შემდგომი განვითარების ახალი დღის წესრიგი შეიმუშავა, მისი პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საფრანგეთის იზოლაცია, რის გამოც დაიწყო ავსტრიასთან და რუსეთთან დაახლოების პოლიტიკა.

ოსმალეთის ისტორიაში ერთ-ერთი გარდამტეხი წერტილი გახდა 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი და მის შედეგად ხელმოწერილი სან-სტეფანოსის (აიასტეფანოსის) და ბერლინის ხელშეკრულებები, რომელთა შედეგადაც ოსმალეთმა დაკარგა ტერიტორიები როგორც ბალკანეთში, ასევე კავკასიაში.

მიუხედავად იმისა, რომ ო. ფ. ბისმარკი სულ უფრო და უფრო მჭიდრო სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს ანვითარებდა ოსმალეთის იმპერიასთან, ის მაინც ე.წ. ,,რეალპოლიტიკის" მომხრე იყო და ითვალისწინებდა ევროპის ძირითადი მოთამაშეების შეხედულებებს ოსმალეთთან თანამშრომლობის საკითხში. პრუსიის ხელმძღვანელობა მოზომილი პოლიტიკით და მიდგომით მაქსიმალურად ცდილობდა არ გაემწვავებინა ევროპულ სახელმწიფოებთან ურთიერთობა. მას არ სურდა ორ ფრონტზე ბრძოლა საფრანგეთის და რუსეთის კავშირის წინააღმდეგ.[13] შეიძლება აღინიშნოს, რომ გერმანიის რეალური დაახლოება ოსმალეთის სახელმწიფოსთან დაიწყო 1882 წლიდან, როდესაც სტამბოლში ჩავიდა პირველი გერმანული სამხედრო დელეგაცია და პიკს მიაღწია ვილჰელმ II-ის მმართველობის პერიოდში.[14]

1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომში განცდილმა მარცხმა ოსმალეთის სახელმწიფოს დღის წესრიგში კვლავ დააყენა არმიის რეორგანიზაციის საჭიროება. ოსმალეთის არმია არ იყო აღჭურვილი სათანადო დონეზე და განიცდიდა კვალიფიციური ოფიცრების დეფიციტს. სულთანმა 1880 წელს დახმარების ანალოგიური თხოვნით მიმართა გერმანიას.[15] თავის მხრივ ბისმარკმა კაიზერ ვილჰელმ I-ს მიმართა წერილით, რომელშიც ჩამოაყალიბა საკუთარი პოზიცია აბდულჰამიდ II-ის თხოვნის თაობაზე. წერილში ბისმარკი აღნიშნავდა, რომ გერმანიამ უნდა დააკმაყოფილოს ოსმალეთის თხოვნა, შემდეგი 5 მიზეზის გამო:

უმჯობესია ეს მისია შეასრულონ გერმანელმა სამხედროებმა, ვიდრე ფრანგმა და ბრიტანელმა სამხედროებმა;

გერმანელი სამხედროები შეიძენენ ოსმალეთის იმპერიაში მუშაობის გამოცდილებას;

გერმანიას მიეცემა საშუალება ოსმალეთის იმპერიიდან შეაღწიოს აღმოსავლეთში;

გერმანია მიიღებს შესაძლებლობას მოიპოვოს სადაზვერვო ინფორმაცია აღმოსავლეთთან მიმართებით;

ოსმალეთის არმია სასარგებლო იქნება პანსლავიზმის შეჩერების კუთხით.[16]

აღსანიშნავია, რომ ბისმარკისათვის, მისი ნეიტრალური პოლიტიკის მიუხედავად, მიუღებელი იყო რუსეთის მიერ სტამბოლის დაკავება და იგი თვლიდა, რომ თუ რუსები შევლენ კონსტანტინოპოლში, ერთ წელიწადში ისინი ასევე დაიკავებდნენ კენინსბერგს.[17] იგი წერილში ასევე წერდა, რომ ოსმალეთი გერმანიისთვის არ წარმოადგენდა საფრთხეს, თუმცა მათი მტრები შესაძლებელია იყვნენ გერმანიის მტრები. ასევე აღსანიშნავია გერმანიის გენერალური შტაბის უფროსის თანაშემწის, გრაფ ფონ ვალდერსეს განცხადება, რომლის თანახმადაც გერმანიას და რუსეთს შორის ომი გარდაუვალია და გერმანია უნდა დაეხმაროს ოსმალეთს, რათა გაამლიეროს მისი არმია და ომის შემთხვევაში გაიხადოს ოსმალეთი მოკავშირედ.[18]

1881 წელს, საბერძნეთისთვის და მონტენეგროსთვის ტერიტორიების დათმობის შემდეგ, ოს-

9 Ahmet Taşdemir; The Ottoman And German Relations Durıng The Reign Of Abdülhamid II (1876-1909); გვ. 7.

10 შემდგომში გენერალ ფელდმარშალი, პრუსიის გენერალური შტაბის უფროსი. გერმანიის იმპერიის ერთ-ერთი დამაარსებელი.

11 Helmuth Von. Moltke, Moltkenin Türkiye Mektupları, (İstanbul: Remzi Kitabevi, 1995), გვ.36.

12 1871 წელს პრუსიის მეფე ვილჰელმ I ვერსალში აკურთხეს გერმანიის იმპერატორად, 1871-1918 წლებში პრუსია იწოდებოდა გერმანიის იმპერიად.

13 Ord. Prof. Enver Zıya Karal; Osmanlı Tarihi, VIII. Cilt; Birinci Meşrutiyet ve İstibdat Devirleri (1876-1907); გვ. 168.

14 Ahmet Taşdemir; The Ottoman And German Relations Durıng The Reign Of Abdülhamid II (1876-1909); გვ. 12.

15 Ahmet Taşdemir; The Ottoman And German Relations Durıng The Reign Of Abdülhamid II (1876-1909); გვ. 41.

16 N. Alkan, II. Abülhamid Devrinde İstihdam Edilen İlk Alman Askeri Heyetinin Komutanı Otto von Kahler ve Her İki Tarafın Beklentileri, გვ. 151–152.

17 İsmail Kemal Bey, The Memoirs of Ismail Kemal Bey, (London: Constable, 1920), p.99.

18 M. Özyüksel, Osmanlı İmparatorluğu'nda Nüfuz Mücadelesi: Anadolu Ve Bağdat Demiryolları, Türkiye İş Bankası Kültür Yayınları, 2008; გვ. 31.

მალეთმა დახმარების საკითხი კვლავ დააყენა დღის წესრიგში და ბერლინში მიავლინა დელეგაცია.[19] გერმანული სამხედრო მრეწველობის კომპანიები, განსაკუთრებით „Krupp“ და „Mauser“ ახდენდნენ ზეწოლას გერმანიის მთავრობაზე, რათა მათ დროულად მიეღოთ გადაწყვეტილება და ოსმალეთის არმიისთვის გაეგზავნათ მათ მიერ წარმოებული შეიარაღება.[20]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გერმანიის ოსმალეთთან სამხედრო დიპლომატიის და თანამშრომლობის ძირითად მიზნებად შეიძლება მიჩნეული იქნას შემდეგი საკითხები:

გერმანიის მიერ ოსმალეთში პოლიტიკური და სამხედრო გავლენების მოპოვების სურვილი;

გერმანიის მიერ სადაზვერვო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობების გაზრდა. ასევე, სტამბოლში მყოფი უცხო ქვეყნების დიპლომატიური მისიების, განსაკუთრებით სამხედრო ატაშეების მოქმედებების გაკონტროლება;

გერმანული სამხედრო წარმოებისთვის ახალი გასაღების ბაზრის მოპოვება;

რუსეთის შეკავებისთვის საჭირო ზომების გატარება.

1882 წელს სტამბოლში ჩავიდა პოლკოვნიკი ოტტო ფონ კეჰლერის ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ კაპიტანი კამპჰოვენერი (ქვეითი), კაპიტანი ჰობე (კავალერისტი) და კაპიტანი რისტოუ (არტილერისტი).[21] აღსანიშნავია, რომ გერმანელ სამხედროებს მიენიჭათ ოსმალეთის არმიის უფრო მაღალი სამხედრო წოდებები.[22] პოლკოვნიკი ოტტო ფონ კეჰლერის ჯგუფი მუშაობას შეუდგა 1882 წლის ივლისში. ეს უკანასკნელი დაინიშნა ოსმალეთის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილედ.[23]

გერმანელმა სამხედროებმა პირველ ეტაპზე შეისწავლეს ოსმალეთის არმიაში არსებული ვითარება[24] და ანალიზის შედეგად სულთან აბდულჰამიდ II-ს წარუდგინეს ანგარიში, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ოსმალეთის არმიის რეორგანიზაციას. მომზადებული ანგარიშის მიხედვით ნიმუშად აღებული იქნა 1813-1860 წლებში გერმანიის არმიის ორგანიზაციული სტრუქტურა. ანგარიში შეიცავდა 10 ძირითად მიმართულებას:

საარმიო კორპუსებში რეზერვის ქვედანაყოფების შექმნა და სასწავლო და სამობილიზაციო ქვედანაყოფების რეორგანიზაცია;

რეგულარული არმიის ოფიცრების მომზადების სისტემის შექმნა;

სამობილიზაციო და ომის გეგმების შექმნა;

გენერალური შტაბის თეორიული და პრაქტიკული მომზადება მმართველობის ყველა დონეზე;

სამხედრო აკადემიების სასწავლო გეგმების შეცვლა, კურსანტთა საველე სწავლებების ინტენსიფიკაცია და კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდა;

მშვიდობის და ომის პერიოდში არმიის მომარაგების სისტემის შექმნა;

ომისთვის ვარგისი ყველა ცხოველის აღწერა;

კავშირგაბმულობის გამართული სისტემის შექმნა;

ტაქტიკური მომზადების და მანევრის შესაძლებლობების გაუმჯობესება;

სტამბოლში, გერმანულ მაგალითზე, სამხედრო ქვედანაყოფის ფორმირება, სადაც მოხდებოდა ოფიცრების გადამზადება ახალი ტაქტიკური და საორგანიზაციო სისტემების შესაბამისად.[25]

1885 წელს ოსმალეთში გერმანელი სამხედრო ჯგუფის ხელმძღვანელი გახდა ბარონი კოლმარ ფონ დერ გოლცი,[26] რომლის სახელსაც უკავშირდება ოსმალეთის არმიის ძირითადი რეფორმირების პროცესი, რის შედეგადაც მან ოსმალეთში დიდი პოპულარობა და გავლენები მოიპოვა.[27] აღნიშნულ პერიოდში გერმანიას და ოსმალეთს შორის სამხედრო თანამშრომლობამ მნიშვნელოვნად გაზარდა ოსმალეთის არმიის შესაძლებლობები, რის შედეგადაც ,,ოსმალეთის განახლებულმა არმიამ“ 1897 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომში შეძლო რუსეთის დამარცხება. სამხედრო დიპლომატიური თანამშრომლობის ფარგლებში ოსმალეთის არმიის ტრანსფორმაცია განხორციელდა სამი ძირითადი მიმართულებით: ახალგაზრდა ოფიცრების მომზადება; არმიის სტრუქტურული რეორგანიზაცია; ოსმალეთის არმიის გერ-

19 N. Alkan, II. Abülhamid Devrinde İstihdam Edilen İlk Alman Askeri Heyetinin Komutanı Otto von Kahler ve Her İki Tarafın Beklentileri, გვ. 155-156.

20 Ahmet Taşdemir; The Ottoman And German Relations Durıng The Reign Of Abdülhamid II (1876-1909); გვ. 43.

21 Ahmet Taşdemir; Osmanlı-Alman İlişkilerini Yeniden Okumak: Sultan II. Abdülhamid dönemi (1876-1909) გვ. 4.

22 ოტტო ფონ კეჰლერმა სწრაფად მიიღო წოდებები და ოსმალეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტის წოდებით მსახურობდა, ხოლო სამსახურის ბოლოს ოსმალეთის მარშალი იყო. დანარჩენ ოფიცრებს ოსმალეთის არმიის პოლკოვნიკის წოდებები მიენიჭათ. Jehuda Lotthar Wallach, Bir Askeri Yardımın Anatomisi: Türkiye'de Prusya-Almanya Askeri Heyetleri (1835-1919), (Ankara: Genelkurmay Basımevi, 1985); გვ. 33.

23 Jehuda Lotthar Wallach, Bir Askeri Yardımın Anatomisi: Türkiye'de Prusya-Almanya Askeri Heyetleri (1835-1919), (Ankara: Genelkurmay Basımevi, 1985); გვ. 52.

24 გერმანული სამხედრო მისიის ანგარიშის თანახმად არსებობდა დიდი პრობლემები ოფიცრებისთვის და ჯარისკაცებისთვის ანაზღაურების გადახდის, სამხედრო ფორმით და ფეხსაცმელებით უზრუნველყოფის, სამხედრო განათლების და კვების კუთხით. Ahmet Taşdemir; The Ottoman And German Relations Durıng The Reign Of Abdülhamid. II (1876-1909); გვ. 44.

25 Ahmet Taşdemir; The Ottoman And German Relations Durıng The Reign Of Abdülhamid II (1876-1909); გვ. 45.

26 ოსმალეთში სამსახური დაიწყო 1883 წელს, ხოლო ჯგუფის ხელმძღვანელი გახდა 1885 წელს, ო.ფ. კეჰლერის გარდაცვალების შემდეგ. იგი გერმანელი სამხედროების ჯგუფს ხელმძღვანელობდა 1895. წლამდე. Ahmet Taşdemir; Osmanlı-Alman İlişkilerini Yeniden Okumak: Sultan II. Abdülhamid dönemi (1876-1909) გვ. 5.

27 Erol Akcan, "Colmar Von der Goltz Paşanın Osmanlı Ordusu ve Asker Sivil Aydınlar Üzerindeki Etkisi" Atatürk Dergisi, Vol. 4, (2015, გვ.18.

მანული იარაღით აღჭურვა.

ახალგაზრდა ოფიცრების მომზადება. გერმანელი სპეციალისტების და უშუალოდ ფონ დერ გოლცის მონაწილეობით ოსმალეთის სამხედრო სასწავლებლების სასწავლო პროგრამა შესაბამისობაში მოვიდა გერმანული აკადემიების პროგრამასთან. მან ყურადღება გაამახვილა სამხედრო საგნებზე (ომის ისტორია, ომის ხელოვნება, უცხო ქვეყნების არმიების ორგანიზაცია, სამხედრო გეოგრაფია) და საველე სწავლებებზე.[28] შესაბამისად, აღნიშნული პროცესის შედეგად საფუძველი ჩაეყარა ოსმალეთის და შემდგომში თურქეთის რესპუბლიკის ახალი სამხედრო ელიტის ფორმირებას. ფონ დერ გოლცს „თურქეთის არმიის მამასაც“ უწოდებენ.

არმიის სტრუქტურის რეორგანიზაცია. გერმანელი სპეციალისტების მონაწილეობით შემუშავებული იქნა ახალი სავალდებულო სამხედრო გაწვევის სისტემა, რომელიც ყველა 20 წლის მუსლიმ მამაკაცს ავალდებულებდა სამხედრო სამსახურის გავლას.[29] შესაბამისად გაიზარდა როგორც რეგულარული, ასევე სარეზერვო ქვედანაყოფების საბრძოლო შესაძლებლობები და რაოდენობა.[30]

ოსმალეთის არმიის გერმანული იარაღით აღჭურვა. 1885-1905 წლებში ოსმალეთის არმიამ გერმანიიდან მიიღო 1800-მდე ქვემეხი და 900 000-მდე შაშხანა. ფონ დერ გოლცმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გერმანული იარაღის კომპანიებს და ოსმალეთს შორის თანამშრომლობის განვითარებაში. მაგალითად ოსმალეთის არმიამ 1884-1905 წლებში კომპანიისგან „Krupp“ 1924 ერთეული ქვემეხი შეისყიდა, ამათგან 1035 ერთეული შესყიდული იქნა ფონ დერ გოლცის ოსმალეთში მოღვაწეობის პერიოდში. კომპანიამ „Mauser“ ოსმალეთს 1887-1893 წლებში მიაწოდა 700 000 ერთეული შაშხანა, რომელთა მიწოდებაც ასევე შესაძლებელი გახდა ფონ დერ გოლცის შუამავლობით.[31] კომპანიისგან „Krupp“ შესყიდული იქნა 88 მლნ. მარკის ღირებულების, ხოლო კომპანიისგან „Mauser“ – 37 მლნ. მარკის შეიარაღება, რომელიც დაფინანსდა გერმანული „Deutsche Bank“-ის მიერ ოსმალეთის სახელმწიფოსთვის გაცემული კრედიტით.[32]

1895 წელიდან ოსმალეთ-გერმანიის სამხედრო ურთიერთობებში ძირითადი დატვირთვა გადავიდა გერმანიის სამხედრო ატაშეებზე, რომლებიც ამზადებდნენ ანგარიშებს ოსმალეთის არმიის შესახებ და იღებდნენ გერმანული კომპანიებისთვის სამხედრო შეკვეთებს.[33] გერმანელმა სამხედრო ატაშეებმა ოსმალეთში მოიპოვეს დიდი გავლენები. მათ ახლო ურთიერთობები გააჩნდათ „ახალგაზრდა თურქებთანაც“. გერმანული სამხედრო და სამეცნიერო განათლება ითვლებოდა უმთავრესად ოსმალეთის იმპერიაში და ეს ვითარება შენარჩუნდა ოსმალეთის იმპერიის დაცემამდე.

ხსენებულ სახელმწიფოების შორის ურთიერთობებში განსაკუთრებული ადგილი გეოპოლიტიკურ, სამხედრო და სამხედრო-ეკონომიკურ კავშირებს ეჭირათ.[34] არსებობს გარკვეული ვარაუდები, რომ სამხედრო თანამშრომლობა ეფუძნებოდა გერმანიის მხრიდან ოსმალეთის მაღალი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელების მოქრთამვის შედეგს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სახელისუფლო ჩინოვნიკების მოქრთამვის ცალკეულ ფაქტებზე აპელირებით, ნიველირება ხდება ორი იმპერიის სამხედრო დიპლომატიის მთლიანი პროცესისა, რომელიც მათ შორის ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა.

დასკვნა

ცხადია, როგორც პრუსიის, ისე ოსმალეთის პოლიტიკური მიზნების მიღწევისთვის სათანადოდ მომზადებული შეიარაღებული ძალები კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო. პრუსია ცდილობდა სამხედრო დიპლომატიის შესაძლებლობების გამოყენებით მიეღწია თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის, რაც გულისხმობდა ერთის მხრივ სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით ოსმალეთის იმპერიის პრუსიაზე დამოკიდებულობის გაზრდას და მეორეს მხრივ ოსმალეთთან სამხედრო თანამშრომლობით მას შეეძინა მნიშვნელოვან მოკავშირე, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში ავსტრიისა და რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო დაპირისპირებაში მისი მოკავშირე გახდებოდა.

მჭიდრო თანამშომლობის მიუხედავად, პირველ მსოფლიო ომამდე ოსმალეთიც და გერმანიაც შორს იყვნენ ახლო პარტნიორობის იდეისაგან. საერთო ჯამში როგორც ერთი, ასევე მეორე მხარე, თავისი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა და აქტიურად იყენებდნენ სამხედრო დიპლომატიაში არსებულ ყველა საშუალებას.

ორი იმპერია პირველი მსოფლიო ომის დროს ერთმანეთს კიდევ უფრო დაუახლოვდა, რაც მათი პოლიტიკურ და სამხედრო სფეროებში ხანგრძლივი თანამშრომლობის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენდა.

საბოლოო ჯამში უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო დიპლომატიას ქვეყნებს შორის თავდაცვისა

28 Jehuda Lotthar Wallach, Bir Askeri Yardımın Anatomisi: Türkiye'de Prusya-Almanya Askeri Heyetleri (1835-1919), (Ankara: Genelkurmay Basımevi, 1985); გვ. 46.

29 Jehuda Lotthar Wallach, Bir Askeri Yardımın Anatomisi: Türkiye'de Prusya-Almanya Askeri Heyetleri (1835-1919), (Ankara: Genelkurmay Basımevi, 1985); გვ. 90.

30 Ahmet Taşdemir; Osmanlı-Alman İlişkilerini Yeniden Okumak: Sultan II. Abdülhamid dönemi (1876-1909) გვ. 6.

31 Ahmet Taşdemir; Osmanlı-Alman İlişkilerini Yeniden Okumak: Sultan II. Abdülhamid dönemi (1876-1909) გვ. 6.

32 Yorulmaz . N; Arming the Sultan German Arms Trade and Personal Diplomacy in the Ottoman Empire Before World War I; გვ. 60-77.

33 Ahmet Taşdemir; The Ottoman And German Relations Durıng The Reign Of Abdülhamid II (1876-1909); გვ. 5.

34 Taşdemir A; The Ottoman And German Relations Durıng The Reign Of Abdülhamid II (1876-1909); US; გვ.3.

და უსაფრთხოების პოლიტიკის კონტექსტში ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. თანამედროვე ეპოქაშიც სამხედრო დიპლომატია ქვეყნებს შორის საგარეო პოლიტიკის ფორმირების ჩამოყალიბების პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Acemoglu. D; Robinson J., Why Nations Fail US , NY,2012 y;
2. Clark E.,The Ottoman Industrial Revolution; US; Cambridge University Press 1974 y;
3. Mearsheimer J., The Tragedy of Great Power by Politics; US, 2009 y;
4. Walt, S.M., 5. Alliance Formation and the Balance of World Power ; US; 2009 y;
5. Taşdemir A; The Ottoman And German Relations Durıng The Reign Of Abdülhamid II (1876-1909); US;
6. Karal E.; Osmanlı Tarihi; VIII. Cilt; Birinci Meşrutiyet ve İstibdat Devirleri (1876-1907); 2007 y;
7. Albayrak M.; Osmanlı-Alman İlişkilerinin Gelişimi ve Bağdat Demiryolunun yapımı; OTAM Ankara University Journal of Ottoman History Research and Appication Center; 1995 y;
8. Kitabevi R.; Helmuth Von. Moltke, Moltkenin Türkiye Mektupları; İstanbul, 1995 y;
9. Bayram Soy H., Almanya'nın Osmanlı Devleti Üzerinde İngiltere ile Nüfuz Mücadelesi; Phoenix Publishing House, 2004 y;
10. Ortaylı I; İkinci Abdülhamit Döneminde Osmanlı İmparatorluğunda Alman Nüfuzu; ANKARA ÜNİVERSİTESİ SİYASAL BİLGİLER FAKÜLTESİ YAYİNLARİ NO: 479; Ankara 1981 y;
11. Alkan N.; Abülhamid II Devrinde İstihdam Edilen İlk Alman Askeri Heyetinin Komutanı Otto von Kahler ve Her İki Tarafın Beklentileri; İstanbul Üniversitesi Edebiyat Fakültesi Tarih Dergisi; 2006 y;
12. İsmail K. Bey, The Memoirs of Ismail Kemal Bey; London: Constable, 1920 y;
13. Özyüksel M.; Osmanlı İmparatorluğu'nda Nüfuz Mücadelesi; Anadolu Ve Bağdat Demiryolları, Türkiye İş Bankası Kültür Yayınları; 2008 y;
14. Wallach J. L.; Bir Askeri Yardımın Anatomisi: Türkiye'de Prusya-Almanya Askeri Heyetleri (1835-1919); Ankara; Genelkurmay Basımevi, 1985 y;
15. Akcan E.; "Colmar Von der Goltz Paşanın Osmanlı Ordusu ve Asker Sivil Aydınlar Üzerindeki Etkisi" Atatürk Dergisi; Vol. 4; 2015 y;
16. Yorulmaz . N; Arming the Sultan German Arms Trade and Personal Diplomacy in the Ottoman Empire Before World War I; I.B. Tauris Co.LTD US; 2014 y.

ტოტალური თავდაცვის (სამხედრო/სამოქალაქო) იმპლიმენტაციის პროცესის გამოწვევები საქართველოში

ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი,
თავდაცვის ანალიზის მაგისტრი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ტოტალური თავდაცვის კონცეფციის როლის მნიშვნელობა საქართველოს თავდაცვის და უსაფრთხოების განმტკიცების საკითხში. ყურადღება გამახვილებულია სამხედრო და სამოქალაქო თავდაცვის, როგორც ტოტალური თავდაცვის კომპონენტის მნიშვნელობაზე.

რეგიონში მიმდინარე პროცესები და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევები მიგვანიშნებს, რომ ქვეყნის თავდაცვის და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია თავდაცვის მიმართულებით მყარი საფუძვლების ჩამოყალიბება. დღევანდელი მდგომარეობით, რეგიონში საქართველო წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ქვეყანას საფრთხეების თვალსაზრისით. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია ისეთი თავდაცვის კონცეფციის შემუშავება, რომელიც პატარა ქვეყნის მთლიან ეროვნულ პოტენციალს მიმართავს ქვეყნის ეროვნული ინტერესების დასაცავად.

საქართველოში, ტოტალური თავდაცვის კონცეფციის სხვა კომპონენტებისგან განსხვავებით, სამხედრო და სამოქალაქო თავდაცვის განხორციელება წარმოადგენს გამოწვევას, რადგან ქვეყნის მოსახლეობა გამოირჩევა მრავალეროვნული და მრავალრელიგიური ნიშნით. ეთნიკურ უმცირესობებს აქვთ განსხვავებული შეხედულებები სამოქალაქო ვალდებულებებთნ დაკავშირებით, რაც, თავისთავად, იწვევს მათი ერთი იდეოლოგიის ქვეშ გაერთიანების პრობლემას. პრობლემის გადაჭრის ერთადერთ ეფექტურ გზად კი შეიძლება განხილულ იქნას ტოტალური თავდაცვის, კერძოდ კი სამოქალაქო თავდაცვის მიმართულებით მოსახლეობის ინფორმირებულობის და მომზადების სისტემის შემუშავება. სამხედრო თავდაცვას კი მცირე ცვლილებები სჭირდება სავალდებულო სამსახურისა და რეზერვის სისტემების გაუმჯობესების კუთხით.

საკვანძო სიტყვები:
ეროვნული უსაფრთხოება, ტოტალური თავდაცვა, სამხედრო თავდაცვა, სამოქალაქო თავდაცვა.

Challenges of the Implementation of Total Defence (Military/Civil Defence) in Georgia

Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze
Head of Defence and Security Program of Baccalaureate
LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Master's Student in Defence Analysis

Abstract

This article discusses the importance of the total defence concept for strengthening the defence and security of Georgia and focuses on the significance of the military and civil defence as the components of total defence.

The ongoing processes in the region and national security challenges of Georgia indicate that it is important to build solid foundations in defence in order to maintain the defence and security of the country. Currently, Georgia, in terms of threats, is one of the most vulnerable countries in the region. Therefore, it is advisable to develop a defence concept that addresses the overall national potential of a small nation to protect the national interests of the country.

Unlike other components of the total defence concept in Georgia, promoting the military and civil defence is a challenge because the population of the country is multi-ethnic and multi-religious. Ethnical minorities have different attitudes regarding the duties of citizenship that in itself leads to the problem of uniting them under the same ideology. Developing a system of awareness along with the training of the population in total defence, and specifically, in civil defence, can be considered as the only effective way to solve the problem. Military defence requires slight changes regarding the improvement of the compulsory military service and reserve systems.

Keywords:
National Security, Total Defence, Military Defence, Civil Defence.

შესავალი

გასული საუკუნის დასაწყისში დიდი ქვეყნების მიერ პატარა ქვეყნების ხელში ჩაგდება და დანაწევრება ჩვეულებრივი მოვლენა იყო საერთაშორისო პოლიტიკაში, მაგრამ ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან დიდი იმპერიების ნგრევის შედეგად, პატარა ქვეყნების რიცხვი გაიზარდა. ქვეყნები, რომლებიც ხასიათდებიან მცირე ტორიტორიებით, მოსახლეობით, რესურსებით, სამხედრო ძალით და გავლენებით არიან სუსტი ქვეყნები. ამ ტიპის სახელმწიფოებს არ შესწევთ ძალა დაიცვან ქვეყნის ეროვნული ინტერესები რეგიონალურ და საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე.[1] მსგავსი ტიპის ქვეყნებს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა, მეტ წილად, ექმნებათ რეგიონალურ დონეზე, როდესაც პატარა ქვეყანა აღმოჩდება ისეთი ძლიერი სახელმწიფოს მეზობლად, რომელსაც ფუნდამენტურად განსხვავებული შეხედულებები აქვს მეზობელ სახალმწიფოსთან ურთიერთობის საკითხებში. მათი ეროვნული უსაფრთხოება უმეტეს შემთხევვაში დამოკიდებულია მიტმასნების ან დაბალანსების პოლიტიკაზე. პატარა ქვეყნები საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მსოფლიო პილიტიკის წამყვან ქვეყნებთან პარტნორობით ცდილობენ მიზნის მიღწევას. პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პატარა ქვეყნები ვერ იქნებიან მხოლოდ პარტნიორი ქვეყნების დახმარების იმედად. მათ სჭირდებათ საკუთარი კონცეფციის შემუშავება, რომელიც მთლიან ეროვნულ პოტენციალს გარდაქმნის ერთ ძლიერ ძალად და მიმართავს ეროვნული ინტერესების დასაცავად. განხილული საკითხებიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი პრობლემების წინაშეა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებაც, შესაბამისად საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ისეთი კონცეფციის შემუშავება, როგორიც არის ,,ტოტალური თავდაცვა''. აღნიშნულ კონცეფციას შეუძლია გახდეს საქართელოს ეროვნული უსაფრთხოების დაცვის გარანტი.

ძირითადი ნაწილი

კონცეფცია ,,ტოტალური თავდაცვა" წარმოადგენს მთლიანი ეროვნული რესურსების მობილიზებას ყველა ტიპის საფრთხეების წინააღმდეგ, რომელიც უცხოურ გამოცდილებაზე დაყდნობით შემუშავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ და ჩამოყალიბდა შემდეგ ოთხ კომპონენტში: ,,ფსიქოლოგიური და ინფორმაციული თავდაცვა, სამხედრო თავდაცვა, სამოქალაქო თავდაცვა, ეკონომიკური თავდაცვა''.[2] რა თქმა უნდა, ტოტალური თავდაცვის ყველა ზემოჩამოთვლილი კომპონენტის განხორციელება მნიშვნელოვანია, თუმცა სტატიაში ყურადღება გამახვილებული იქნება მხოლოდ სამხედრო და სამოქალაქო თავდაცვის კომპონენტის აუცილებლობაზე.

სამხედრო თავდაცვის კომპონენტის განხორციელება მნიშვნელოვანია საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნებისთვის, რადგან მცირერიცხოვანი თავდაცვის ძალებით შეუძლებელია ქვეყნის წინაშე დასმულ მრავალფეროვან საფრთხეებთან წარმატებით გამკლავება (მიუხედავად კარგი საბრძოლო მომზადებისა). აქედან გამომდიარე, საქართველოს ტოტალური თავდაცვის სამხედრო კომპონენტში გათვალისწინებულია რეზერვის და სამხედრო სავალდებულო სამსახურის სისტემების ეფექტური ინტეგრირება.[3] გამართული და ეფექტური სამხედრო სავალდებულო სამსახურის სისტემა თავდაცვის ძალებისთვის უზრუნველყოფს რეზერვის სისტემის კვალიფიციური კადრებით შევსებას, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს სამოქალაქო თავდაცვის დონის ამაღლებას სამოქალაქო საზოგადოებაში, რადგან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მომზადებულ საქართველოს მოქალაქეს აქვს უნარი ადეკვატურად იმოქმედოს სამხედრო, ბუნებრივი და ტექნოგენური საგანგებო სიტუაციების დროს.

გამართული რეზერვის სისტემა, რომელიც კარგად იქნება ინტეგრირებული თავდაცვის ძალების (საკონტრაქტო) ქვედანაყოფებთან-არის კარგი საშუალება, უფრო ეფექტურად დაიგეგმოს და მაღალხარისხიანად განხორციელდეს ქვეყნის წინაშე წამოჭრილი ნებისმიერი ხასიათის საგანგებო სიტუაციის მართვა. აღნიშნული სისტემა საბრძოლო მოქმედებების დროს გაამარტივებს და შესაძლებელს გახდის თავდაცვის ძალების კვალიფიციური კადრებით შევსებას. ასევე შესაძლებელი იქნება საბრძოლო უზრუნველყოფის (ლოგისტიკური მარაგების დაცვა) და საბრძოლო მხარდაჭერის ოპერაციაში (მნიშვნელოვანი ობიექტების უსაფრთხოება) მონაწილეობა, რაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს სამანევრო ძალების დატვირთვას. ასევე რეზერვის სისტემის გამოყენებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ბუნებრივი და ტექნოგენური საგანგებო სიტუაციების დროს წარმოქმნილი ქაოსური სიტუაციის მართვა. მომზადებული რეზერვისტების საშუალებით შესაძლებელია მოხდეს დაშავებულების ევაკუაცია, მოსახლეობის საევაკუაციო ნაკადების მართვა, ტერიტორიების გაწმენდის სამუშაოების შესრულება, მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა და სხვა ღონისძიებების ჩატარება.

ტოტალური თავდაცვითი კონცეფციის წარმატებით განხორციელებისთვის ხაზი უნდა გაესვას მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზებას. ამ მიმართულებით, როგორც უკვე აღინიშნა, გასათვალისწინებელია რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ფაქტორი,

1 რონდელი ალექსანდრე. პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევების ფონდი. თბილისი. (2009) გვერდი 14-18.

2 ტოტალური თავდაცვის კონცეფცია (პროექტი). თვდაცვის სამინისტრო. თბილისი, (2017), 5.

3 ტოტალური თავდაცვის კონცეფცია (პროექტი). (2017), 7-8.

რადგან სამოქალაქო თავდაცვის წარატებით განსახორციელებლად საჭიროა მოსახლეობის თეორიულ-პრაქტიკული მომზადება და მათი მობილიზება/გაერთიანება ერთი იდეის გარშემო. გაერთიანების საკითხთან მიმართებაში კი აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ ფაქტზე, რომ ეთნიკური უმცირესობები გამოირჩევიან განსხვავებული დამოკიდებულებებით სამოქალაქო ვალდებულებების მიმართ.[4] გამომდინარე აქედან, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების საკითხი საფრთხის მატარებალია და საჭიროებს ფრთხილ მიდგომას. თუმცა მათი ჩართულობა საზოგადოებაში არის უმნიშვნელოვანესი, რაც დასტურდება კანონში არსებული ჩანაწერით. ,,ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული და რელიგიური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფა'.'[5] კანონში ჩანაწერი მიუთითებს ქვეყნის საგანმანათლებლო და საინფორმაციო სტრუქტურებს, რომ შეიქმნას ისეთი ტიპის სისტემა, რომელიც განურჩევლად ყველა საქართველოს მოქალაქისთვის დაიწყებს ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდებას. აღნიშნული მიდგომა გააჩენს შესაძლებლობას მოსახლეობის უმეტესი ნაწილი გაერთიანდეს ერთი იდეოლოგიის ქვეშ და ქონდეთ მზაობა, წვლილი შეიტანონ ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცების საკითხში. სწორედ აღნიშნული ერთობა არის მყარი საფუძველი სამოქალაქო თავდაცვის სისტემის განვითარებისთვის. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ,,საქართველოს დაცვა საქართველოს ყველა მოქალაქის ვალია''.[6] ვალდებულების მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო თავდაცვის სისტემის წარმატების საწინდარი ნაკლებად იქნება ის საზოგადოება, რომელიც აღიზარდა განსხვავებულ სახელმწიფოებრივ მოტივებზე (საბჭოთა კავშირი, სამოქალაქო ომი). ამ პროცესის წარმატებით განხორციელების ფუნდამენტური საძირკველი უნდა იყოს ახალგაზრდა თაობა, რომელიც ჩამოყალიბდება ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული სისტემის მიერ. წარმატებული სამოქალაქო მოდელის მაგალითად სასურველია განხილულ იქნას სინგაპურის სამოქალაქო თავდაცვის მოდელი, რადგან სინგაპურმა მე-20 საუკუნის მეორე ნახერიდან შეძლო და შექმნა მსოფლიოში ყველაზე წარმატებული სამოქალქო თავდაცვის მოდელი მიუხედავად რელიგიური/ეთნიკური უმცირესობების და რესურსების ნაკლებობისა. სინგაპურის მოდელზე დაყრდნობით ნათლად ჩანს მათი დამოკიდებულება ახალგაზრდა თაობის აღზრდის პროცესთან მიმართებით.

,,თავდაცვის სამინისტრო სკოლებს და მშობლებს 12 წლამდე ბავშვებისთვის სთავაზობს სახელმძღვანელოს და ბროშურებს, სადაც მოცემულია იმ აქტივობების ჩამონათვალი, რომელთა მიხედვით მშობლები, საწყის ეტაპზე, ბავშვისთვის გასართობ და მისაღებ ენაზე აწვდიან ინფორმაციას საგანგებო მდგომარეობისას პირველადი მოქმედებების შესახებ. ასევე, სინგაპურის მთავრობა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან თამაშებს და პროგრამებს (მაგალითად, როგორიცაა ,,Guardians of the City"), რომლებიც უზრუნველყოფენ ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებას საგანგებო მდგომარეობის მოქმედებების შესახებ".[7] მაგალითის მიხედვით ჩანს, რომ განათლების სისტემაში ინტეგრირებულია თითქმის ყველა სამთავრობო სტრუქტურა. სინგაპურში საზოგადოებისთვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებისთვის და მომზადებისთვის ზრუნავს მთლიანად სახელმწიფო სისტემა. მოქალაქეებს ადრეული ასაკიდან აძლევენ საგანგებო სიტუაციების შესახებ საჭირო ინფორმაციას, შესაბამისად ეს საკითხი თავისთავად ხდება ეროვნული თვითშეგნების და მოქალაქეობრივი ვალდებულებების ნაწილი. მსგავსი ტიპის სისტემები ხელს უწყობენ ეროვნული ინტერესების განმტკიცებას და საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლებას. ამ იდეოლოგიით აღზრდილი საზოგადოება ყოველთვის იქნება მზად მონაწილეობა მიიღოს სამოქალაქო უსაფრთხოების დაცვისა და განმტკიცების საკითხების გადაჭრაში.[8]

აღსანიშნავია, რომ ტოტალური თავდაცვის კონცეფციის განხორციელებას თან ახლავს რიგი გამოწვევები, როგორებიცაა: დრო, ადამიანური და ფინანსური რესურსი. ადამიანური და ფინანსური რესურსების პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია პარტნიორი ქვეყნებისა და მოსახლეობის დიდი ნაწილის მობილიზაციის საშუალებით, მაგრამ შეუძლებელია დროის პრობლემის გადაწყვეტა. სამოქალაქო თავდაცვის წარმატებით განხორციელებისას აქცენტი უფრო მეტად გამახვილებულია მომავალი თაობის სწორად აღზრდაზე და არა უკვე ჩამოყალიბებული საზოგადოების თვითშეგნების შეცვლაზე. შესაბამისად, სამოქალაქო თავდაცვის კომპონენტი წარმატებით ფუნქციონირებას დაიწყებს 10-15 წელიწადში, როცა ეროვნული ინტერესებით აღზრდილი თაობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის შესაბამის ასაკს მიაღწევს. დროის ეს პერიოდი შეიძლება სახიფათო აღმოჩდეს საქართველოსთვის, რადგან რეგიონში არსებული გეოპილიტიკური ვითარება და შიდა უასფრთხოების პრობლემები ქვეყანას მოდუნების საშუალებას არ აძლევს.

თუმცა უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო თავდაცვის კომპონენტის განხორციელებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოანი ფაქტორი არის წახელმწიფოებრივად მოაზროვნე სამოქალაქო საზოგადოების

4 ხაჩიძე ნიკოლოზ. სამოქალაქო თავდაცვა, როგორც სახელმწიფოს შიდა უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ეროვნული თავდაცვის აკადემია. გორი, (2022), 61.

5 ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ. თავი 2, მუხლი 8. თბილისი. (2015), 3.

6 საქართველოს კონსტიტუცია, თავი 8, მუხლი 70. ტბილისი. (2018), 21.

7 ანთაძე გიორგი, ლეჟავა ნინო. საქართველოს თავდაცვის მოდელები ტოტალური თავდაცვის სისტემაში. საქართელოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი. თბილისი, (2020), 21-23.

8 ხაჩიძე ნიკოლოზ. სამოქალაქო თავდაცვა, როგორც სახელმწიფოს შიდა უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ეროვნული თავდაცვის აკადემია. გორი, (2022), 62-63.

ჩამოყალიბება. აღნიშნული პროცესის სწორად განხორციელება სტარტეგიული მნიშვნელობის საკითხია და ამ მიზნის წარმატებით განხორციელება დროის მცირე მონაკვეთში შეუძლებელია. ასეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიზნის განხორციელება მხოლოდ დროში გაწერილი სწორი და გამოზომილი ნაბიჯების შესრულებითაა შესაძლებელი. ახალგაზრდა თაობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვამდე კი საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელსაც გააჩნია ეროვნული თვითშეგნება, სახელმწიფო სტრუქტურებთან კოორდინირებით უნდა შექმნას საფუძველი სამოქალაქო თავდაცვის ეფექტური სისტემის აშენებისთის.

დასკვნა

საქართველოს, ეროვნული ინტერესების და მრავალფეროვანი საფრთხეების გათვალისწინებით, სასწრაფოდ ესაჭიროება ტოტალური თავდაცვის კონცეფციის იმპლიმენტაციის პროცესის დაწყება. სამხედრო თავდაცვის კომპონენტის საკითხის განხორციელება მეტ წილად წარმატებით მიმდინარეობს, რადგან ამ მიმართულებით მუშაობა ხდება ჩამოყალიბებულ სისტემაში, თავდაცვის სამინისტროს ქოლგის ქვეშ. ასევე მნიშვნელოვანია პროცესის დაწყებისთვის და ეფექტურად განხორციელებისთვის დაიწყოს მოსახლეობის მომზადება-ინფორმირებულობა საგანგებო სიტუაციებისთვის. აუცილებელია განათლების სამინისტროს და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით მოხდეს ინფორმირებულობა და შემდეგ ეტაპზე მათი პრაქტიკულად მომზადება, პროცესის სრულფასოვნად განხორციელებისთვის აუცილებლად გასათვალისწინებელია საქართველოს ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ფაქტორი.

ზემოგანხილული ტოტალური თავდაცვის კონცეფციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების-სამოქალაქო თავდაცვის კომპონენტის განხორციელებისთვის წარმოგიდგენთ რამდენიმე რეკომენდაციას:

ა) მნიშვნელოვანია სამოქალაქო თავდაცვისთვის მზადების ეტაპი გახდეს სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება;

ბ) უფრო ეფექტურად უნდა იყოს გამოყენებული მასმედიის, საკომუნიკაციო ქსელებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების შესაძლებლობები;

გ) უნდა შექმნას შეტყობიმების მასობრივი და ინდივიდუალური სისტემა მოსახლეობის მოსალოდნელ საფრთხეებზე შეტყობინების მიზნით;

დ) სასურველია ჩამოყალიბდეს თავდაცვის ძალების დოქტრინა და ქვედანაყოფი, რომელიც იმოქმედებს გაწერილი რეგულაციების შესაბამისად;

ე) მოსახლეობის ინფორმირებულობა, განათლება, პრაქტიკულად მომზადება. ასევე მნიშვნელოვანია მათი ფსიქოლოგიური მომზადება;

ვ) მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის შეიქმნას სამოქალაქო თავდაცვის კურსების გავლის და სამოქალაქო თავდაცვის ქვედანაყოფებში გაწევრიანების შესაძლებლობა. (სამოქალაქო თავდაცვის ქვედანაყოფებში გადამზადებული მოქალაქეები გამოძახებული იქნებიან საგანგებო სიტუაციების დროს).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანთაძე გიორგი, ლეჟავა ნინო. საქართველოს თავდაცვის მოდელები ტოტალური თავდაცვის სისტემაში. საქართელოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი. თბ., 2020;
2. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ. თბ., 2015;
3. რონდელი ალექსანდრე. პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევების ფონდი. თბ., 2009;
4. საქართელოს კონსტიტუცია. თბ., 2018;
5. ტოტალური თავდაცვის კონცეფცია (პროექტი). თბ., 2017;
6. ხაჩიძე ნიკოლოზ. სამოქალაქო თავდაცვა, როგორც სახელმწიფოს შიდა უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ეროვნული თავდაცვის აკადემია. გორი, 2022.

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების პერსპექტივა ნატოსა და ევროკავშირის კონტექსტში

მაიორი პაატა მაისურაძე
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა
საერთო საჯარისო ცენტრის საბრძოლო უზრუნველყოფის ცენტრი,
სამხედრო ინსტრუქტორთა მომზადების კურსის უფროსი

აბსტრაქტი

სამეცნიერო ნაშრომის მიზანია შავი ზღვის რეგიონის წარმოჩენა, როგორც ერთ-ერთი ძირითადი გეოპოლიტიკური ლოკაცია ევროატლანტიკური უსაფრთხოებისათვის და საერთაშორისო ორგანიზაციების (ნატო; ევროკავშირი) ჩართულობის მნიშვნელობა, რეგიონში უსაფრთხო და სტაბილური გარემოს შესაქმნელად. ნაშრომში გაანალიზებულია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ურთიერთობების გაღრმავება საერთაშორისო ორგანიზაციებთან სამხედრო და ეკონომიკურ სფეროში იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სანაპირო ზოლის სოციალური ფონი და გაიზარდოს რეგიონის უსაფრთხოება გრძელვადიან პერსპექტივაში. აღნიშნული ნაშრომი გვიჩვენებს, რომ რუსეთის ფედერაციიდან შავი ზღვის სანაპირო ზოლში მომდინარე საფრთხეები პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაზე. შესაბამისად, ევროპული სტაბილურობისათვის მნიშვნელოვანია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც მოითხოვს უფრო მეტ სტრატეგიულ და სისტემურ მიდგომას, ვინაიდან რეგიონი დღესდღეობით წარმოადგენს გლობალური უსაფრთხოების ყველაზე მოწყვლად ავანსცენას. ნაშრომი შეისწავლის შავი ზღვის რეგიონში ევროატლანტიკური ალიანსისა და ევროკავშირის შემდგომი გაფართოების პერსპექტივას, როგორც ერთადერთ პასუხს არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების შესაკავებლად, დადებითი დინამიკის შენარჩუნების მიზნით.

საკვანძო სიტყვები:
შავი ზღვის რეგიონი, საერთაშორისო ორგანიზაციები, უსაფრთხოება, სტაბილური განვითარება.

Security Perspective of the Black Sea Region in the Context of NATO and the European Union

Major Paata Maisuradze
Ministry of Defence of Georgia
Training and Military Education Command
Combat Support Center, Combined Arms Center,
Head of Military Instructor Training Course

Abstract

The aim of the scientific work is to represent the Black Sea region as one of the main geopolitical locations for Euro-Atlantic security and the importance of the involvement of the international organizations (NATO, EU) in order to create a safe and stable environment in the region. There is analyzed in the scientific work that how important it is to deepen the relations of the countries of the Black Sea region with the international organizations in the military and economic fields in order to improve the social background of the coastline and increase the security of the region in the long term perspective. This scientific work shows that the threats coming from the Russian Federation in the Black Sea coastline have a direct impact on the Euro-Atlantic security. Therefore, it is important for European stability to create such an environment that requires a more strategic and systematic approach, since nowadays, the region is the most vulnerable scene of the global security. This scientific work examines the perspective of further expansion of the Euro-Atlantic Alliance and the European Union in the Black Sea region as the only response to contain the current threats and challenges, in order to maintain positive dynamics.

Keywords:
Black Sea Region, International Organizations, Security, Stable Development.

შესავალი

შავი ზღვის რეგიონი საუკუნეების განმავლობაში იმპერიებისა და რეგიონალური სახელმწიფოების დაპირისპირების ადგილი იყო და დღემდე მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ლოკაციად განიხილება. იგი ევრაზიის გზაჯვარედინზე მდებარეობს და წარმოადგენს კასპიის, ეგეოსის და ხმელთაშუა ზღვებს შორის დამაკავშირებელ ხაზს (ა.ჩიტალაძე 2018). თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა საერთაშორისო ორგანიზაციების (ნატო,[1] ევროკავშირი[2]) ინტერესები რეგიონისადმი. შავი ზღვის აუზში დომინანტური მდგომარეობის მოპოვებას ცდილობს რუსეთის ფედერაციაც, რომელიც ხშირ შემთხვევაში აგრესიული პოლიტიკის გატარებასაც არ ერიდება, რაც ნეგატიურად აისახება რეგიონის უსაფრთხოებაზე. გრძელვადიან პერსპექტივაში გაზრდილი რისკები საფრთხეს უქმნის, არა მარტო შავი ზღვის აუზის სახელმწიფოთა განვითარებას, არამედ ზოგადად ევროპის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. გარდა რუსეთის ფედერაციისა, რომლის აქტიური ჩართულობა ხელს უშლის საერთაშორისო ორგანიზაციების რეგიონში გამყარების პოლიტიკას, რომელიც მის აგრესიულ საგარეო ინტერესებს ეწინააღმდეგება, სანაპირო ქვეყნები ემხრობიან მათთან პარტნიორული ურთიერთობების გაზრდას და შავი ზღვის აუზში ერთობლივი პროექტების განხორციელებას. ამრიგად, რეგიონის განვითარება და უსაფრთხო გარემოს შექმნა შეუძლებელია ნატოსთან და ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე.

ნატო და შავი ზღვის რეგიონი

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება პირდაპირ კავშირშია ალიანსის უსაფრთხოებასთან. ნატო-ს ინტერესები რეგიონის მიმართ გამოიხატება დემოკრატიის გავრცელებაში, სტაბილური გარემოს შექმნაში და სატრანზიტო მარშუტების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. შავი ზღვის სანაპიროს 6 ქვეყნიდან 3 ალიანსის წევრია, ხოლო 2 ნატოში ინტეგრაციისკენ მიისწრაფვის (ა.ჩიტალაძე 2018). შესაბამისად, რეგიონს მისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს სამხედრო თვალსაზრისით და ამავდროულად, რუსეთის შეკავების საპირწონე ძალას წარმოადგენს. ალიანსის პოლიტიკა შავი ზღვის ქვეყნებში სამხედრო რეფორმების გატარება და მათ მიერ, შესაბამისი სტანდარტების დაკმაყოფილებაა, რაც კიდევ უფრო გაზრდის თავდაცვისუნარიანობას და რეგიონის უსაფრთხოებას. აქედან გამომდინარე, ნატო-ს ჩართულობა, როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო მიმართულებით გამოიწვევს რუსეთის ფედერაციის აგრესიული პოლიტიკის დაბალანსებას. ალიანსის საწვრთნელი მისიები, წევრი და მოკავშირე ქვეყნების ჩართულობით, მნიშვნელოვანია რეგიონის უსაფრთხოებისათვის. უნდა გაძლიერდეს პარტნიორობის სამოქმედო გეგმები ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, სადაც მონაწილეობას მიიღებენ შავი ზღვის აუზის წევრი ქვეყნებიც. მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით არის შესაძლებელი ისეთი გლობალური პრობლემის მოგვარება, როგორიც საერთაშორისო ტერორიზმია. შავი ზღვის აუზი განსაკუთრებით მოწყვლადია ამ მიმართულებით, ვინაიდან რუსეთის ფედერაცია, მისი გავლენის ქვეშ მყოფი სეპარატისტული ხელისუფლებების დახმარებით, ხელს უწყობს არასტაბილური გარემოს შექმნას რეგიონში. მაგალითად, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკები, უკრაინის ნაწილის ანექსია და იქ შექმნილი არასტაბილური გარემო. შავი ზღვის რეგიონის სამომავლო განვითარებისთვის მნიშვნელოვანია უსაფრთხო და სტაბილური გარემოს შექმნა. ამიტომ, ალიანსმა უნდა გააგრძელოს რეგიონის მონიტორინგი[3] და მისი მხრიდან საფრთხეებზე რეაგირება უნდა იყოს მყისიერი. გარდა ამისა, აქტიურად უნდა ითანამშრომლოს პარტნიორებთან, რათა გაზარდოს ინფორმაციულობის დონე და ხელი შეუწყოს გამოწვევებთან გამკლავებისათვის საერთო მიდგომის ჩამოყალიბებას (Larrabee 2009, 301-315). ნატო-ს მიერ უფრო მეტი ქმედითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას რეგიონის გაძლიერებისათვის და დაგმობილი იქნას რუსეთის მხრიდან სუვერენული სახელმწიფოების, ძალისმიერი მეთოდით, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაშინების და დესტაბილიზაციის შექმნის მცდელობა. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ, შავი ზღვის აუზში სამხედრო წარმომადგენლობის გაზრდა იქნება ნათელი მაგალითი იმისა, რომ იგი არ შეურიგდება ფედერაციის მიერ გატარებულ საგარეო პოლიტიკას. რეგიონის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ანალიზის განხილვის შედეგად კარგად ჩანს, რომ რუსეთი მომავალშიც გააგრძელებს დესტრუქციულ ქმედებებს,[4] რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევს ძალთა ბალანსის ცვლილებას. აქედან გამომდინარე, ნატო-ს დროული რეაგირება მომდინარე საფრთხეებზე მანიშნებელი იქნება იმისა, რომ შავი ზღვის რეგიონში კოლექტიური უსაფრთხოების შექმნისთვის სანაპიროს წევრი ქვეყნების ალიანსთან ერთიანობით მიიღწევა რეგიონის უსაფრთხოება.

---

1 ნატო-ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი.

2 ევროკავშირი-ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიკურ-პოლიტიკური გაერთიანება.

3 მონიტორინგი-დაკვირვება, ინფორმაციის სისტემატური შეკრება და დამუშავება.

4 დესტრუქციული ქმედება-მიზანმიმართული ხელისშემშლელი ქცევის ფორმა, პირადი ინტერესის განხორციელების მიზნით.

ევროკავშირი და შავი ზღვის რეგიონი

ევროკავშირისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია შავი ზღვის რეგიონი, ვინაიდან წარმოადგენს ვაჭრობისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების დერეფანს. რეგიონში არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები ევროკავშირმა საკუთარ საფრთხედ და სარგებლად უნდა აღიქვას. ორგანიზაციის თანამშრომლობა შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან უნდა გაღრმავდეს ისეთ სფეროებში, როგორიც არის ეკონომიკური პროექტები, ადამიანის უფლებების დაცვა, განსაკუთრებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე[5] და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება. ევროკავშირის მხრიდან უნდა შემუშავდეს ერთიანი სტრატეგია აღნიშნული პროცესების თანმიმდევრული განვითარებისთვის. გარდა ამისა, მან უნდა ითამაშოს აქტიური როლი რეგიონის უსაფრთხოების ჩამოყალიბებაში. შავი ზღვის აუზი მნიშვნელოვანი უნდა იყოს ევროკავშირისთვის, ვინაიდან გეოგრაფიული თვალსაზრისით მეტწილად ევროპულ რეგიონს წარმოადგენს და მისი შემადგენელი ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ბევრი ნაბიჯია გადასადგმელი, რეგიონის ევროკავშირთან დაახლოების მიზნით, ამ ეტაპზე შავი ზღვის აუზს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ორგანიზაციის პოლიტიკაში. მაგალითად, ევროკავშირის მიერ შემუშავებულ „საგარეო და უსაფრთხოების გლობალურ სტრატეგიაში“ შავი ზღვის რეგიონი ნახსენებია სანაპირო ქვეყნებთან ურთიერთობის გაღრმავების და რუსეთის მზარდ აგრესიასთან გამკლავების კონტექსტში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ, შავი ზღვის რეგიონში გამოწვეული, ხელოვნურად გაჭიანურებული კონფლიქტები გამოწვევას წარმოადგენს ევროპის უსაფრთხოებისათვის. აქედან გამომდინარე, ევროკავშირი გამოხატავს რეგიონის ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის მზაობას, რათა თითოეულ სახელმწიფოს ჰქონდეს საკუთარი მომავლის არჩევის უფლება (European Parliament resolution 2011).

მეორე მხრივ, შავი ზღვის რეგიონში არსებული კონფლიქტების გადაჭრაში ევროკავშირის და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ნაკლებეფექტური ჩართულობა და არამტკიცე რეგიონული პოლიტიკა, უბიძგებს რუსეთის ფედერაციას უფრო მეტი აქტიურობისკენ. ასეთ შემთხვევაში, გაიზრდება აგრესიული ზეწოლა სანაპირო ქვეყნებზე. განსაკუთრებით მაღალი რისკის ქვეშ აღმოჩნდებიან შავი ზღვის აუზის ის სახელმწიფოები, რომლებიც ნატოსა და ევროკავშირის წევრები არ არიან. ამის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ რეგიონის ქვეყნების კონსოლიდაციით, ერთიანი მიზანმიმართული სტრატეგიითა და საერთაშორისო ორგანიზაციების მეტი ჩართულობით, შესაძლებელია მომდინარე საფრთხეების განეიტრალება და რეგიონის განვითარება.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შავი ზღვის აუზის პროგრესირება და სტაბილური გარემოს შექმნა შესაძლებელია ნატოსთან და ევროკავშირთან ალიანსით. რეგიონის უსაფრთხოებას ნატო-ს დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. შესაბამისად, სამომავლოდ მისი ჩართულობა მიმდინარე პროცესებში კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიზანი რუსეთის ფედერაციის შეკავება და შავი ზღვის აუზის სტაბილურობის უზრუნველყოფაა, რაც რეგიონში უსაფრთხო სისტემის განმტკიცებას და საკუთარი პოზიციის გაძლიერებას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება ევროკავშირს, მისი ინტერესი სანაპირო ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას უკავშირდება. აღნიშნული პოლიტიკა, გარდა რუსეთისა, თავსებადია შავი ზღვის აუზის წევრი სახელმწიფოების მისწრაფებებთან. შავი ზღვის რეგიონში ნატოსა და ევროკავშირის შემდგომი გაფართოება არის ერთადერთი ადეკვატური პასუხი არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების სრულფასოვნად შესაკავებლად. შესაბამისად, აუცილებელია ორგანიზაციებსა და სანაპირო ქვეყნებს შორის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და დადებითი დინამიკის შენარჩუნება (ნ.სამადაშვილი 2017). საერთაშორისო ორგანიზაციებსა და რეგიონის სახელმწიფოებს შორის მყარი ურთიერთკავშირი გააძლიერებს უსაფრთხოების მექანიზმებს და გაართულებს რუსეთის მხრიდან აგრესიის განხორციელების შესაძლებლობებს. როგორც ნატო, ასევე ევროკავშირი მკაფიოდ უნდა აცნობიერებდნენ, რომ დესტრუქციული ძალა საფრთხეს უქმნის, არა მარტო შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს, არამედ ევროპის უსაფრთხოებასაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანთაძე გიორგი, ლეჟავა ნინო. საქართველოს თავდაცვის მოდელები ტოტალური თავდაცვის სისტემაში. საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი. თბ., 2020 წ.;
2. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ. თბ., 2015 წ.;
3. რონდელი ალექსანდრე. პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევების ფონდი. თბ., 2009 წ.;
4. საქართველოს კონსტიტუცია. თბ., 2018 წ.;

5 ოკუპირებული ტერიტორია-ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის ძალისმიერი მეთოდით დაკავება.

5. ტოტალური თავდაცვის კონცეფცია (პროექტი). თბ., 2017 წ.;
6. ხაჩიძე ნიკოლოზ. სამოქალაქო თავდაცვა, როგორც სახელმწიფოს შიდა უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ეროვნული თავდაცვის აკადემია. გორი, 2022 წ..

გარემოზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორები

ნათია ჯალაღონია
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მექანიკის ინჟინერიის მიმართულების მოწვეული სპეციალისტი,
ქიმიის აკადმიური დოქტორი
თორნიკე ქიმერიძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მექანიკის ინჟინერიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი,
ფიზიკის აკადემიური დოქტორი
გივი სანაძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მექანიკის ინჟინერიის მიმართულების პროფესორი,
ინჟინერიის დოქტორი

აბსტრაქტი

გარემოს დამაბინძურებლები არის ნებისმიერი ფიზიკური, ქიმიური ან ბიოლოგიური მატერია, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ჰაერზე, წყალზე, ნიადაგსა და ცოცხალ ორგანიზმებზე. ბოლო წლებში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს გარემოს დაცვა ისეთი ფაქტორებისგან, როგორიცაა ტემპერატურა, წნევა, ულტრაბგერა, ინფრაბგერა, გამოსხივება და სხვ. ზემოთ აღნიშნული ფაქტორები აბინძურებენ გარემოს და უარყოფითად მოქმედებენ ადამიანის ჯანმრთელობაზე. გარემოზე მოქმედი ფიზიკური ფაქტორების გაძლიერებას იწვევს: მრეწველობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ტრანსპორტისა და ავიაციის განვითარება, ელექტრონული სისტემების და მოწყობილობების განვითარება და სხვ.

წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღება გამახვილებული იქნება გამოსხივების სახეებზე და მათგან გამოწვეულ პრობლემებზე და გადაწყვეტის გზებზე. ძირითადად, არსებობს გამოსხივების ოთხი ტიპი: ალფა, ბეტა, ნეიტრონები და ელექტრომაგნიტური ტალღები. ისინი განსხვავდებიან მასით, ენერგიით და უნარით რამდენად ღრმად აღწევენ ობიექტებსა და ადამიანებში.

საკვანძო სიტყვები:
გარემოს დაბინძურება, რადიაცია, ელექტრომაგნიტური ტალღა.

Various Factors Affecting the Environment

Natia Jalaghonia
LEPL - David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia,
Visiting Lecturer of Mechanical Engineering,
PhD in Chemistry
Tornike Kimeridze
LEPL - David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia,
Assistant Professor of Mechanical Engineering,
PhD in Physics
Givi Sanadze
LEPL - David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia,
Professor of Mechanical Engineering,
PhD in Engineering

Abstract

Environmental pollutants are any physical, chemical, or biological matter that adversely affects air, water, soil and living organisms. In recent years, one of the important problems in many countries of the world has been environmental protection from the factors such as temperature, pressure, ultrasound, infrasound, radiation, etc. The mentioned factors pollute the environment and adversely affect the health of human beings. The introduction of new technologies in the industry, development of transport and aviation, development of electronic systems and devices, etc., lead to the strengthening of physical factors affecting the environment.

The presented paper will focus on the types of radiation and the problems caused by them. Most notably, there are four important types of radiation: alpha, beta, neutrons, and electromagnetic waves. They differ in mass, energy and the ability of how deeply they can penetrate into objects and human.

Keywords:
Environmental Pollution, Radiation, Electromagnetic Wave.

შესავალი

რადიაციის დაბალი დონის ზემოქმედება არ იწვევს ადამიანის ჯანმრთელობაზე მყისიერ ეფექტს, მაგრამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა დაავადებების განვითარების რისკის ზრდა სიცოცხლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ რადიაცია (გამოსხივება) არის ყველგან ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ეს არ გვაძლევს შეშინების მიზეზს, რადგანაც სხვადასხვა ტიპის გამოსხივება განსხვავებულად მოქმედებს და ზოგიერთი ფორმა შეიძლება ძალიან სასარგებლოც იყოს. სწორედ რადიაციის სახეობიდან გამომდინარე უნდა ვიმსჯელოთ და მივიღოთ ზომები, რომ დავიცვათ ჩვენი სხეული და გარემო უარყოფითი ზემოქმედებისაგან და ამავდროულად გამოვიყენოთ სასარგებლო მიზნით.[1]

ულტრაბგერა. ულტრაბგერითი ტალღები გამოიყოფა მოწყობილობებით, რომლებიც გამოიყენება ინდუსტრიაში ან რომლებსაც აქვთ სამედიცინო ან ესთეტიკური დანიშნულება. ულტრაბგერას უწოდებენ ხმოვან ტალღებს, რომელთა სიხშირეებია 16 კჰ-დან 500 მგჰ-მდე, რაც აღემატება ადამიანის სმენის ზედა ზღვარს. სიხშირის თვალსაზრისით, ულტრაბგერა შეიძლება დაიყოს ორ ძირითად მიმართულებად: 1. მაღალი სიხშირის (2-10 მგჰ) - დაბალი სიმძლავრის დიაგნოსტიკური ულტრაბგერა, რომელიც მოიცავს სამედიცინო ვიზუალიზაციას და 2. დაბალიდან საშუალო (20-1000 კჰ) სიხშირემდე - მაღალი სიმძლავრის ულტრაბგერა, რომელიც მოიცავს მის გამოყენებას ინდუსტრიაში, ნანოტექნოლოგიასა და ულტრაბგერით თერაპიაში.[2] დღეისათვის მზარდი ინტერესია ადამიანის ორგანიზმის მიერ შთანთქმული ულტრაბგერითი ტალღების მიმართ, მას შემდეგ, რაც ბოლო წლებში გაიზარდა ადაამიანებზე ამ აკუსტიკური ტალღების ზემოქმედება. ცხოველებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა შინაგანი ორგანოების დაზიანება სხვადასხვა ულტრაბგერითი სიხშირის მიღებით. შესაბამისად მეცნიერების მთავარი ამოცანაა ულტრაბგერითი კვლევების ორგანიზება და შეჯამება, რათა აისახოს ამ ტექნიკის ამჟამინდელი მდგომარეობა და შეიქმნას სისტემატური საფუძველი კვლევის მომავალი მიმართულებისთვის.[3]

ინფრაწითელი. ინფრაწითელი გამოსხივება, ელექტრომაგნიტური სპექტრის ის ნაწილია, რომელიც ვრცელდება გრძელი ტალღიდან, ან წითელი და ხილული სინათლის დიაპაზონის ტალღიდან მიკროტალღურ დიაპაზონამდე. ის თვალისთვის უხილავია და შეიძლება გამოვლინდეს როგორც სითბოს შეგრძნება კანზე. ინფრაწითელი დიაპაზონი ჩვეულებრივ იყოფა სამ ნაწილად: ინფრაწითელთან ახლოს (ხილულ სპექტრთან ყველაზე ახლოს) ტალღის სიგრძით 0,78-დან დაახლოებით 2,5 მიკრომეტრამდე; შუა ინფრაწითელი, ტალღის სიგრძით 2,5-დან დაახლოებით 50 მიკრომეტრამდე; და შორი ინფრაწითელი, ტალღის სიგრძით 50-დან 1000 მიკრომეტრამდე.[4] ზომიერად გახურებული ზედაპირის გამოსხივების უმეტესი ნაწილი ინფრაწითელია; ის ქმნის უწყვეტ სპექტრს. მოლეკულური აგზნება ასევე აწარმოებს უამრავ ინფრაწითელ გამოსხივებას, მაგრამ ხაზების ან ზოლების დისკრეტულ სპექტრში. დაბალი დონის სინათლის თერაპია ან ფოტობიომოდულაციური თერაპია ჩვეულებრივ იყენებს წითელ სინათლეს და ახლო ინფრაწითელ ტალღებს (600-100 ნმ) ბიოლოგიური აქტივობის მოდულაციისთვის. ინფრაწითელი ტალღის თერაპიულ ეფექტებზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, პირობები და პარამეტრები. მათ შორის სიხშირე, დასხივება, მკურნალობის დრო და განმეორებადობა, პულსირება და ტალღის სიგრძე.[5] ყოველდღიურად იზრდება მტკიცებულება, რომ ინფრაწითელ ტალღას შეუძლია განახორციელოს ფოტოსტიმულაცია და ფოტობიომოდულაციური ეფექტები, განსაკუთრებით სასარგებლოა ნეირონული სტიმულაციისთვის, ჭრილობების შეხორცებისა და კიბოს სამკურნალოდ. ნერვული უჯრედები განსაკუთრებით კარგად რეაგირებენ ინფრაწითელ ტალღაზე, რომელიც შემოთავაზებულია ნეიროსტიმულაციისა და ნეირომოდულაციის აპლიკაციებისთვის. ინფრაწითელი ტალღის განვითარება და ბიოლოგიური შედეგები დაგვეხმარება თერაპიული ეფექტურობის გაუმჯობესებაში ან ახალი მეთოდების შემუშავებაში.[6]

ელექტრომაგნიტური გამოსხივება. ელექტრომაგნიტური გამოსხივება არის ტალღური ხასიათის ენერგიის ფორმა, რომელიც აირეკვლება ან შთაინთქმება დამუხტული ნაწილაკებით (სურათი 1). მიუხედავად იმისა, რომ ელექტრომაგნიტური გამოსხივების ძირითადი წყარო არის მზე, ყველა ცხოველი,

1 Ramachandran TV. Background radiation people and the environment. Iran J Radiat Res. 2011;9:63–76.

1.2 Ahmed JU. High levels of natural radiation: Report of an international conference in Ramsar. IAEA Bulletin. 1991;33:36–8.

1.3 Kiefer, J. (1990). Types of Radiation: Characterization and Sources. In: Biological Radiation Effects. Springer, Berlin, Heidelberg. https://doi.org/10.1007/978-3-642-83769-2_1.

2 2.1 Moyano DB, Paraiso DA, González-Lezcano RA. Possible Effects on Health of Ultrasound Exposure, Risk Factors in the Work Environment and Occupational Safety Review. Healthcare (Basel). 2022 Feb 24;10(3):423. doi: 10.3390/healthcare10030423. PMID: 35326901; PMCID: PMC8954895.

2.2 Humphrey V.F. Ultrasound and matter-Physical interactions. Prog. Biophys. Mol. Biol. 2007;93:195–211. doi: 10.1016/j.pbiomolbio.2006.07.024.

3 Health Protection Agency Health Effects of Exposure to Ultrasound and Infrasound Report of the Independent Advisory Group on Non-ionizing Radiation; Health Protection Agency: 2010; pp. 1–180.

4 Tsai SR, Hamblin MR. Biological effects and medical applications of infrared radiation. J Photochem Photobiol B. 2017 May;170:197-207. doi: 10.1016/j.jphotobiol.2017.04.014. Epub 2017 Apr 13. PMID: 28441605; PMCID: PMC5505738.

5 AlGhamdi KM, Kumar A, Moussa NA. Low-level laser therapy: a useful technique for enhancing the proliferation of various cultured cells. Lasers in medical science.

6 Johnstone DM, et al. Turning On Lights to Stop Neurodegeneration: The Potential of Near Infrared Light Therapy in Alzheimer's and Parkinson's Disease. Frontiers in Neuroscience. 2016;9(500).

მცენარე და ადამიანი ასევე წარმოქმნიან სუსტ ელექტრომაგნიტურ ველებს.[7] ამასთან, თანამედროვე ეპოქაში, სხვადასხვა ელექტრონული მოწყობილობები: მობილური ტელეფონები, თანამგზავრები, რადიო და სატელევიზიო ანძები, ასხივებენ გარემოში აკუმულირებად ელექტრომაგნიტურ რადიაციას, ე.წ. ელექტრომაგნიტურ დაბინძურებას ან ელექტრომაგნიტურ ჩარევას, რომელიც ხშირ შემთხვევაში, ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ელექტრომაგნიტური ველის ან რადიაციის ნებისმიერი ბუნებრივი წყარო და ვინაიდან ადამიანზე მისი უარყოფითი ზეგავლენის მკაფიო და საბოლოო მტკიცებულება არ არსებობს, აღნიშნული დაბინძურებით გამოწვეული ზიანი ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. მიუხედავად ამისა, ფაქტია რომ უკიდურესად დაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ველები კლასიფიცირებულია, როგორც პოტენციური კანცეროგენი.[8]



სურ. 1. ელექტრომაგნიტური ტალღა

დასკვნა

გარემოს დამაბინძურებლები გავლენას ახდენენ უჯრედების ფიზიოლოგიურ რეაქციებზე და იწვევენ უჯრედების ნორმალური ფუნქციის შეცვლას, ძირითადად, მოლეკულურ და ბიოქიმიურ დონეზე. რეკომენდებულია შესწავლილ იქნეს გარემოს დაბინძურებაზე მოქმედი ფაქტორების ზემოქმედება ადამიანებზე და შეფასდეს მათგან გამოწვეული ზიანი. ასევე დაგროვილი ცოდნის შეჯამებით და ანალიზით შესაძლებელია რადიაციის სასარგებლო მიზნით გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Ramachandran TV. Background radiation people and the environment. Iran J Radiat Res. 2011;9:63–76;
2. Ahmed JU. High levels of natural radiation: Report of an international conference in Ramsar. IAEA Bulletin. 1991;33:36–8;
3. Kiefer, J. (1990). Types of Radiation: Characterization and Sources. In: Biological Radiation Effects. Springer, Berlin, Heidelberg. https://doi.org/10.1007/978-3-642-83769-2_1;
4. Moyano DB, Paraiso DA, González-Lezcano RA. Possible Effects on Health of Ultrasound Exposure, Risk Factors in the Work Environment and Occupational Safety Review. Healthcare (Basel). 2022 Feb 24;10(3):423. doi: 10.3390/healthcare10030423. PMID: 35326901; PMCID: PMC8954895;
5. Humphrey V.F. Ultrasound and matter-Physical interactions. Prog. Biophys. Mol. Biol. 2007;93:195–211. doi: 10.1016/j.pbiomolbio.2006.07.024;
6. Health Protection Agency Health Effects of Exposure to Ultrasound and Infrasound Report of the Independent Advisory Group on Non-ionising Radiation; Health Protection Agency: 2010; pp. 1–180;
7. Tsai SR, Hamblin MR. Biological effects and medical applications of infrared radiation. J Photochem Photobiol B. 2017 May;170:197-207. doi: 10.1016/j.jphotobiol.2017.04.014. Epub 2017 Apr 13. PMID: 28441605; PMCID: PMC5505738;
8. Vatansever F, Hamblin MR. Far infrared radiation (FIR): its biological effects and medical applications. Photonics Lasers Med. 2012;4:255–266;
9. Tuby H, Maltz L, Oron U. Low-level laser irradiation (LLLI) promotes proliferation of mesenchymal and cardiac stem cells in culture. Lasers Surg Med. 2007;39(4):373–8;
10. AlGhamdi KM, Kumar A, Moussa NA. Low-level laser therapy: a useful technique for enhancing the proliferation of various cultured cells. Lasers in medical science;

7 Violette, J. L. N.; White, D. R. J.; Violette, M. F. Electromagnetic Compatibility Handbook; Van Nostrand Reinhold Company: New York, 1987.

8 .1 Yavuz Ö, Ram MK, Aldissi M. Electromagnetic applications of conducting and nanocomposite materials. The New Frontiers of Organic and Composite Nanotechnology. 2008 Jan 1:435-75.

8.2 Manna R, Srivastava SK. Reduced Graphene Oxide/Fe3O4/Polyaniline Ternary Composites as a Superior Microwave Absorber in the Shielding of Electromagnetic Pollution. ACS Omega. 2021;6(13):9164-9175. Published 2021 Mar 22. doi:10.1021/acsomega.1c00382.

11. Johnstone DM, et al. Turning On Lights to Stop Neurodegeneration: The Potential of Near Infrared Light Therapy in Alzheimer's and Parkinson's Disease. Frontiers in Neuroscience. 2016;9(500);
12. Violette, J. L. N.; White, D. R. J.; Violette, M. F. Electromagnetic Compatibility Handbook; Van Nostrand Reinhold Company: New York, 1987;
13. Yavuz Ö, Ram MK, Aldissi M. Electromagnetic applications of conducting and nanocomposite materials. The New Frontiers of Organic and Composite Nanotechnology. 2008 Jan 1:435-75;
14. Manna R, Srivastava SK. Reduced Graphene Oxide/Fe3O4/Polyaniline Ternary Composites as a Superior Microwave Absorber in the Shielding of Electromagnetic Pollution. ACS Omega. 2021;6(13):9164-9175. Published 2021 Mar 22. doi:10.1021/acsomega.1c00382.

საქართველო-რუმინეთის პარტნიორული თანამშრომლობის ასპექტები შავი ზღვის რეგიონში

შადიმან ბიწაძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების
ასოცირებული პროფესორი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია საქართველო-რუმინეთის ურთიერთობის აქტუალური საკითხები. რუმინეთის, როგორც შავი ზღვის ერთ-ერთი უმთავრესი აქტიორის როლი რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურის შექმნის საკითხში. შავი ზღვის რეგიონში ენერგეტიკული და სატრანსპორტო პერსპექტიული პროექტები რუმინეთ-საქართველოს პარტნიორული თანამშრომლობის განვითარებისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში.

ორ ქვეყანას შორის მრავალმხრივი (პოლიტიკური, ეკონომიური...) განვითარების შესაძლებლობები იკვეთება 2016 წელს ინიცირებულ „სამი ზღვის ინიციატივის“ პლატფორმის ფორმატში. მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ინიციატივაში ჩართვის სურვილი საქართველომ სწორედ რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ჩატარებულ „სამი ზღვის ინიციატივის“ მესამე სამიტზე გამოთქვა 2018 წლის 17 სექტემბერს. აღნიშნული ინიციატივა ითვალისწინებს ბალტიის, შავი და ადრიატიკის ზღვებს შორის არსებულ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და ციფრული კომუნიკაციების კუთხით ურთიერთობების გაღრმავებას, რაც დადებითად აისახება შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების არქიტექტურის შექმნის პროცესში.

საკვანძო სიტყვები:
ევროატლანტიკური ინტეგრაცია, სტრატეგიული ინტერესები, ენერგეტიკული პროექტები.

Aspects of Partnership Cooperations Between Georgia and Romania in the Black Sea Region

Shadiman Bitsadze
Associate Profesor of The Masters of
Security Studies of David Agmashenebeli
National Defense Academi of Georgia

Abstract

In this article actual issues of Georgia-Romania relations and the role of Romania as one of the main actors of the Black Sea in regards with creating the security architecture of the region are discussed, alongside with the energy and transport projects in the Black Sea region in the process of development of Georgia-Romania partnership cooperation and Georgia's integration into Euro-Atlantic structures.

The format of "Three Seas Initiative" that has been initiated in 2016 gives two countries the opportunities to develop relations in many ways (political, economic...). The fact that Georgia expressed its desire to join the mentioned initiative at the third summit of the "Three Seas Initiative" held in Bucharest, the capital of Romania, on September 17, 2018, speaks volumes. This initiative envisages the deepening of relations between the Central and Eastern European countries between the Baltic, Black and Adriatic Seas in terms of transport, energy and digital communications, which will have a positive impact on the process of creating a security architecture in the Black Sea region.

Keywords:
Euro-Atlantic integration, Strategic interests, Energy projects.

შესავალი

თანამედროვე ეტაპზე შავი ზღვის რეგიონი ეკონომიური, პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესების გადაკვეთის ადგილს წარმოადგენს და ბუნებრივია, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცება რეგიონში უპირველეს პრობლემად რჩება. ამ მხრივ პრევენციული ზომების მიღების აუცილებლობას განსაკუთრებით 2016 წლის ნატოს ვარშავის სამიტსა და 2017 წლის ბუქარესტის ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე გაესვა ხაზი.

მდგომარეობა განსაკუთრებით მაშინ გამწვავდა, როდესაც რეგიონის ორი მოსაზღვრე ქვეყანა რუმინეთი და ბულგარეთი 2004 წელს - ჯერ ნატოში, ხოლო 2007 წელს ევროკავშირში გაერთიანდა, რაც ფაქტიურად იმის მაუწყებელი იყო, რომ ევროატლანტიკურმა საზღვარმა მოდერნიზული რუსეთის საზღვრის სიახლოვეს გაიარა და პირდაპირ შეეხო მის სტრატეგიულ ინტერესებს.

რუსეთისთვის შავ ზღვაზე დომინირება მისი ნაციონალური ინტერესების უმთავრეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და შეიძლება ითქვას, მისთვის არის ერთგვარი "Manifest Destiny" (გაცხადებული ბედი), ერთგვარი გეოპოლიტიკური იმპერატივი, რათა შეინარჩუნოს „დიდი სახელმწიფოს" იმიჯი, საკუთარი საგარეო პოლიტიკის კონსტანტა, რომელიც არ ექვემდებარება დროში ცვალებადობას. რუსეთის მიერ 2014 წელს ყირიმის ძალადობრივმა მიტაცებამ შავი ზღვა ფაქტიურად რუსეთის შიდა აკვატორიად გადააქცია და რეგიონალური სტაბილურობა და უსაფრთხოება მნიშვნელოვნად დააზარალა.

რუსეთის შავი ზღვის რეგიონში გაძლიერების საწინააღმდეგოდ წინასწარი ზომები ფაქტიურად ადრე იყო მიღებული - რუმინეთმა ჯერ კიდევ 2005 წელს განუცხადა თანხმობა აშშ-ს მის ტერიტორიაზე განლაგებინა სამხედრო ბაზები.

რუმინეთი შავ ზღვაზე ნატოს გააქტიურების ერთერთი უმთავრესი ლობისტია და დიდი ხანია ყალიბდება რეგიონში ალიანსის მნიშვნელოვან პლაცდარმად. ვარშავის სამიტისათვის მზადების პროცესში რუმინეთი ნატოს შავი ზღვის ფლოტის შექმნის აუცილებლობის ინიციატივით გამოვიდა. ამას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა როგორც ნატოს შტაბბინაში, ისე ვაშინგტონში, ბერლინსა და რომში.[1]

რუმინეთს გააჩნია პრეტენზია, ითამაშოს რეგიონალური ლიდერის როლი, მითუმეტეს რეგიონი ახალ განზომილებას იძენს არა მარტო ევროპის, არამედ გლობალურ დონეზე, რაც რუმინეთის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. რუმინეთის სურვილია წამყვანი სახელმწიფო იყოს რეგიონალურ ინიციატივებსა და თავდაცვისა და უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით.

2016 წლის 12 მაისს რუმინეთში, დევესელუს სამხედრო ბაზაზე მწყობრში ჩადგა რაკეტ_ საწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა (Aegis Ashore) და რადიოლოკაციური სადგური, რომელიც 190კმ. რადიუსში არსებულ სივრცეს აკონტროლებს.

ქალაქ კონსტანცასთან ახლოს, შავი ზღვის სანაპიროზე დისლოცირებულია აშშ-ს ავიაბაზა „მიხაილ კოგელჩანუ", საიდანაც შესაძლებელია სამხედრო დახმარება გაეწიოს როგორც რუმინეთს, ასევე ბულგარეთს, საქართველოსა და მოლდოვას. აღნიშნულ ბაზაზე ნატო ავითარებს უპილოტო ავიაციის პროგრამას, რაც პირველად ხდება რეგიონში და რუსეთის უკიდურეს გაღიზიანებას იწვევს.

საქართველო-რუმინეთის ურთიერთობების ისტორიული ფესვები

საქართველოსა და რუმინეთს შორის ურთიერთობა სათავეს იღებს მე-18 საუკუნის დასაწყისიდან. ბედის უკუღმართობითა და ჟამთა სიავიდან გამომდინარე ბევრი ქართველის ტალანტი გაიხარჯა სხვა ერების სამსახურში, მათ შორის ბუნებრივი ნიჭიერებით გამორჩეულებმა მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობასაც მიაღწიეს, მაგრამ არცერთ მათგანს არ დაუმსახურებია ისეთი სახელი და პატივისცემა, როგორც ეს შეძლო ანთიმოზ ივერიელმა. ანთიმოზის სახელს უკავშირდება საეკლესიო წიგნების თარგმნა და ეკლესია-მონასტრებში რუმინულ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარება. იმყოფებოდა რა ვლახეთის მიტროპოლიტის ხარისხში, ანთიმოზს არც საკუთარი სამშობლო დავიწყებია - ვახტანგ VI-ის თხოვნით მან საქართველოში გამოგზავნა მიხაი იშტვანოვიჩი, რომელმაც ანჩისხატის მიმდებარე ტერიტორიაზე სტამბა მოაწყო, სადაც 1709 წელს დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი „სახარება", რომლის ერთი ეგზემპლარი მან ოქროს ყდაში ჩასვა და ვლახეთის მმართველს კონსტანტინე ბრანკოვიანუს მიართვა.

ანთიმოზ ივერიელი, გარდა კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობისა, იყო რუმინელი ერის თავისუფლებისათვის დაუღალავი მებრძოლი და უპირველესი მებაირახტრე, რასაც სამწუხაროდ შეეწირა კიდეც. 1992 წელს რუმინეთის მართმადიდებლურმა ეკლესიამ ანთიმოზი წმინდანად შერაცხა. მადლიერი რუმინელი ერი უდიდესი პატივისცემით ინახავს ანთიმოზის ხსოვნას - 2016 წელი რუმინეთში ანთიმოზ ივერიელის წლად იქნა გამოცხადებული.

რუმინეთის ქალაქ იასში გაატარა თავისი ცხოვრების ბოლო სამი წელი დიდმა ქართველმა პოეტმა ბესიკ გაბაშვილმა, რომელიც დიპლომატიური მისიით იყო წარგზავნილი რუსეთის სამხრეთის არმიის სარდალთან, ფელდმარშალ გრიგოლ პოტიომკინთან იმერეთის მეფის დავით II-ის მიერ. 1791 წლის 24 იანვარს პოეტი გარდაიცვალა და დაკრძალეს წმინდა პარასკევას სახელობის ეკლესიის ეზოში. 2019

1 ღვინერია, შოთა. „შავი ზღვის უსაფრთხოება ნატოს ყურადღების ცენტრში." თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. 2016 წ. გვ .9

წლის 25 იანვარს ქალაქ იასის ცენტრში გაიხსნა ბესიკ გაბაშვილის ბიუსტი, რომელსაც დაესწრნენ ოფიციალური პირები ორივე ქვეყნიდან. გადაწყდა ქალაქების იასისა და ქუთაისის დამეგობრების საკითხი. 24-25 იანვარს რუმინეთში გაიმართა ქართული კულტურის დღეები რუმინეთში საქართველოს ელჩის ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილის ხელმძღვანელობით.

რუმინეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური ურთიერთობები იწყება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენის შემდეგ. რუმინეთმა საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ცნო 1921 წლის 18 თებერვალს. საინტერესოა, რომ რუმინეთში 1919 წლისათვის უკვე არსებობდა საქართველოს წარმომადგენლობითი მისია. წარმომადგენლობის ხელმძღვანელი იყო სოსიპატრე ასათიანი, მდივანი ანატოლი კარპოვიჩი, სამხედრო ატაშე მიხეილ ფაღავა. ბუქარესტის ცენტრში, სასტუმრო „მაჯესტიკის“ კედელზე გაკრულია საინფორმაციო დაფა შენობაში თავის დროზე ქართული წარმომადგენლობითი მისიის მოღვაწეობის შესახებ.

1920 წლის 16 დეკემბრის ასამბლეაზე, როდესაც წყდებოდა საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრიანების საკითხი, რუმინეთის წარმომადგენელმა პროფესორმა ტომა იონესკუმ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მიმართ სიმპათიით იყო განწყობილი, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის პოზიციების გათვალისწინებით, თავი შეიკავა კენჭისყრაში მონაწილეობისაგან, რათა საკუთარი ხმა საქართველოს გაწევრიანების წინააღმდეგ არ მიეცა.[2] აღსანიშნავია, რომ მიღებული რეზოლუციის თანახმად, საქართველოს უფლება ეძლეოდა მონაწილეობა მიეღო ერთა ლიგის ე.წ. „პრაქტიკულ ორგანიზაციაში - მიმოსვლისა და ტრანზიტის კომისიაში.

საქართველო-რუმინეთის თანამშრომლობის ძირითადი პრიორიტეტები თანამედროვე ეტაპზე

სსრკ-ის დაშლის შემდეგ რუმინეთმა 1991 წლის 27 აპრილს აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. რუმინეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები განახლდა 1992 წლის 25 ივლისს, ხოლო რუმინეთის საელჩო თბილისში ცოტა მოგვიანებით, 1998 წლის 25 თებერვალს გაიხსნა. დაწყებული 1992 წლიდან ქვეყნები მჭიდროდ თანამშრომლობენ შავი ზღვის ეკონომიური თანამშრომლობის (BSEC) ორგანიზაციაში.

ბისეკის გეოსტრატეგიული პოზიცია ევროკავშირსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის და ევროკავშირსა და ცენტრალურ აზიის ქვეყნებს შორის ხიდის ფუნქციის შესრულებას უკავშირდება. ბისეკი ეკონომიკურად მჭიდროდ არის დაკავშირებული ცენტრალური აზიის ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა თურქმენეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და ყაზახეთი, რომელთა ბაზრები ევროპის ქვეყნების ინტერესის ობიექტს წარმოადგენს. საქართველო ამ კავშირების რეალიზაციის გზაზე განსაკუთრებულ როლს ასრულებს. ამის დამადასტურებელი ის ხელშეკრულებები, რომლებიც საქართველოსთან მთელ რიგ ქვეყნებს აქვთ დადებული ბისეკში საქართველოს გაწევრიანების შემდეგ (სარაქსის ხელშეკრულება, იგივე სუამი და ა.შ.). საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებების მიხედვით, დემოკრატიული ღირებულებები და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა გლობალიზაციის პროცესის ორი მთავარი საყრდენია. აქედან გამომდინარე, ბისეკის ინიციატივა და მისი საშუალებით ევროკავშირსა და ბისეკის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარება მომავალში მოვლენების განვითარების პროგნოზირების მიზნით შექმნილი სხვადასხვა სცენარის ანალიზის აუცილებელი კომპონენტი იქნება. ბისეკის ფარგლებში ხორციელდება საფინანსო და ეკონომიკური პროექტების რეალიზება.

რუმინეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ყველაზე პერსპექტიული დარგი ტრანსპორტია და მის წარმატებით განვითარებას შავი ზღვის რეგიონში საწარმოო კოოპერაციის, ვაჭრობისა და ტურიზმის აღორძინებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, პირველ რიგში სატრანსპორტო კომუნიკაციების საიმედო სისტემის შექმნის კუთხით. აღნიშნული პრობლემის გადაჭრას აუცილებლად მოჰყვება რეგიონის ეკონომიკური განვითარების პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაცია.

საზღვაო ნავსადგურებიდან ტვირთბრუნვის გაზრდას ორივე ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, პირველ რიგში კი საქართველოსათვის, რადგან ქვეყანა პირდაპირ ჩაერთვება სამდინარო გადაზიდვების კომუნიკაციების ტრანსევროპულ ქსელში.

საქართველოსათვის ძირითადი შედარებითი უპირატესობაა ევროპისა და აზიის შეამაერთებელი სატრანსპორტო დერეფნის გასწვრივ მისი გეოგრაფიული მდებარეობა, რაც განსაზღვრავს სწორედ ცენტრალური კავკასიის ამ ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ ფუნქციას.[3]

შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლის სიგრძე დაახლოებით 300 კილომეტრია. ბუნებრივია, ასეთ ქვეყანას სჭირდება შესაბამისი განვითარებული ინფრასტრუქტურა პორტებისა და ტერმინალების სახით.

2008 წლიდან ბათუმის ნავთობტერმინალი და პორტი სახელმწიფომ ყაზახურ „ყაზმუნაიგაზს“

2 შარაძე, გიორგი.. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 2003 წ. გვ .176.

3 მაისაია, ვახტანგ. საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები ცივი ომის შემდეგ (1991-2004). სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი, 2013 წ. გვ. 177.

მიჰყიდა, რომელმაც თავის მხრივ ისინი რუმინულ „რომპეტროლს“ გადასცა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „რომპეტროლი“ ახორციელებს რუმინული პორტის „კონსტანცის“ მმართველობასაც, აშკარაა, რომ ბათუმისა და კონსტანცის პორტებს შორის თანამშრომლობის პერსპექტივები უდავოდ მაღალია.

2013 წლის 25 ოქტომბერს რუმინეთის ტრანსპორტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებს შორის გაფორმდა მემორანდუმი საზღვაო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვების შესახებ, ხოლო 2014 წლის 16 ოქტომბერს კონსტანცაში (რუმინეთი) შედგა ახალი საზღვაო ხაზების (ილიჩევსკი-კონსტანცა-ბათუმი) საზეიმო გახსნა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზაციას. დიდი პერსპექტივები აქვს საზღვაო-სატრანსპორტო კორიდორის შექმნას ბათუმიდან კონსტანცის პორტის გავლით კომერციული გადაზიდვების დუნაის სამდინარო არტერიის გამოყენებით ტრანსევროპულ ქსელში მოხვედრისათვის.[4]

მდინარე დუნაი შავი ზღვის რეგიონისათვის სტრატეგიულ როლს თამაშობს, რადგან წარმოადგენს ცენტრალურ სანაოსნო არტერიას, რომლის ბასეინი 19 ქვეყანას მოიცავს და მაინ-რეინის ხაზის მეშვეობით შესაძლებელია ტვირთის გადატანა ჩრდილოეთის ზღვის პორტებამდე, მაგალითად როტერდამში. 1856 წელს შეიქმნა „დუნაის ევროპის კომისია“ და ამ დროიდან იწყება დუნაის გამოყენება სატვირთო გადაზიდვების კუთხით, რადგან სარკინიგზო და საავტომობილო გადაზიდვებთან შედარებით საზღვაო და სანაოსნო გადაზიდვები გაცილებით უფრო იაფია.

შავის ზღვის რეგიონი უდიდეს როლს თამაშობს ენერგეტიკული უსაფრთხოების კუთხითაც. თუ გავთვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ძალიან ბევრი ქვეყანა საჭიროებს ენერგეტიკულ რესურსებს და ეს პროცესი 2030 წლისათვის პიკს მიაღწევს. ამ მხრივ რეგიონი მსოფლიო პოლიტიკის ყურადღების ცენტრშია.

2007 წლის აპრილში ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება ახალი პროგრამის „შავი ზღვის თანამშრომლობის“ ამოქმედების შესახებ. როგორც ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღინიშნა, რომ რეგიონი თავისი ენერგეტიკული და სატრანსპორტო ნაკადებით, სწრაფად განვითარებად ბაზარს წარმოადგენს. 2009 წლის მაისში ამოქმედდა ევროკავშირის პროგრამა „აღმოსავლეთის პარტნიორობა“. ევროპა მზად არის მხარი დაუჭიროს რეგიონალურ ინიციატივებს და ერთობლივი პროექტების განხორციელებას.[5]

2009 წლის სექტემბერში გაფორმდა რუმინეთ-აზერბაიჯანის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებდა შავი ზღვის გავლით ენერგორესურსების გატარებას კასპიის ზღვის რეგიონიდან, რასაც მხარი დაუჭირა აშშ-ს სპეციალურმა წარმომადგენელმა ენერგეტიკის საკითხებში რიჩარდ მორნინგსტარმა. რუმინეთის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ახალ ენერგეტიკულ პროექტს “AGRI” (Azerbaijan – Georgia – Romania interconnector).

2010 წლის 13 აპრილს სამივე ქვეყნის ეკონომიკის მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების შესახებ, ხოლო 2011 წლის 24 ივნისს ბუქარესტში შედგა პროექტში მონაწილე ქვეყნების ენერგეტიკის მინისტრების შეხვედრა, სადაც გაფორმდა დეკლარაცია პროექტის ტექნიკურ - ეკონომიკური გარანტიების შესახებ.

2011 წლის 14 სექტემბერს ქვეყნების პრეზიდენტებმა და უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ხელი მოაწერეს პროექტის მხარდამჭერ დეკლარაციას. პროექტი 2 -დან 8 მლრდ. კბ/მ ბუნებრივი აირის გათხევადების ტერმინალის მოწყობას და პროდუქციის ტანკერებით რუმინეთის პორტ კონსტანცამდე ტრანსპორტირებას ითვალისწინებს, სადაც მოხდება რეგაზიფიკაცია და ბუნებრივი აირი მიეწოდება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, რაც საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალს კიდევ უფრო გაზრდის.

პოლიტიკური ურთიერთობები ინტენსიური გახდა მას შემდეგ, როდესაც ევროკავშირმა 2003 წელს სამეზობლო პოლიტიკის იდეა წამოაყენა (ჩაერთო 17 ქვეყანა, მათ შორის საქართველოც), რომელიც ითვალისწინებდა ურთიერთობების გააქტიურებას - პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციის, გაყინული კონფლიქტების დარეგულირებისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. მიმდინარე პროცესი დაემთხვა საქართველოს მიერ ნატოში გაწევრიანების განაცხადს, რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ ურთიერთობები ორი მიმართულებით განვითარებულიყო - სამეზობლო პოლიტიკა აქცენტს აკეთებს ევროპული ფასეულობების დანერგვაზე, ხოლო ნატო აღიარებს „ღია კარის“ პოლიტიკას, გარკვეული მოსამზადებელი ციკლის დასრულების შემდეგ.

რუმინეთის პრეზიდენტმა ტრაიან ბასესკუმ თბილისში 2008 წლის აგვისტოში ვიზიტით ყოფნით დროს მოუწოდა ნატოსა და ევროკავშირს მხარი დაეჭირათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. პრეზიდენტმა ბასესკუმ ყურადღება გაამახვილა საქართველოს სატრანზიტო პოტენციალზე და რუმინეთის დიდ დაინტერესებაზე აღნიშნული კუთხით. იმავე წლის სექტემბერში, რუსეთ-საქართველოს ომიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ რუმინეთმა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ეგიდით საქართველოში მოავლინა საკუთარი დამკვირვებლები (EUMM- Georgia).

რუმინეთის ხელისუფლების დაინტერესებას საქართველოთი ჯერ კიდევ 2005 წელს გაესვა ხაზი, როდესაც რუმინეთის ხელმძღვანელობით შეიქმნა „საქართველოს მეგობართა ჯგუფი“ ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ჩეხეთის, ბულგარეთის, შვეიცისა და სლოვაკეთის შემადგენლობით საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის მხარდასაჭერად.

4 პავლიაშვილი, სოლომონ, გარაყანიძე, ზურაბ. საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი. პრობლემები და პერსპექტივები. თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, 2014 წ.გვ.99.

5 შავი ზღვის სამშვიდობო ქსელი. Black Sea Peacebuilding Network. Biuleteni #5. 2011 წ. გვ .18.

საქართველოს ხელისუფლებაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ რუმინეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობები უფრო ინტენსიური გახდა. 2014 წლის 30 იანვარს რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული საკითხების სახელმწიფო მდივანი სტუმრობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცალკეული საკითხების შესათანხმებლად ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიზნით, ხოლო იმავე წლის 3 ოქტომბერს უკვე ბუქარესტში მიიღო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაღალი რანგის დელეგაცია.

2014 წლის 10 თებერვალს რუმინეთის სენატმა ერთხმად მიიღო საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების მხარდამჭერი დეკლარაცია. 2014 წლის 3 ივლისს რუმინეთმა ევროპის ქვეყნებიდან პირველმა გაუკეთა რატიფიცირება საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას. რუმინეთი და საქართველო კონსტრუქციულ რეჟიმში თანამშრომლობენ „შავი ზღვის ფორუმის“ ფორმატშიც.

2017 წლის 26 აპრილს ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავის აღსანიშნავად ოფიციალური ვიზიტით რუმინეთს ეწვია საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი. შეხვედრაზე რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა სორინ გრინდეანუმ განაცხადა - „რუმინეთი მხარს უჭერს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება არ არის მისი საბოლოო მიზანი. რუმინეთი აღნიშნული მიზნის მისაღწევად გააგრძელებს პოლიტიკურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას საქართველოს მიმართ. რუმინეთი მაღალ შეფასებას აძლევს საქართველოს წვლილს, რომელიც მას შეაქვს ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცებაში ნატოს ოპერაციებსა და მისიებში მონაწილეობით. რუმინეთი მზადაა ყველა იმ პროგრამას დაუჭიროს მხარი, რომელიც გათვალისწინებულია აღმოსავლეთ პარტნიორობისა და სამეზობლო პოლიტიკის კუთხით. საპასუხო სიტყვაში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ღრმა შეფასება მისცა რუმინეთის ხელისუფლების მცდელობას მხარი დაუჭიროს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში.[6]

რუმინეთ-საქართველოს ურთიერთობები დინამიურად ვითარდება და მოიცავს სხვადასხვა სფეროს. აღნიშნული კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული თავდაცვის აკადემიის ორმხრივი თანამშრომლობა რუმინეთის ნიკოლაე ბალჩესკუს სახელობის სახმელეთო ძალების აკადემიასთან და რუმინეთის კაროლ I-ის სახელობის თავდაცვის უნივერსიტეტთან, რომელსაც მომავლისათვის დიდი პერსპექტივები გააჩნია.

შავი ზღვის რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების მიღწევა და შავი ზღვის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიური თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოსთვის ერთერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ამ კონტექსტში უფრო მეტად გამყარდება თანამშრომლობა ბულგარეთთან და რუმინეთთან. რუმინეთთან თანამშრომლობის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა მიენიჭება სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბებას. ხელი შეეწყობა შავი ზღვის სატრანზიტო, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო შესაძლებლობების გაძლიერებასა და ეკონომიური როლის ზრდას.

დასკვანა

2020 წლის 1-2 დეკემბრის ნატოს ვირტუალურმა მინისტერიალმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ალიანსის მზადყოფნა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებისა და საქართველოს, როგორც ასპირანტი ქვეყნისადმი გაძლიერებული პრაქტიკული მხარდაჭერის მხრივ მზარყოფნას შესახებ. საქართველო თავის მხრივ, როგორც ევროკავშირის ასოცირებული წევრი და აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობით დაკავშირებული ქვეყანა შავი ზღვის რეგიონში რუმინეთისათვის სანდო პარტნიორი იქნება, რაც მომავალში სტრატეგიული პარტნიორობის ფორმატში უნდა გადაიზარდოს.

2022 წლის 29-30 ივნისის ნატოს მადრიდის სამიტის გადაწყვეტილებით ალიანსი მზადაა მხარი დაუჭიროს „სამი ზღვის ინიციატივის“ ფორმატით გათვალისწინებული თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც კიდევ ერთი დამატებითი სტიმული გახდება საქართველო-რუმინეთის ორმხრივი ურთიერთობის ახალ საფეხურზე გადასვლისათვის და შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ღვინერია, შოთა. შავი ზღვის უსაფრთხოება ნატოს ყურადღების ცენტრში. თბილისი. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2016 წ.;
2. შარაძე, გიორგი. თბილისი. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა. გამომცემლობა „მეცნიერება“, 2003 წ.;
3. მაისაია, ვახტანგ. თბილისი საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები ცივი ომის შემდეგ (1991-2004). სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი, 2013 წ.;
4. პავლიაშვილი, სოლომონ, გარაყანიძე, ზურაბ. თბილისი. საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი.“

6 საქართველო-რუმინეთი: შავი ზღვის უსაფრთხოება და ეკონომიკური პერსპექტივები. https://www.radiotavisupleba.ge/a/28455617.html ბოლო წვდომა 11.7.2022 წ.

პრობლემები და პერსპექტივები, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, 2014 წ.;
5. შავი ზღვის სამშვიდობო ქსელი. Black Sea Peacebuilding Network. Biuleteni, 2011 წ. № 5;
6. საქართველო-რუმინეთი: შავი ზღვის უსაფრთხოება და ეკონომიკური პერსპექტივები. https://www.radiotavisupleba.ge/a/28455617.html ბოლო წვდომა 11.7.2022 წ.

ტოქსიკური ლიდერის გავლენა ამოცანის შესრულებაზე - რისკები და მათი შემცირების მექანიზმები

ვიცე-პოლკოვნიკი შალვა გელაძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
დისტანციური სწავლების ცენტრის უფროსი,
საერთაშორისო ეკონომიკის ბაკალავრი

აბსტრაქტი

საზოგადოება რამდენიმე სახის ლიდერის ტიპს იცნობს, რომლებიც ერთმანეთსგან შეიძლება მცირედი ნიუანსებით ან რადიკალურად განსხვავდებოდნენ. ტოქსიკური ლიდერის პროტოტიპი განსაკუთრებით აქტუალური ცნებაა თავდაცვის ძალებში, რადგანაც წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, საკმაოდ ხშირად შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც უამრავ მეთაურსა და ადმინისტრაციულ ხელმძღვანელს დაასახელებენ, რომელთა ერთადაც უმუშავიათ და პირადად იცნობენ, და აღიარებენ, რომ ამ ტიპის ლიდერები საშიშნი არიან ხელმძღვანელ თანამდებობებზე და უაღრესად უარყოფით გავლენას ახდენენ თანამშრომლობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციულ გარემოზე.

მუდმივი დისკუსიის საგანს წარმოადგენს ის საკითხი, თუ რა განაპირობებს ასეთი ტიპის ლიდერების ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაწინაურებას, რა სახის სისტემურ პრობლემებთან არის აღნიშნული საკითხი დაკავშირებული და როგორ შეიძლება ასეთი ტიპის ლიდერებთან თანამშრომლობა ისე, რომ სამუშაო კლიმატს საფრთხე არ შეექმნას. ამ საკითხზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა რთულია, თუმცა, შესაძლებელი იმ შემთხვევების ანალიზიდან გამომდინარე, რომლებიც მრავლად არსებობს, თუნდაც საკმაოდ მაღალი თანამდებობის და მეთაურობის შემთხვევებიდან.

საკვანძო სიტყვები:
ტოქსიკური, ფოკუსირება, დესტრუქციული.

Impact of Toxic Leader on Task Performance - Risks and Reduction Mechanisms

Lieutenant Colonel Shalva Geladze
Head of Distance Learning Centre
LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Bachelor of International Economics

Abstract

Society identifies several types of leaders who may slightly or radically differ from each other. Most notably, the prototype of a toxic leader is a relevant concept in the Defence Forces since it is quite common for people with their past experience to name a number of commanders and heads of administration with whom they have worked and personally know, and thus, to acknowledge that these types of leaders are extremely dangerous in leadership positions and have a highly negative impact on a collaborative organizational environment.

The subject of constant discussion is the question of what makes such leaders be promoted to leadership positions, what kind of systemic problems this issue is related to, and how it is possible to cooperate with these leaders so that not to pose a threat to the working climate. It is difficult, but not impossible, to give an unambiguous answer to this question, considering the analysis of numerous cases, even the cases of commanders with high rank and position.

Keywords:
Toxic, Focussing, Destructive.

შესავალი

ისტორიამ არაერთი ფაქტი შემოგვინახა მეთაურის, როგორც ლიდერის გავლენაზე ამა თუ იმ მოვლენისა და გადამწყვეტი მნიშვნელობის ბრძოლის შესახებ, რომელმაც კაცობრიობის ყოველდღიური ცხოვრების წესი ან რეგიონული გეოპოლიტიკა შეცვალა. ლიდერის გადაწყვეტილებები ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს სოციუმის, როგორც მომავალს, ისე ყოველდღიურ წესრიგს და შეუძლია ერთი მხრივ, სწორი პოლიტიკის მეშვეობით მიიყვანოს იგი წარმატებამდე, ხოლო მეორე მხრივ, კატასტროფული შედეგების წინაშე დააყენოს საზოგადოება. შესაბამისად, ლიდერის, როგორც ფენომენის შესწავლა, არაერთი ფილოსოფოსისა თუ ისტორიკოსის ინტერესის საგანი გახდა. ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში, ნიკოლო მაკიაველი ნაშრომში „მთავარი", რომელიც პოლიტიკური ლიდერის სახელმძღვანელოდაა დაწერილი, მეთოდურად განიხილავს ძალაუფლების მოპოვებისა თუ მისი შენარჩუნების ხერხებს სხვადასხვა ვითარებაში და საუბრობს იმ უნარ-ჩვევებსა თუ მახასიათებლებზე, რომლებსაც ლიდერი უნდა ფლობდეს.[1] ამ ნაშრომში მაკიაველი სვამს კითხვას - „თუ რა სჯობია - უყვარდეთ თუ ეშინოდეთ შენი?", რომელსაც იგი შემდეგნაირად პასუხობს: „მთავარი ისე უნდა ნერგავდეს შიშს, რომ, თუკი სიყვარულს ვერ მოიხვეჭს, სიძულვილი მაინც აიცილოს თავიდან, ვინაიდან ისიც დიდი საქმეა, რომ ხალხს ეშინოდეს შენი, მაგრამ არ სძულდე".[2]

საუკუნეების განმავლობაში ლიდერის ცნებამ, ისევე როგორც მისმა მახასიათებლებმა, ნიშანდობლივი ცვლილება განიცადა და თუ მაკიაველისთვის შიშის დანერგვა კარგი ლიდერისთვის საჭირო უნარ-ჩვევაა, თანამედროვე სამყაროში იგი ტოქსიკური ლიდერის მახასიათებლად შეიძლება მოვიაზროთ, რაც სამხედრო სისტემაში, სადაც იერარქიული წყობაა, განსაკუთრებით დამღუპველ როლს თამაშობს. ისმის კითხვა, თუ რა რისკებს შეიცავენ დაქვემდებარებულებისთვის ამ ტიპის ლიდერები, რა გავლენას ახდენს მათი ტოქსიკურობა ამოცანის შესრულებაზე და რა მექანიზმით შეიძლება ხსენებული რისკების შემცირება?

ტოქსიკურ ლიდერებზე საუბრისას პოლკოვნიკი ჯ. რიდი გამოყოფს შემდეგ მახასიათებლებს:

1) დაქვემდებარებულების კეთილდღეობით აშკარა შეშფოთება;

2) პერსონალური და ინტერპერსონალური მიდგომის ტექნიკა, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ორგანიზაციის კლიმატზე;

3) ქვეშევრდომთა რწმენა, რომ ლიდერი მოქმედებს მხოლოდ მისი ვიწრო ინტერესებით.[3] ამგვარი ლიდერები ორიენტირებულნი არიან მხოლოდ მოკლევადიანი მიზნების

შესრულებაზე და არ აქვთ ნდობა დაქვემდებარებულების მიმართ, ისინი გამუდმებით გამოხატავენ უკმაყოფილებას ყველასა და ყველაფრის მიმართ, ცდილობენ მიკრომენეჯმენტით განახორციელონ ქვემდგომების კონტროლი და უყურებენ ყველაფერს ეჭვის თვალით. ამავდროულად, იქმნიან არარეალურ მოლოდინებს, რომლის შესრულებაც ქვემდგომების მხრიდან თითქმის შეუძლებელია. ასეთი გარემო და წნეხის ქვეშ მუშაობა, დაქვემდებარებულებში დროის მოკლე პერიოდშივე იწვევს საქმის მიმართ ინდიფერენტულობას. ისინი მხოლოდ მოჩვენებით ხდებიან დავალების კარგი შემსრულებლები - ეს ყველაფერი კი ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ ლიდერის დარწმუნებას იმაში, რომ ყველაფერი კარგად მიდის. სინამდვილეში ეს სიტუაცია გადადის აგრესიაში, უნდობლობაში და ისინი მალევე იწყებენ გარემოს შეცვლაზე ფიქრს.

ფოკუსირება მოკლევადიანი გეგმების წარმატებით შესრულებაზე აძლევს ტოქსიკურ ლიდერებს შესაძლებლობას დაარწმუნონ მათი ზემდგომი პირები მცირე წარმატებებში,[4] თუმცა ისინი სრულიად მოწყვეტილნი არიან იმ გარემოს, სადაც დაქვემდებარებულებს დაკისრებული სამსახურის შესრულება უწევთ. პოლკოვნიკ რიდის თანახმად, ტოქსიკური ატმოსფერო ხშირად გამოწვეულია ლიდერების მიერ მიზნების დასახვით, მათი გადაჭრის გზების მოძიების გარეშე: „ყველაფერი მხოლოდ მიზნების, მაგრამ არაფერი საშუალებების შესახებ."[5] მსგავსი ტიპის ადამიანები, არასოდეს ინტერესდებიან ქვემდგომებთან ორმხრივ პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობის შექმნაზე, ხოლო შინაგანი სისუსტესა და შიშს გამოხატული აგრესიითა და ცინიზმით აკომპენსირებენ. ისინი მოითხოვენ პატივისცემას და მის სანაცვლოდ მხოლოდ აგრესიას გასცემენ.

მიზანზე ორიენტირებულობა და ნებისმიერ ფასად მიზნის მიღწევის მცდელობა დროის მცირე მონაკვეთში, ისევე როგორც დისციპლინა და უსიტყვო მორჩილება, რომელსაც დესტრუქციული ლიდერები დაქვემდებარებულებში ავითარებენ, სამწუხაროდ, ხშირად იმსახურებს ქვედანაყოფის შიდა სამზარეულოში ჩაუხედავი ზემდგომი მეთაურების კმაყოფილებასა და მოწონებას, ვინაიდან შიშზე და იძულებაზე დაფუძნებულ მართვის პირობებში, საგრძნობლად იმატებს დისციპლინა და მოკლე პერიოდში შესაძლებელი ხდება ამოცანის მაღალხარისხიანად შესრულება.

ამის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ ერთის მხრივ, დაქვემდებარებულებთან ურთიერთობაში <u>მსგავსი ტიპის</u> მიდგომები, შესაძლებელია დროის მოკლე მონაკვეთში იძლეოდეს შედეგს, თუმცა, გრძ-

1 ნიკოლო მაკიაველი, „მთავარი", In შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014 წ. 120.

2 იქვე, 181.

3 Colonel Georg E. Reed. "Toxic Leadership", In Military Review, Vol. 84, No. 4.2004 წ. 67.

4 Reed, 67.

5 Reed, 66-67.

ელვადიან პერიოდში ადამიანების ურთიერთობები და დამოკიდებულებები, როგორც პირადი, ასევე დაკისრებული მოვალეობების მიმართ ხდება გულგრილი და აგრესიული, რაც აუცილებლად აისახება შედეგებზე და ხშირად ფატალურადაც სრულდება. ენტონი კერნი თავის კვლევაში წარუმატებელი ლიდერობის შესახებ, სადაც იგი ფეარჩაილდის საჰაერო ძალების ბაზაზე ბომბდამშენ B-52-ის საავიაციო კატასტროფაზე საუბრობს, აღნიშნავს: „როდესაც ლიდერობა მარცხდება და ჯგუფის სულისკვეთება ეცემა, ტრაგედია გარდაუვალია“.[6]

მეორე მხრივ, აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირ შემთხვევებში ტოქსიკური ლიდერი იმდენადაა ორიენტირებული ამოცანის წარმატებით შესრულებაზე, რომ მუდმივად ჩართულია მართვის ყველა ეტაპზე და ახორციელებს დეტალურ მართვას, რაც გამორიცხავს დაქვემდებარებულების მხრიდან გეგმის გადახვევასა და გაცემული ბრძანებების შემოქმედებითად შესრულებას. ტოტალური კონტროლი დაქვემ-დებარებულების მიმართ გამორიცხავს ნებისმიერი სახის გადაცდენას, რადგან მათ იციან, რომ შედეგი უმკაცრესი იქნება. აღნიშნული მიდგომები აიძულებს ქვედანაყოფებს კონცენტრირება მოახდნინონ მხო-ლოდ ამოცანაზე და მათ არ რჩებათ დრო და სურვილი გამოიჩინონ ინიციატივა და იფიქრონ სხვა მიდ-გომებზე, რაც საბოლოო ჯამში მოსამხურეების კრიტიკული აზროვნებისა და პროცესში ჩართულობის დაბალ ხარისხზე აისახება.

პოლკოვნიკი რიდი ტოქსიკურ ლიდერთან გასამკლავებელ ერთ-ერთ გზად ისეთი ავტორიტეტული ზემდგომის ჩარევას მოიაზრებს, რომელიც შეძლებს სწორი მითითებების მიცემასა და მისი ტოქსიკურობის განეიტრალებას,[7] თუმცა, პრობლემის საფუძველი, ისევე როგორც მისი გადაჭრის მექანიზმები, უფრო ღრმად - თავად სამხედრო სისტემაში უნდა ვეძებოთ, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ დამყარებულია გარკვეულ ღირებულებებზე და მოიაზრებს მათ პატივისცემას, ხშირად პრაქტიკაში სცდება ამავე ღირებულებით საზღვრებს და ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს ტოქსიკური ლიდერების ჩამოყალიბებისთვის. მაგალითისთვის, ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ შემთხვევას 2016 წელს ვიცე-პოლკოვნიკ არმანდო გონსალესის ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითების მხარდამჭერი ქვედანაყოფის ესკად-რონის მეთაურის პოზიციიდან გათავისუფლება წარმოადგენს, რისი მიზეზიც, ოფიციალური მოხსენების თანახმად, შემდგომში მდგომარეობდა: „გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ის ქმნიდა ტოქსიკურ სამუშაო გარემოს და აკეთებდა რასისტულ, სექსისტურ თუ სხვა ტიპის დისკრიმინაციულ კომენტარებს მოსამსახურეების მისამართით“. Marine Corps Times-ის თანახმად, გონსალესის დაკავებული თანამ-დებობიდან გათავისუფლებამ დაასრულა მისი ტოქსიკური მმართველობა, თუმცა არავის დაუსვამს კითხვა თუ როგორ შეძლო მან მიეღწია მმართველ პოზიციამდე. ამ და ყველა სხვა მსგავს შემთხვევაში, სისტემა ფიქრობს, რომ ტოქსიკური ლიდერის წასვლით, წყდება ტოქსიკური გარემოს პრობლემაც.[8] თუ-მცა, ეს გრძელდება მანამ, სანამ არ გამოჩნდება ახალი ტოქსიკური ლიდერი, როგორიც იყო გენერალი მაკკრისტალი ავღანეთში ნატოს მისიის სარდალი, რომლის ტოქსიკურმა განცხადებებმა და შექმნილმა გარემომ წერტილი დაუსვა მის კარიერას.[9]

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დესტრუქციული ლიდერის გვერდით, შესაძლოა, ერთი შეხედვით სასიამოვნო და ძალიან საპასუხისმგებლო მოვალეობებიც კი ტვირთად იქცეს დაქვემ-დებარებულისათვის, რაც მორალურად და ფსიქოლოგიურად გაანადგურებს მას და შესაბამისად, იქონიებს გავლენას როგორც ამოცანის შესრულების ხარისხზე გრძელვადიან პერსპექტივაში, ისე სამხედრო მოსამ-სახურეების პირად მოტივაციასა და პროდუქტიულობაზე. ამავდროულად, გასათვალისწინებელია ის-იც, რომ ცალკეულ ტოქსიკურ ლიდერებთან გამკლავება, ხშირად პრობლემის მხოლოდ ზედაპირულ, არასიღრმისეულ გადაჭრას გულისხმობს და ამ მოჯადოებული წრიდან თავის დაღწევის მექანიზმი ერთი მხრივ, სწორედ მანკიერი სისტემის საფუძველშივე უნდა ვეძიოთ და პრობლემა გადავჭრათ მანამ, სანამ ტოქსიკური ლიდერი მმართველ პოზიციას მიაღწევს და არა პოსტ-ფაქტუმ. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია ავტორიტეტული ზემდგომი პირების ჩართულობა პრობლემის ჩანასახშივე იდენტიფიცირებისა და ტოქ-სიკურობისკენ მიდრეკილი მეთაურისთვის სწორი მიმართულების მიცემის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Forsing Carl. “The Military Has A Toxic Leadership Problem”, In Task & Purpose. 23.08.2017 წ. https://bit.ly/36nB3qi შემოწმების უკანასკნელი თარიღი: 10.11.2020 წ.;
2. Reed, Georg E. Colonel, U.S Army. “Toxic Leadership”, In Military Review. Vol. 84, No. 4. 2004 წ.: 67-71;

6 Reed, 70.

7 Reed, 71.

8 Carl Forsing, “The Military Has A Toxic Leadership Problem”, In Task & Purpose. 23.08.2017 https://bit.ly/36nB3qi შემოწმების უკანასკნელი თარიღი: 10.11.2022 წ.

9 რადიო თავისუფლება. ,,გენერალი მაკკრისტალი საკუთარ ტოქსიკურ კულტურას შეეწირა'', 25.06.2010 წ. https://bit.ly/3D3UHcK შემოწმების უკანასკნელი თარიღი: 17.11.2022 წ.

3. მაკიაველი, ნიკოლო. „მთავარი“, In შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014 წ.;
4. რადიო თავისუფლება. ,,გენერალი მაკკრისტალი საკუთარ ტოქსიკურ კულტურას შეეწირა'', 25.06.2010 https://bit.ly/3D3UHcK შემოწმების უკანასკნელი თარიღი: 17.11.2022 წ.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ვებ-გვერდი: www.eta.edu.ge
ტელეფონი: +995 32 2 30 52 85
ტელეფონი: +995 5 77 19 92 05
ელ. ფოსტა: nda@mod.gov.ge
ტირაჟი: 30

ISSN 2720-8184